# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 31 ოქტომბერი 2005 №250 (2573) ფასი 50 თეთრი


## ქურდებმა მობილურად იმუშავეს

რა ჰქვია იმას, რაც გორის „ქართლზე" მოხდა? მარტივად რომ ვთქვათ, ქურდობა, მაგრამ ეს ქურდობაზე უფრო დამაფიქრებელი ფაქტია: „ცხინვალი" — „ტორპედოს" მატჩისას ქუთაისური გუნდის გასახდელში ვიღაც გარეწრები შეიპარნენ და ფეხბურთელთა მობილური ტელეფონები გაზიდეს.

ეს ამბავი „ტორპედოს" ფეხბურთელებმა მატჩის შესვენებისას გაიგეს და მეორე ტაიმში მინდორზე გასვლას არ აპირებდნენ. ითქვა, ვითომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან მოვიდა დამამშვიდებელი ზარი, თავს ნუ მოვიჭრით სირცხვილით, ოღონდ ახლა ითამაშეთ და ზარალს ჩვენ ავანაზღაურებთო.

მარტო ზარალშიც არაა საქმე: საქმე მარტო ის არაა, პოლიტმოტივით რომ გადაიყვან კლუბს უმაღლეს ლიგაში, იმ კლუბს უსაფრთხოების დაცვაც უნდა შეეძლოს, ბოლოს და ბოლოს, ერთი ორი კაცი მაინც უნდა დაადარაჯოს გასახდელში. მაგრამ, რა...

„ცხინვალი" — „ტორპედოს" პარალელურად, გუშინ მეთერთმეტე ტურის კიდევ ექვსი მატჩი გაიმართა. ეს ყველაფერი „სარბიელის" შიდა გვერდებზე...



## ოქროს დებიუტი

თერთმეტი მედალი და პრეზიდენტის თასი

13

## ვარსკვლავთსეტყვა



მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონები: სერგეი ბუბკა, რომან რურუა, ვიქტორ სანეევი და ვალერი ბორზოვი

## ვერა ვართ მამლები ფრანგებთან
## 13x13=0:60



გიო ახვლედიანის

სვეტი

# 10 წლის შემდეგ

ჰეი, ქინქი!

პატარა გენიოსო...

სწორედ ათი წელიწადი გასულა მას შემდეგ, რაც გიო ქინქლაძე ინგლისის სტადიონებზე დათარეშობდა და „მანჩესტერ სიტის" ისტორიას ქმნიდა. კლუბისთვის ცუდ დროს იყო იქა და ამანაც არია საქმეები, მაგრამ აბა ქალალდს ჩახედეთ: სამ სეზონში მან 106 მატჩი ითამაშა „სიტიში" და აქედან 105 ძირითადში! ერთხელ გამოვიდა შეცვლაზე.

იმის მერე კიდევ რაღა არ მოხდა და სულ სხვა ადგილას, სულ სხვა ქვეყანაში, თათართა გუნდ „რუბინში" ქინქლაძემ ისევ დაიწყო ნამდვილი ფეხბურთის თამაში. იმ დღეს ვუყურე და პენალტი რომ ააცილა, გული მომიკვდა. სულ წარმოვიდგინე, რაც რამ გაუცდენია და ოხრობა დამართნია ჩვენს ძველ და კარგ ქინქის, რომელიც იმ წლებში, აქ რომ ბათქაბუთქი და თოფ-იარაღის ტრიალი იყო, ისე გვიყვარდა, როგორც არავინ და საფეხბურთო უქმეებს ისე ველოდით, როგორც არასდროს. ჰოდა, გუშინწინ ქინქიმ ლენინგრადის „ზენიტს" პირდაპირ თავზე დაახურა ბურთი შიგ რევოლუციის აკვანშივე. მისმა გუნდმა მოიგო და რუსთა ლიგაში უეფას საგზურისთვის ჭიდაობს. ქინქლაძემ საგოლე პასი გააკეთა, ის გოლი გადამწყვეტი იყო და საერთოდ, ბევრი არაფერი სჯობს, ძველი ქინქის ცქერას.

რა არის, რომ სევდა და სევდა: რამდენი გააცდინა, როგორ ვერ მოერგო, სად იხეტიალა, როგორ ვერ აეწყო. ახლა სანაკრებო ამხანაგურზეც გამოძახებულია და თუ ნაკრებსაც შეურთდა, ეგებ უფრო ხმაურით დაიწყოს თავისუფალი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის ახალი განავარდება.

ცხოვრება ასეთია: გგონია, რომ თუ რაღაც ჩაქრა, სამუდამოდ ჩაქრა.

მაგრამ ეგრე არ არის ხოლმე.

თუ ის რაღაცა მართლა მაგარია, ერთხელაც იქნება და თავს არ დამალავს.

კი, სხვა ადგილია ყაზანის „რუბინი" და ახლა იწყებს რაღაც საქმეს, მაგრამ ქინქი ნამდვილია და ღმერთმა ქნას, გული ეყოს და ფეხმა გაუჭრას, იმიტომ, რომ ის, რაც მას აქვს, წესით, არასოდეს ცვდება.

ჰეი, ქინქი!

პატარა გენიოსო... მიდი, გადახანი მაგათი მინდვრები.

ძალიან მაგრა ველოდებით ყველანი.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა პირველი წრე 11 ტური

# ქასრაშვილს სიომ დაუბერა

## ვიტ ჯორჯია გოლს არ პატიობს

კობა ინასარიძე მცხეთიდან

ბოლნისელი ქომაგები, რომლებიც გუნდს ქვეყნის დასალიერშიც კი დაჰყვებიან, რა გასაკვირია, გუშინ მცხეთაშიც მრავლად იყვნენ და უნდა გენახათ, ნამატჩევს როგორი გულშემოყრილნი დარჩნენ — მეორე ტაიმის დასაწყისში ფაქტობრივად გაკეთებული თამაში, „სიონმა" ხომ 15 წუთში წააგო და ჩემპიონატში ლიდერობა „ვიტ ჯორჯიას" დაუთმო. არადა, ისე ენერგიულად და ხმაშეწყობილად ქომაგობდნენ გუნდს, მატჩის შემდეგ ისინიც არანაკლებ დაღლილები ჩანდნენ, ვიდრე ბოლნისელი ფეხბურთელები.

დაღლა კი „სიონს" მატჩის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე დაეტყო და თითქმის მთელ მეორე ტაიმში კაცნაკლულ მეტოქესაც კი ველარაფერი მოუხერხა. სტუმრებს დაწინაურების შემდეგ კიდევ რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ, რაც ვერ გამოიყენეს, საკუთარ თავს დააბრალონ.

„ვიტ ჯორჯია" კი ბოლო დროს თვალსასეირო ფეხბურთს თამაშობს, ხოლო გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ოთარ მარცვალაძე მატჩს უგოლოდ აღარ ატარებს — მან უკვე ზედიზედ მეოთხე თამაშში გაიტანა და 11 მოუგროვდა, მისმა გუნდმა კი წლეულს მესამედ მოიგო ისეთი მატჩი, როცა პირველი გოლი მეტოქემ გაუტანა. ასე იყო „თბილისთან", „ამერთან" და აგერ, ახლა „სიონთან"...

მცხეთის „არმაზის" მოედანი საქართველოში მთლად საუკეთესო რომ არ არის, მით უმეტეს წვიმიანი ამინდისას, აქამდეც ხშირად გვითქვამს, თუმცა მაღალ დონეზე თუ არა, საკმაოდ ნორმალურად და საინტერესოდ თამაში, თურმე ასეთ უვარგის მოედანზეც ყოფილა შესაძლებელი.

...თავიდან უპირატესობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებმა მოიპოვეს და თავიდანვე სამი თავდამსხმელით შეუტიეს მეტოქეს. ცენტრალური ფორვარდის პოზიციაზე ნიკა გელაშვილი თამაშობდა, ხოლო ოთარ მარცვალაძე და ზაზა სახოკია ფლანგებიდან უფრო ცდილობდნენ „სიონის" კართან მიახლოებას.

ბოლნისელები თამაშის სათავისოდ აწყობისა და მეტოქის კონტრშეტევებზე გამოჭერისთვის ტემპს ანაცვლებდნენ და ერთი-ორჯერ საკმაოდ სახიფათოდაც შეუტიეს. გრიგოლ დოლიძისა და დავით იმედაშვილის გაცვლილ შორეული დარტყმების ჩაუთვლელად, „სიონს" ტაიმის ბოლოსკენ დაწინაურების რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ დავით ლომაიამ იყოჩაღა და ლევან ხმალაძეს კარში დარტყმა არ დაანება. არადა, ბოლნისელმა რამდენიმე მასპინძელს ჩაუქროლა და ის იყო, მეკარესთან პირისპირ უნდა დარჩენილიყო, მცველმა სწორედ მაშინ შეაჩერა — ბურთს ჭვინტი წაჰკრა და კუთხურზე გადააგდო.

მოკლედ, შესვენებამდე თუ რამე აკლდა მატჩს, გუნდებმა ეს მეორე ტაიმში აანაზღაურეს — კარგი კომბინაციებიც ვიხილეთ და გოლებიც, თანაც, საკმაოდ ხისტი და მძიმე თამაშის ფონზე.

„სიონი" მალევე დაწინაურდა: კოკა მიკუჩაძის ჩინებული პასი ჯაბა დვალმა მეტოქის საჯარიმოსთან მიიღო, ერთი მცველი უმალ ჩამოიშორა, მეორესაც მოქნილად დაუსხლტა, მაგრამ საგოლე დარტყმა გრიგოლ ბედიაშვილმა აღარ დაანება და ბურთი მოიგერია: მეკარე წინ იყო, კარი კი ცარიელი — დოლიძემაც არ დააყოვნა და მოჭრილი დაარტყა. ბურთი კარში უნდა ჩაშვებულიყო, როცა პავლე დათუნაიშვილმა ხელით ითამაშა. „სიონმა" ბურთი კარში მაინც შეაგდო, მაგრამ იქამდე არბიტრს პენალტიც დანიშნული ჰქონდა და დათუნაიშვილიც მოედნიდან გაძევებული ჰყავდა. სხვათა შორის, პავლე დათუნაიშვილი წლეულს უკვე მესამედ გააძევეს, თუმცა ამჯერად ბოლო იმედის ჯარიმისთვის და არა უხეშობისთვის.

კინაღამ გამოგვრჩა: პენალტი ჯაბა დვალმა უნაკლოდ შეასრულა.

დაწინაურებულ „სიონს" კი ღონე დიდხანს არ გაჰყოლია, 10-15 წუთი ბოლნისელები კაცნაკლულ მასპინძლებს უტევდნენ, მაგრამ ამ შეტევა-შეტევაში ფორვარდებსა და ნახევარმცველებს დაღლა დაეტყოთ, ელემენტარულ სიტუაციებში ცდებოდნენ, რითაც „ვიტ ჯორჯიამ" მოგვიანებით ისარგებლა.

ისიც ვთქვათ, რომ „სიონის" შემადგენლობას შეცვლა როცა დასჭირდა, მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილი ეს, ერთი შეხედვით, დროულად გააკეთა, მაგრამ სწორედ ამ შეცვლების მერე მიიღო „სიონმა" გოლები: ოთარ მარცვალაძემ ბესიკ ქარდავას საჯარიმოს მისადგომებთან ზედიზედ ორჯერ დაჯარიმება არ აპატია და მეორე ჯერზე დაახლოებით ოცი მეტრიდან გაიტანა; მერე კი ნიკა გელაშვილმა სტუმარი ნახევარმცველები ზონის მიტოვებისთვის დასაჯა, მცველებსაც დაუსხლტა და შანსიც გამოიყენა — 2:1. ეს ამბავი მატჩის ბოლოსწინა წუთზე მოხდა, თორემ, ვინძლო, დრო კიდევ რომ ყოფილიყო, „ვიტ ჯორჯიას" მესამეც გაეტანა.

„სიონი" ველარ მოძრაობდა, მასპინძლები კი თითქოს მიღებულ გოლს ელოდნენო, მერე გამხნევდნენ და სათავისო შედეგიც მიიღეს, თანაც, ნუ დავივიწყებთ, ათი ფეხბურთელით...

ნამატჩევს „სიონის" მწვრთნელის ხვიჩა ქასრაშვილის გუნდიდან დათხოვნის თაობაზეც ალაპარაკდნენ, თუმცა ხმები გადაჭარბებული აღმოჩნდა. როგორც ბოლნისის გამგებელმა გია არევაძემ თქვა, ამ საკითხზე მოგვიანებით, კლუბის კრებაზე იმსჯელებენ, იქამდე კი ქასრაშვილი მუშაობას გააგრძელებს.

მცხეთა. 30 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი. 500 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 2:1 სიონი

0:1 დვალი (51პ), 1:1 მარცვალაძე (76), 2:1 გელაშვილი (89)

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, გველესიანი, დ. ლომაია, კობიაშვილი, იმედაშვილი, პ. დათუნაიშვილი, დეიქრიშვილი (რაზმაძე 85), დოლმელაშვილი, სახოკია (გ. დათუნაიშვილი 53), მარცვალაძე, ნ. გელაშვილი. სათადარიგონი: მუჯირიშვილი, ქუხილავა, ამშილავა, გ. მელქაძე, ბერიაშვილი. მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | სიონი: ბობღიაშვილი, კობაური, დ. სვანიძე, ჩიკვილაძე, ლ. მერებაშვილი, ბოლქვაძე, დოლიძე (უგრეხელიძე 83), ქუთარია (ჩაჩუა 65), მიკუჩაძე (ქარდავა 70), დვალი. სათადარიგონი: გაგაშელი; ოქრობირიძე, რაქვიაშვილი, ბაჯელიძე. მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი |

გაფრთხილებები: მიკუჩაძე (26), კობაური (28), იმედაშვილი (30), ლომაია (55), მარცვალაძე (60), გელაშვილი (89)

გაძევება: პ. დათუნაიშვილი (51)

მსაჯები: ლ. ჭარაძელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გურჯაანი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე



ოთარ მარცვალაძე ვერც ბოლნისელებმა შეაჩერეს



მეტოქეებმა ერთმანეთს არაფერი დააკლეს

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 11 ტური



ბადრი კეთილაძის ფოტო

პირველი ამერული გოლი დავით სევასტოპულოსი იყო

# გოჩა ჟორჟოლიანი სოხუმს ვერ ხედავს

თბილისი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. შევარდენი. 100 (ტევადობა 2 000)

**სოხუმი 0:3 ამერი**

0:1 სევასტოპულო (57), 0:2 ტატანაშვილი (82), 0:3 კოშკაძე (87)

*დეკანოსიძემ ვერ გაიტანა პენალტი (84, მეკარე)*

**სოხუმი:** ავ. ლაბაძე, მაჩალაძე (ლ. ჩხაიძე 76), ზ. ჯელაძე, წერეთელი, გ. ჩხაიძე, რუსია, ქვანია, ხაჩიძე (სილაგაძე 87), ი. ქანტურია (ფარჯიანი 81), ჩომახიძე, გადელია
*სათადარიგონი:* ხეფიაშვილი, ჭყონიძე, მამფორია, შამუგია
**მწვრთნელი:** გოჩა ჟორჟოლიანი

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გ. კვახაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ბერიანიძე, დარსანია (კედელაშვილი 86), დეკანოსიძე, კოშკაძე, ა. კაიდარაშვილი (გ. ჩხეტიანი 68), სევასტოპულო, ს. დავითაშვილი (ტატანაშვილი 76)
*სათადარიგონი:* ნაჭყებია, ნ. ნადირაძე, ზუალავა, ჩიმაკაძე
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**ინსპექტორი:** მ. ჭელიძე

**კახა შალამბერიძე**

— პირველ ტაიმში შეცდომები გვქონდა და აგრესიაც გვაკლდა. ამის გამო იყო, რომ გაგვიჭირდა, თუმცა შესვენების მერე ხარვეზები გამოვასწორეთ — იტყვის მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თბილისის „ამერის“ თავკაცი გიორგი ჩიხრაძე და ჩვენც სხვა გზა არ გვაქვს, უნდა დავეთანხმოთ.

„ამერს“ პირველ ნახევარში გაუჭირდა, სველ მოედანზე ბურთის გაგორებას თავი ვერ მოაბა, ფლანგებს ვერ იყენებდა, ხოლო „დაარტყი და გაიქეცი“ სოხუმელებსაც „არანაკლებ“ გამოსდიოდათ. მოკლედ, ერთი-ორი ეპიზოდის გარდა გუნდები ვერაფრით აკვირვებდნენ ერთმანეთს, თუმცა ბრძოლა და ჟინი არ იყოო, რომ ვთქვათ, მოგატყუებთ.

ყველაზე მეტი სახიფათო მომენტი პირველ ოც წუთში ვნახეთ: გიორგი დეკანოსიძის და სულიკო დავითაშვილის დარტყმულებს მეკარე გადაეფარა, ერთხელ ვახტანგ ხვადაგიანმა ოთხი-ხუთი მეტრიდან ვერ დაუმიზნა კარს, ხოლო 21-ე წუთზე „სოხუმი“ გოლს როგორ გადაურჩა, ახლაც ვერ აგვიხსნია — მეკარის ბაქანზე შექმნილმა არეულობამ ერთბაშად სამი ამერელი დააბნია, ერთმა ბურთს ფეხი მიუცაცუნა, მეორე ვარდნაში ვერ მისწვდა, მესამე კი... მესამემ საერთოდ ვერ დაინახა, სად იყო ბურთი, რომელსაც ავთანდილ ლაბაძე ქორისგან დაშინებული კრუხივით გადაჰფარებოდა.

გატანა სოხუმელებსაც შეეძლოთ, როცა მცველების შეცდომით მამუკა რუსია მეკარეს პირისპირ შეეფეთა, მაგრამ ფორვარდის დარტყმული მეტისმეტად არაზუსტი გამოდგა.

ტაიმის ბოლომდე სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა, თუმცა... მოხდებოდა, ამერელთა მეკარე ლადო ნადირაშვილს შოთა ჩომახიძის საჯარიმო რომ არ მოეგერიებინა. ეს მომენტი ერთი შეხედვით დიდი ხიფათის მომტანი არ ჩანდა, მაგრამ ბურთმა მოულოდნელად ისეთი ტრაექტორია მიიღო, რომ... ერთი სიტყვით, „ამერიც“ გადარჩა.

შესვენების შემდეგ სულ სხვა თამაში წავიდა. ისედაც მოუმზადებელ-დაულაგებელ „სოხუმს“ დაღლა დაეტყო, „ამერი“ კი პირიქით, უფრო მობილიზებული გავიდა მოედანზე და მალე გაიხარა კიდეც: 57-ე წუთი იყო, ალექსანდრე კოშკაძემ აუტიდან დავითაშვილს რომ მიაწოდა ბურთი, სულიკოს ბევრი არ უფიქრია, საჯარიმოში ჩააწოდა და დავით სევასტოპულომ ვარდნაში შეკდო.

სტუმრებმა თავი სამშვიდობოს დაიგულეს და უფრო დინჯად ათამაშდნენ, მასპინძელთა დაცვაც სადღაც გაქრა და ბოლო ოც წუთში ამერელები „მოსაწევის“ გარეშე შედი-გამოდიოდნენ მეტოქის საჯარიმოში.

მეორე გოლამდე სტუმრებმა ორი მომენტი გააცუდეს — დეკანოსიძემ და დავითაშვილმა ხელსაყრელ ეპიზოდებში იჩქარეს. 82-ე წუთზე კი შეცვლაზე შესულმა დიმიტრი ტატანაშვილმა კოშკაძის უჭკვიანურესი პასის შემდეგ სამქულიანი წერტილი დასვა — 0:2.

თუმცა ყველაფერი აქ როდი დასრულდა: დარჩენილ დროში „ამერმა“ პენალტის გაცუდებაც მოასწრო და მესამე გოლის გატანაც — გიორგი დეკანოსიძემ სევასტოპულოს მოცელვისთვის დანიშნული პენალტით ვერ იხეირა, თუმც შეცდომა წუთში გამოასწორა და კოშკაძეს ისეთი პასი დაუხატა, რომ...

## პრესკონფერენცია

*გიორგი ჩიხრაძე:* ჩემთვის სოხუმის „დინამო“ ძალიან ბევრს ნიშნავს, თავის დროზე ამ გუნდში ვთამაშობდი და ახლაც შემტკივა გული. ამის გამო ეს მატჩი საკმაოდ პრინციპული იყო ჩემთვის. ისიც გაითვალისწინეთ, რომ „ამერში“ რამდენიმე სოხუმელი მუშაობს, „დინამოში“ კი რამდენიმე ყოფილი ამერელი თამაშობს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით მატჩი საკმაოდ ხისტი და ჟინიანი იყო. კმაყოფილი ვარ, რომ მოვიგეთ. ამას კი მეორე ტაიმში სწორი თამაშით მივაღწიეთ.

*გოჩა ჟორჟოლიანი:* სოხუმურ თემას ერთსაც დავამატებ — სწორედ გიორგი ჩიხრაძემ გაიტანა ვოლგოგრადში ის გოლი, რომლითაც სოხუმის „დინამო“ საბჭოთა კავშირის პირველ ლიგაში გადავიდა. ჩვენ მაშინ ერთად ვთამაშობდით, დღეს კი... რა გითხრათ, ჩემი გუნდი პირველ გოლამდე თამაშობს. გოლი გავუშვით და მოედანზე „ამერის“ გარდა ვერავის ვხედავდი. ჩემები სადღაც დაიკარგნენ.

# ბორჯომობა ნაირგოლების ჭყაპა-ჭყუპი

თბილისი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპიკი. 50 (ტევადობა 200)

**ბორჯომი 5:0 სპარტაკი**

1:0, 2:0 აფციაური (2, 11), 3:0 გაბისკირია (17), 4:0 შ. ჯიქია (34), 5:0 ნასყიდაშვილი (81)

**ბორჯომი:** მამალაძე (მამარდაშვილი 46), ა. ბურნაძე, ბაქრაძე, ლ. ქელიძე, მემარნიშვილი, მესხი (ნასყიდაშვილი 46), გვირჯიშვილი, შ. ჯიქია (რ. ჯიქია 46), გაბისკირია, ვ. გოჩაშვილი, აფციაური
*სათადარიგონი:* მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, ქორიძე, მიქიაშვილი
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**სპარტაკი:** ალ. ლაბაძე (ჩაფიძე 46), დონდოლაძე, რიჟამაძე, დ. ფიფია, ჯორბენაძე (ჩანტლაძე 46), თ. დემეტრაძე, კბილცეცხლაშვილი, კობალაძე, ტაბიძე, ურუშაძე, დანელია (გაგნიძე 71)
*სათადარიგონი:* ა. ჯანელიძე, მალანია
**მწვრთნელი:** გიგლა იმნაძე

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), დ. კურტანიძე (ხაშური); გ. ასკაროელი (ქარელი)

**ინსპექტორი:** ა. შალამბერიძე

**ილია ნანობაშვილი**

**გუშინ** ბორჯომქალაქობა იყო და, ისე როგორ იქნებოდა, „ბორჯომს“ არ ედღესასწაულა. სოსო ფრუიძის გუნდმა აქამდე ზედიზედ ორი თამაში წააგო და კაციშვილს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ თბილისის „სპარტაკთან“ იყრიდა ჯავრს.

5:0 ყველაფერზე მეტყველებს, თანაც ქართლელებს არ ჰყავდათ მთავარმეგოლე გიორგი ქორიძე, რომელზეც ფრუიძემ ნამატჩევს თქვა, ბოლო ტურებში ფორმაში ვერაა და დასვენების საშუალება მივეციო.

ქორიძე „ბორჯომს“ გუშინ სულაც არ სჭირდებოდა, მაგრამ „სპარტაკის“ თავკაცმა გიგლა იმნაძემ ისედაც წინასწარ წაგებულ გუნდს უარესობა დამართა: იმნაძემ ექვსი წამყვანი ფეხბურთელი — დევაძე, ჯანგიძე, მჭედლიშვილი, კოტრიკაძე, ლუჭაშვილი, იმნაიშვილი, მალაფერიძე — არ ათამაშა, უცნაურია, მაგრამ, ახალგაზრდები გამოვცადეო, ასე თქვა.

...ტალახი და გუბეები — „ოლიმპიკის“ სტადიონი გადაუღებელმა წვიმამ სულ გააპარტახა. მინდვრის ლამის მესამედზე ალაგ-ალაგ გუბეები იდგა და სანამ პასს გააკეთებდი ან კარში დაარტყამდი, ჯერ ზუსტად უნდა გაგეთვალა, სად გაჩერდებოდა ბურთი.

ასეთ ჭყაპბურთში გაილია მთელი თამაში, ქომაგებიც სიცილით ხვდებოდნენ ბურთის ტალახში ტრიალს. ისიც ითქვა, გუშინ „მიდლსბრო“ — მანჩესტერი“ რომ თამაშობდნენ, იმასაც მინდორი ჰქვია და ამასაცო?!

...უკვე მე-2 წუთზე ბორჯომელმა თორნიკე აფციაურმა თავისივე მოპოვებული საჯარიმო გოლად აქცია, თუმცა „სპარტაკის“ მეკარე ალექსი ლაბაძეს ცოტა მეტი ფხა უნდა გამოეჩინა. ცოტაც და, აფციაურმა 25-30 მეტრიდან შესვა ბურთი კარში, ხოლო მე-17 წუთზე უბერებელმა იური გაბისკირიამაც საჯარიმოს გარედან ჩააზრიალა — 3:0.

„სპარტაკს“ იქვე შეეძლო გატანა, მაგრამ კობა კობალაძემ ათიოდ მეტრიდან ააცილა. „სპარტაკი“ ხომ იტანჯებოდა და იტანჯებოდა, „ბორჯომსაც“ ხიფა გააცალა ამ გუბეებმა, ზუსტი პასის გაკეთებას მილიმეტრებში გათვლა სჭირდებოდა...

34-ე წუთზე პაატა გვირჯიშვილის მარცხნიდან ჩაწოდებულს შოთა ჯიქიამ ცარიელ კარში შეუშვირა ფეხი და ტაიმიც 4:0 მორჩა, თუმცა შესვენების წინ აფციაურმა ოთხი-ხუთი მეტრიდან ლამის ათი მეტრით გადააცილა კარს და ისეთი კომიკური მომენტი იყო, თავად თორნიკესაც ეცინებოდა.

მეორე ტაიმში „ბორჯომი“ გაჩერდა, მაინცდამაინც აღარ იწევდა კარისკენ და იმ მეხუთე გოლსაც ვერ გაიტანდა, მაგრამ გუბე აქ არ იყო? გაბისკირიას დარტყმული ბურთი კარგა ღრმა გუბეში გაჩერდა და შეცვლაზე შესულმა 19 წლის თამაზ ნასყიდაშვილმაც მაღლიდან ამოჰკრა — 5:0.

## პრესკონფერენცია

*სოსო ფრუიძე:* სერიოზულად დავუდექით თამაშს. ამინდმა ძალიან იმოქმედა, მაგრამ სიჩქარე და ბრძოლა ვნახეთ. ნასყიდაშვილი ახალგაზრდაა და, როცა საშუალება მოგვეცემა, სათამაშო პრაქტიკას არ მოვაკლებთ.

*გიგლა იმნაძე:* ბავშვებმა რაც შეეძლოთ, ის ითამაშეს. იბრძოლეს, მოინდომეს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. ჩვეული შემადგენლობითაც რომ გვეთამაშა, არა მგონია, შანსი გვქონოდა. ამიტომაც ახალგაზრდები გამოვცადეთ. დიდი განსხვავება არაა, ვერც იმათ გააქვთ გოლი და ვერც ამათ.

**სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს თანამშრომელს ზურაბ წერეთელს დედის გარდაცვალების გამო**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 11 ტური

# დინამომ ლოკომოტივის ათმატჩიანი დაამთავრა, იაშვილმა კი პირველი წრე

თბილისი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. ეროვნული. 600 (ტევადობა 70 900)

## დინამო 1:0 ლოკომოტივი

1:0 იაშვილი (3)

ნოზაძემ ვერ გაიტანა პენალტი (3, მეკარე)

| | |
|---|---|
| დინამო: გრიშიკაშვილი, გიგაური, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, ალადაშვილი, სახვაძე (აკობია 73), ლ. ნოზაძე, გ. მერებაშვილი, ბობოხიძე, მეგრელაძე (ლ. მელქაძე 17), ს. იაშვილი (ჩირიკაშვილი 35) სათადარიგონი: სტურუა, ორბელაძე, ბ. ქელიძე, დვალიშვილი მწვრთნელი: კახა ცხადაძე | ლოკომოტივი: გ. ჭანტურია, ინომოვი, მახვილაძე, გ. ონიანი, ხვთისიძე, რ. ონიანი, ქებაძე, სირაძე, ნიჟაძე (დ. ფოფხაძე 33), გახელიშვილი (რამონი 80), სირბილაძე სათადარიგონი: ლომაძე, ყიფიანი, პანოვი, სარაძე, ფურთუხია მწვრთნელი: ნოდარ აკობია |

გაფრთხილება: ჭანტურია (2), ალადაშვილი (74)

გაძევება: რ. ონიანი (3)

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

ინსპექტორი: ნ. კაკულია

დავით თავართქილაძე

გიორგი ონიანს სველ მინდორზე ფეხი დაუცდა, ბურთი სანდრო იაშვილმა მიიგდო, შეიჭრა „ლოკომოტივის" საჯარიმოში და მიხეილ მახვილაძესთან ორთაბრძოლაში წაიქცა. მატჩის არბიტრმა ალექსანდრე მეშკოვმა 11-მეტრიანი დანიშნა — ლაშა ნოზაძეს გრიგოლ ჭანტურიამ აუღო, მაგრამ დამატებაზე იაშვილმა იყოჩაღა და გამარჯვებისა შეაგდო. როინ ონიანი კი მსაჯთან შელაპარაკებისთვის გააძევეს...

ასე დასრულდა თბილისის „ლოკომოტივის" ათმატჩიანი წაუგებელი სერია მიმდინარე ჩემპიონატში. ამ მარცხით „ლოკომოტივი" ერთი ადგილით ჩაქვეითდა, „დინამო" კი მეხუთეზე დარჩა, თუმც ლიდერთა დასაწევად ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

...დინამოელებს მატჩის გმირი სანდრო იაშვილი ისე დაუშავდათ, რომ შესაცვლელი შეიქნა — იაშვილს კუნთი გაუწყდა და ექიმთა გუშინდელი ვარაუდით, წლეულს ვერ ითამაშებს.

-გოლგაშვებული და კაცნაკლული „ლოკომოტივი" არ შედრკა, მცირე ტერიტორიული უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ სახიფათო მომენტებს ვერ ქმნიდა მეტოქის კართან. სტუმრებმა ერთი-ორი ჯარიმა მოინადირეს „დინამოს" კარის სიახლოვეს, მაგრამ ისინი ულაზათოდ შეასრულეს.



სანდრო იაშვილი მოედანს გაისამდე გამოეთხოვა

სამაგიეროდ, „დინამომ" მოახერხა რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა, რომელთაგან საკუთარი შანსი იაშვილს ჰქონდა, მიხეილ ბობოხიძის პასით ჭანტურიას პირისპირ აღმოჩნდა, გასცდა მეკარეს, მაგრამ მახვილი კუთხიდან მიზანს ააცილა.

„ლოკომოტივიდან" ცენტრაფორვარდი ირაკლი სირბილაძე გამოირჩა. ის მედგრად იბრძოდა ყველა ბურთზე, სულ მოძრაობდა, იხსნებოდა და ხშირ შემთხვევაში დინამოელებთან ორთაბრძოლებში იმარჯვებდა. ერთხელ ოციოდე მეტრიდან დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ სოსო გრიშიკაშვილს კარის ხარიხას გადაავლო ბურთი.

ათკაცა „ლოკომოტივი" მეორე ტაიმში დაილლება და დარჩენილ 45 წუთში ჯანი არ ეყოფა — ეს ალბათ ლოგიკური ვარაუდი იყო, მაგრამ ასე არ მოხდა.

შეიძლება ითქვას, მეორე ტაიმში „ლოკომოტივს" ტერიტორიული უპირატესობაც ჰქონდა, ბურთს „დინამოზე" მეტხანსაც ფლობდა, თუმც გოლის გასატანი ღონე აღარ აღმოაჩნდა.

„ლოკომოტივის" გამუდმებულ, მაგრამ უხეირო იერიშებს „დინამომ" 68-ე წუთზე უპასუხა — გიორგი მერებაშვილის 17-18 მეტრიდან გასროლილი ჭანტურიამ ხელებში გააქვავა.

ნოდარ აკობიას გუნდს გათანაბრების პირველი კარგი შანსი 76-ე წუთზე შეექმნა — ჯარიმის დარტყმა სირბილაძემ ითავა და ცოცხალი კედლიდან ასხლეტილ ბურთს ლაშა ქებაძემ დაჰკრა თავი, თუმც ოდნავ აცილა გრიშიკაშვილის კარს.

ცოტაც და, ერთხელაც გამოირჩა სირბილაძე, მარჯვნიდან შეიჭრა „დინამოს" საჯარიმოში, ერთი მცველი გააცურა და ბურთი დავით სირაძეს დაუგორა, მაგრამ მის ძლიერად დარტყმულს ნოზაძე გადაეფარა.

უნდა ითქვას, რომ მეორე ტაიმი „დინამომ" პირველზე უარესად ჩაატარა, დინამოელები ხანდახან ბურთის მოცილებაზეც თამაშობდნენ. თუმც მასპინძლებმა რამდენიმე სახიფათო კონტრიერიში გაჩარხეს და რომ არა ჭანტურია, მერებაშვილის მოხდენილი დარტყმით „დინამო" მეორე გოლსაც გაიტანდა.

### პრესკონფერენცია

*ნოდარ აკობია:* ჩვენ მატჩის დასაწყისშივე ათი კაცით დავრჩით, რაც „დინამომ" კარგად გამოიყენა და გაიმარჯვა.

*კახა ცხადაძე:* მეორე ტაიმში ჩვენი ფეხბურთელები ზედმეტად ფრთხილობდნენ, ხოლო ის გუნდი, რომელიც აგებს, შეტევაში მიდის. მეტოქემ მხოლოდ ერთი ხიფათი შეგვიქმნა, მაგრამ ნოზაძე კარგად ჩაუხტა ბურთს. „ლოკომოტივი" რომ სირბილაძის მისამართით გააგზავნიდა მაღალ ბურთებს, ამას ველოდით.

თელავი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. მიმი ჩოხელი. 500 (ტევადობა 7 000)

## კახეთი 3:2 კოლხეთი

1:0 არუდაშვილი (13), 1:1 კრასოვსკი (38), 2:1, 3:1 სოსელია (59, 61), 3:2 ჯანაშია (69)

| | |
|---|---|
| კახეთი: გიგა იაშვილი, ტარულაშვილი, გ. ნადირაშვილი, ა. კვირკველია, ბედოიძე, კვლიშვილი, კობაიძე, დ. ბურდული, ბ. ბურნაძე (ტიტიაშვილი 82), სოსელია (კუპრაშვილი 90), არუდაშვილი სათადარიგონი: ძამუნაშვილი, ბიძინაშვილი, ი. სიხარულიძე, ამირანიძე, იზორია მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი | კოლხეთი: ბათიაშვილი, გ. კილასონია, ჯ. შალამბერიძე, ფარულავა, დ. ნარსია (სამსეიშვილი 70), ქუტიძე, ვართაგავა (ზ. რაზმაძე 70), მარგალიტაძე, კრასოვსკი, ზ. ქუთათელაძე, ზ. ჯანაშია სათადარიგონი: ლატარია; ლოლუა, ნაბრია მწვრთნელი: სოსო ფილია |

გაფრთხილება: არუდაშვილი (18), კრასოვსკი (21), ნადირაშვილი (36), ჯანაშია (80), იაშვილი (80), ბურდული (81)

მსაჯები: ბ. დოგრაშვილი; ნ. რუსიაშვილი, კ. გაბრიაძე (სამივე ქუთაისი); გ. ვადაჭკორია (თბილისი)

ინსპექტორი: გ. სილაგავა

# შემოდგომის ნისლია...

გიორგი ვაშაკიძე *თელავიდან*

თელავში ისეთი ნისლი იყო, თამაში კინაღამ ჩაიშალა — მეორე ტაიმის უმეტესი ნაწილი წესიერად არც გვინახავს — არაფერი ჩანდა და მხოლოდ ფეხბურთელთა რეაქციით თუ ვხვდებოდით, რომ გოლი გავიდა.

ნისლის გამო მატჩი 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო. ასეთ ამინდში ფეხბურთელებს ხეირიან თამაშს ვერავინ მოსთხოვდა, ყველაფერი იღბალსა და სიფხიზლეზე იყო დამოკიდებული.

პირველივე მომენტი გოლად იქცა: მიხეილ სოსელიას ჯარიმიდან ჩაწოდებულზე ვასილ არუდაშვილმა ყველას დაასწრო და ბურთი ძელასხლეტით შევარდა კარში — 1:0.

სოსელიას მალე თავადაც შეეძლო გატანა, თითქმის პირისპირ იყო ზურაბ ბათიაშვილთან, მაგრამ...

ნახევარ საათში ნისლი გაიფანტა და ტაიმის ბოლო 15 წუთს „კომფორტულად" ვუყურეთ. სწორედ ამ დროს შექმნეს ფოთელებმა საგოლე მომენტი, მაგრამ გიორგი კრასოვსკის დარტყმისას ფეხი დაუცდა.

38-ე წუთზე კი კრასოვსკიმ მაინც იხეირა: „კახეთის" შეტევისას გიორგი ნადირაშვილი დაშავდა, ფოთელებმა თამაში არ გააჩერეს, სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს. კრასოვსკიმ მცველი მოატყუა და ზუსტადაც დაარტყა — 1:1.

თელაველი ქომაგები აღშფოთდნენ, თამაშიც ნერვიული გახდა და ორ წუთში ლამის გუნდი გუნდზე ატყდა ჩხუბი. გულშემატკივრები მსაჯს ამტყუნებდნენ, გოლამდე თამაში რომ არ გააჩერა, მისი ბრალიაო.

მეორე ტაიმიც დაგვიანებით დაიწყო: ისევ ნისლი...

მატჩის ინსპექტორმა ელგუჯა სილაგავამ ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებს ტელეფონით დაუკავშირდა, გადაედო თუ არა თამაში. 30 წუთი დაელოდეთ და თუ არ გაიფანტა ნისლი, მაშინ სხვა რა ძალაა, უპასუხეს.

დაახლოებით 20 წუთში ბურთი ისევ გაგორდა, მაგრამ... 75-ე წუთამდე არაფერი ჩანდა. როგორც შემდეგ გავიგეთ, მიხეილ სოსელიამ პირველი გოლი ნაკუთხურალზე გაიტანა, მეორე კი მეკარესთან პირისპირ გასვლისას.

სათადარიგოთა სკამიდან შედარებით უკეთ ჩანდა მოედანი და ვინც იქ იჯდა, იმათ თქვეს, სწორედ იმ ნისლისას იყო კარგი მომენტებიო. ასეა თუ ისე, „კახეთმა" მორიგი საშინაო სამი ქულა ჩაიწერა, „კოლხეთი" კი სტუმრად კვლავ უქულოა.

### პრესკონფერენცია

*სოსო ფილია:* ტექნიკაზე და თამაშის ხარისხზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ამინდმა ხელი არ შეგვიწყო. მომენტების გამოუყენებლობა ჩვენი აქილევსის ქუსლია. შევეცდლო, თამაშის გადადება მოგვეთხოვა, მაგრამ თელავში ხელმეორედ ჩამოსვლა დამატებითი ხარჯია და ამიტომაც მოვერიდეთ.

*ჯემალ მახარაშვილი:* სამწუხაროდ, მაყურებელმა ფაქტობრივად ვერ ნახა მატჩი, მაგრამ დაძაბული და საინტერესო თამაში კი გამოვიდა. ისე, ფორტუნამაც გაგვიღიმა.


## თქვენი ინტერვიუ
## ნოდარ ახალკაცთან

*რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი იქნება.*

*კითხვები 8 ნოემბრამდე მოგვაწოდეთ და პრეზიდენტთან თქვენს ინტერვიუს არაუგვიანეს 11 ნოემბრამდე გამოვაქვეყნებთ. ერთი სიტყვით, იაქტიურეთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net




საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 11 ტური



კახა ჩხეტიანის (მარჯვნივ) „ზესტაფონში“ მოგების გემო გორელებთან მატჩში გაიხსენა

# ზესტაფონი გორს გადაავორდა
## სად თქვენ და სად ჩვენ?

ზესტაფონი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური. 6 000 (ტევადობა 10 000)

### ზესტაფონი 2:0 დილა

1:0 იმედაძე (5), 2:0 ქარქუზაშვილი (87ს.კ.)

*იმედაძემ ვერ გაიტანა პენალტი (87, მეკარე)*

**ზესტაფონი:** ქვარიანი, ძამსაშვილი, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, განუგრავა (ბესარაშვილი 61), იმედაძე, გ. თურმანიძე, ბ. ნოზაძე, ბ. გოცირიძე (ნუდნი 79), იონანიძე (გოგი ფიფია 70)
*სათადარიგონი:* ბზიკაძე, რ. კვერნაძე, ბენაშვილი, ივანიშვილი
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**დილა:** თ. ილურიძე, ტლაშაძე, საქაპურიძე, ქარქუზაშვილი, ლ. გოშაშვილი, რევაზიშვილი (დ. ნადირაძე 90), მ. თავაძე, კ. ხანიშვილი, წუწუნავა (ლაბაძე 63), სულთანიშვილი (მძინარიშვილი 80), კობახიძე
*სათადარიგონი:* ნასყიდაშვილი, თომაშვილი, მახურაშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**გაფრთხილება:** საქაპურიძე (20), ტლაშაძე (66)

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**ინსპექტორი:** გ. ეჯიბია; **დირექტორი:** გ. ქორიძე

**ზაზა ცინცაძე** *ზესტაფონიდან*

— „ზესტაფონი“ და გორის „დილა“ საქართველოს ჩემპიონატში სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამოდიან, იმერლები მაღალი მიზნებისთვის იბრძვიან, ჩვენი ამოცანა კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. დღეს მეტოქემ გვაჯობა და დამსახურებულადაც მოიპოვა სამი ქულა — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ქართლელთა დამრიგებელმა ვლადიმერ ხაჩიძემ და ძნელია, არ დაეთანხმო მის სიტყვებს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „დილა“ ძლივს შოულობს გასვლით მატჩებზე წასასვლელ ფულს. ხელფასებზე და პრემიებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი...

აი, „ზესტაფონს“ კი რეაბილიტაცია სჭირდებოდა საკუთარი მაყურებლის წინაშე. იმერლებს ზედიზედ ოთხი მატჩი ვერ მოეგოთ და „დილასთან“ თუ არა, აბა, ვისთან უნდა გაეტეხათ ნავსი...

ფეროელებმა სწრაფი გოლის გატანა მოახერხეს და თამაშის სადავეები თავიდანვე ხელთ იგდეს. მე-5 წუთზე გიორგი იმედაძე კარგად შევიდა გორელთა საჯარიმოში, ცრუმოძრაობით რამდენიმე მცველი ჩამოიტოვა და მახვილი კუთხიდან დალაშქრა გორელთა კარი — 1:0.

21-ე წუთზე სტუმრები საკუთარი საჯარიმოსთან ზურაბ იონანიძის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ — ჯარიმა კაპიტანმა გიორგი თურმანიძემ შეასრულა, თამაზ ილურიძემ ბურთი ვერ შეიმაგრა, თუმცა იქვე მყოფმა იონანიძემ და გოცირიძემ საჩუქრით ვერ იხეირეს.

ტაიმის ბოლოს კახა ჩხეტიანმა კარგი გადაცემა გაუკეთა იმედაძეს, მაგრამ გიორგის დარტყმული მცირე მანძილით ასცდა გორელთა კარს.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე გოცირიძეს შეექმნა ხელსაყრელი მომენტი, თუმცა მისმა დარტყმულმა ხარიხა შეაზანზარა. მალე იმავ იმედაძეს შეეძლო, დუბლი გაეხერხებინა, მაგრამ სამი მეტრიდან ბურთი მეკარეს მოარტყა. ისე, ილურიძესაც ნუ დავუკარგავთ თავისას — სწორად აირჩია პოზიცია.

65-ე წუთზე სტუმრებს გათანაბრების შანსი მიეცათ: საბა სულთანიშვილმა მოჭრილი პასით ალექსანდრე ლაბაძე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ფორვარდმა მცირედით ააცილა მიზანს.

მატჩის მიწურულს სოხუმელმა არბიტრმა დავით სანაიამ სტუმართა კარში პენალტი დანიშნა — გორელებმა საჯარიმოში ხელით ითამაშესო. პენალტი გია იმედაძემ შეასრულა, თუმცა თამაზ ილურიძემ კუთხე გამოიცნო და ბურთი მოიგერია, დამატებაზე იმავ იმედაძეს ისევ შეეძლო გატანა, მაგრამ გივი ქარქუზაშვილმა დაასწრო და ბურთი საკუთარ კარში გადაგზავნა — 2:0.

ბოლო წუთებზე გოგი ფიფიას ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ პირველ შემთხვევაში მცველებმა ითამაშეს კარგად, მეორედ კი მეკარემ იყოჩაღა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 11 | 8 | 1 | 1 | 26:7 | 28 |
| სიონი | 11 | 8 | 1 | 2 | 22:10 | 25 |
| ბორჯომი | 11 | 8 | 0 | 3 | 23:9 | 24 |
| ლოკომოტივი | 11 | 7 | 3 | 1 | 15:3 | 24 |
| დინამო | 11 | 7 | 1 | 3 | 16:6 | 22 |
| ამერი | 11 | 7 | 1 | 3 | 12:7 | 22 |
| ზესტაფონი | 11 | 5 | 2 | 4 | 8:9 | 17 |
| ბათუმი | 10 | 5 | 1 | 4 | 7:6 | 16 |
| დილა | 11 | 5 | 0 | 6 | 15:12 | 15 |
| კოლხეთი | 11 | 5 | 0 | 6 | 11:12 | 15 |
| კახეთი | 11 | 5 | 0 | 6 | 12:16 | 15 |
| ცხინვალი | 11 | 3 | 1 | 7 | 7:18 | 10 |
| ტორპედო | 11 | 2 | 3 | 6 | 6:11 | 9 |
| სოხუმი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:27 | 7 |
| სპარტაკი | 11 | 1 | 1 | 9 | 2:19 | 4 |
| თბილისი | 10 | 0 | 0 | 10 | 2:20 | 0 |

გორი. 30 ოქტომბერი. 15 საათი. ქართლი. 80 მაყურებელი

### ცხინვალი 0:0 ტორპედო

**ცხინვალი:** სოლოლაშვილი, ეჯოშვილი, ქობესაშვილი, ლომიძე, დ. ხანიშვილი, მოსიაშვილი, გამცემლიძე, დათვაძე, დ. მაისურაძე, ბ. ჩიტაია (ბოლოთაშვილი 73), ბაკარანძე
*სათადარიგონი:* შენგელია, გ. მაისურაძე, ფერსაევი, ნოზაძე, ზედგენიძე, ახალკაცი
**მწვრთნელი:** ივანე თაყაძე

**ტორპედო:** რევიშვილი, მაღლაკელიძე, ხურცილავა (ორმოცაძე 85), რ. ბარაბაძე, ლალიძე, კ. სვანიძე, დ. ჯანაშია, ზ. ჩხეტიანი, მ. ლონლაძე, მდივნიშვილი (ტეხოვი 46), ძოძუაშვილი (კ. შალამბერიძე 88)
*სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; ჯაში, ბურჯანაძე, ა. კვერნაძე
**მწვრთნელი:** რევაზ ბურნაძე

**გაფრთხილება:** ხანიშვილი (20), ეჯოშვილი (40), დ. მაისურაძე (42), ბაკარანძე (50), ლონლაძე (53), ბარაბაძე (62), დათვაძე (65)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; მ. ურუშაძე, ა. ნონიკაშვილი; ლ. სილაგავა (ყველა თბილისი)

**ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

# სიოცხვილო!

**ტარიელ შოთნიაშვილი** *გორიდან*

**წვიმის** მიუხედავად მეტოქეებმა მთელი მატჩი უშელავათო ბრძოლაში ჩაატარეს, რაც გაფრთხილებათა რაოდენობიდანაც ჩანს. სტუმრები უფრო სწრაფად შეეგუენ სველ მძიმე საფარს და პირველი სახიფათო მომენტიც თამაშის დასაწყისშივე შეიქმნა: მე-10 წუთზე მდივნიშვილმა მარცხენა ფლანგიდან კარგად მიაწოდა კარის წინ უმეთვალყუროდ დარჩენილ ძოძუაშვილს, მაგრამ მისი დარტყმული ზემოდან გადასცდა „ცხინვალის“ კარს.

მასპინძლები კონტრშეტევებზე თამაშს ცდილობდნენ, მაგრამ ნახევარმცველები თავდამსხმელებს ბურთს დროულად ვერ აწოდებდნენ და სტუმართა კართანაც პირველ ტაიმში საგოლე მომენტი თითქმის არც შექმნილა.

25-ე წუთზე კვლავ მერაბ ძოძუაშვილი აქტიურობდა — მისი დარტყმული რამაზ ხილილაშვილმა ნახტომში მოიგერია. 34-ე წუთზე კვლავ მწვავე მომენტი შეიქმნა მასპინძელთა კარიან, როცა მამუკა ლონლაძემ დაარტყა ძლიერად, მაგრამ ისევ მეკარემ იმარჯვა.

მატჩის მეორე ნახევარიც მწირმომენტიანი გამოდგა. კარგა ხანს სახეირო არაფერი მომხდარა, 72-ე წუთზე კი ისევ „ტორპედოს“ შეეძლო გატანა — ძოძუაშვილმა ლონლაძე თითქმის პირისპირ გაიყვანა მეკარესთან, მაგრამ ხილილაშვილმა სასწაულებრივ მოიგერია ბურთი.

თამაშის ბოლოსკენ გატანა „ცხინვალსაც“ შეეძლო, როცა 82-ე წუთზე მოსიაშვილი-ბოლოთაშვილის კომბინაციის შემდეგ საკმაოდ მწვავე ფლანგური გადაცემისას ოდნავ დააგვიანა პაატა ბაკარანძემ...

მატჩის მსვლელობისას კი საზიზღარი ამბავი მოხდა — შესვენებაზე გასახდელში შესულმა ტორპედოელებმა აღმოაჩინეს, რომ ისინი გაქურდეს! ქუთაისელებს მობილური ტელეფონები მოპარეს...

**პრესკონფერენცია**

*რევაზ ბურკაძე:* პირველ ტაიმში მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ნელ-ნელა წინსვლა გვეტყობა, სათამაშო დისციპლინით კმაყოფილი ვარ. სამწუხაროდ, გავცხარდით, მაგრამ მეორე ნახევარში ბიჭებმა კი ფსიქოლოგიური დარტყმა გადალახეს“.

*ზურაბ მაისურაძე, „ცხინვალის“ მწვრთნელის თანაშემწე:* ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხით და შედეგით უკმაყოფილო ვარ. ორი ქულა დავკარგეთ.

თბილისი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი

### თბილისი — ბათუმი

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი); **ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## საქართველოს 17 ჩემპიონატი — პირველი წრე — 12 ტური

ამერი 2 1:2 მერანი
მეშახტე 0:0 ვიტ ჯორჯია
რუსთავი 5:0 ლოკომოტივი 2
მესხეთი 3:0 თბილისი 2
ზესტაფონი 2 0:2 საგარეჯო
ლიახვი 0:2 დინამო 2
მეშაქრე 1:0 ზუგდიდი
ჩიხურა 3:1 გაგრა
მაღაროელი 1:0 გურია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 12 | 9 | 1 | 2 | 39:16 | 28 |
| დინამო 2 | 12 | 8 | 2 | 2 | 23:6 | 26 |
| მეშაქრე | 12 | 8 | 2 | 2 | 21:9 | 26 |
| მერანი | 12 | 7 | 3 | 2 | 16:8 | 24 |
| რუსთავი | 12 | 7 | 2 | 3 | 24:14 | 23 |
| ამერი 2 | 12 | 7 | 1 | 4 | 19:11 | 22 |
| გურია | 12 | 6 | 2 | 4 | 23:15 | 20 |
| მესხეთი | 12 | 5 | 3 | 4 | 17:17 | 18 |
| საგარეჯო | 12 | 5 | 2 | 5 | 13:11 | 17 |
| მეშახტე | 12 | 4 | 4 | 4 | 12:9 | 16 |
| გაგრა | 11 | 4 | 4 | 3 | 14:12 | 16 |
| ზუგდიდი | 12 | 4 | 3 | 5 | 5:9 | 15 |
| ლოკომოტივი 2 | 12 | 4 | 1 | 7 | 10:22 | 13 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 11 | 3 | 3 | 5 | 8:10 | 12 |
| თბილისი 2 | 11 | 2 | 2 | 7 | 10:22 | 8 |
| მაღაროელი | 12 | 2 | 1 | 9 | 10:35 | 7 |
| ლიახვი | 12 | 2 | 0 | 10 | 10:31 | 6 |
| ზესტაფონი 2 | 9 | 0 | 0 | 9 | 7:24 | 0 |

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XI ტური

**ჩელსი 4:2 ბლეკბერნი**

1:0 დროგბა (10), 2:0 ლამპარდი (14), 2:1, 2:2 ბელამი (18პ, 44), 3:2 ლამპარდი (62), 4:2 ჯო კოული (74)
ჩელსი: ჩეხი, გალასი, დელ ორნო, კარვალიუ, ტერი, ჯო კოული (გუდიონსენი 78), ესიენი, ლამპარდი, მაკელელე, შ. რაიტ-ფილიპსი (რობენი 68), დროგბა (კრესპო 80)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ბლეკბერნი: ფრიდელი, გრეი, ხიზანიშვილი, ნეილი, ტოდი, ემერტონი, პედერსენი, სევიჯი (მოკოენა 77), თუგაი (რიდი 72), ბელამი, კუკი (დიკოვი 76)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ჯო კოული, პედერსენი, თუგაი, ხიზანიშვილი, რიდი, დიკოვი
მსაჯი: რაილი
41 553 მაყურებელი

**ლივერპული 2:0 ვესტ ჰემი**

1:0 ალონსო (18), 2:0 ზენდენი (82)
ლივერპული: რეინა, კარაგერი, ფინანი, ჰიიპია, ალონსო, ჯერარდი, გარსია, სისოკო, რიისე, სისე (ზენდენი 73), მორიენტესი (კრუჩი 90)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ფერდინანდი, გაბიდონი, კონჩესკი, მულინსი, რეპკა (კოლინზი 81), ბენაიუნი, ეტერინგტონი (შერინგემი 67), რეო-კოკერი, ბოლიონი (ელდიერი 60), ჰარვუდი
მწვრთნელი: ალან პერდიუ
გაფრთხილება: მორიენტესი, ფინანი
მსაჯი: რენი
44 537 მაყურებელი

**მიდლსბრო 4:1 მანჩესტერი**

1:0 მენდიეტა (2), 2:0 ჰასელბაინკი (25), 3:0 აიგბენი (45პ), 4:0 მენდიეტა (78), 4:1 კ. რონალდო (90)
მიდლსბრო: შვარცერი, ბეიტსი, კუდრუ, რიგოტი, ბოატენგი, მენდიეტა (მორისონი 87), პარნაბი, პოგატეცი, როჩემბაკი (დორივა 64), ჰასელბაინკი (ნემეტი 79), აიგბენი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბარდსლი (რიჩარდსონი 31), ფერდინანდი (ბრაუნი 87), ოში, სილვესტერი, ფლეტჩერი, სქოულზი, პარკი (რონალდო 60), რუნი, სმიტი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: პოგატეცი, ვან ნისტელროი, სმიტი, ფლეტჩერი, ოში
მსაჯი: უილი
30 579 მაყურებელი

**უიგანი 1:0 ფულემი**

1:0 ჩიმბონდა (90)
უიგანი: ფილანი, ჰეინსი (მაკმილანი 74), ჩიმბონდა, დე ზეუვი, ანშო, ბულარდი (ტილი 84), რ. ტეილორი, ფრენსისი, კავანაგი, მაჰონი (იოჰანსონი 62), კამარა
მწვრთნელი: პოლ ჯიუელი
ფულემი: კროსლი, ბოკანეგრა (როსენიორი 90), გომა, ნ. იენსენი, ვოლცი, დიოპი, კ. იენსენი (ელირიხი 82), მალბრანკი, ბოა მორტე, ჯონი (მაკბრაიდი 82), რაძინსკი
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: კავანაგი, ვოლცი
მსაჯი: მერინერი
17 266 მაყურებელი

**ტოტენჰემი 1:1 არსენალი**

1:0 კინგი (17), 1:1 პირესი (77)
ტოტენჰემი: რობინსონი, დოუსონი, კინგი, ლი, სტალტერი, კარიკი, ჯენასი, ლენონი (რიდი 73), ტაინიგო (მენდეში 79), დეფო (რობი კინი 82), მიდო
მწვრთნელი: მარტინ იოლი
არსენალი: ლემანი, კემპბელი, კლიში, ლორენი, ტურე, ფაბრეგასი, ფლამინი (პირესი 46), ლიუნგბერგი (ვან პერსი 65), სილვა, ბერხკამპი, რეიესი (სიგანი 90)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: დეფო, დოუსონი, ლი, ტაინიო, სილვა, ფლამინი
მსაჯი: ბენეტი
36 154 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:4 პორტსმუთი**

1:0 უაიტხედი (43), 1:1 ვუკიჩი (48), 1:2, 1:3 ტეილორი (59, 67), 1:4 სილვა (74)
სანდერლენდი: დეივისი, კოლდველი, ჰოიტი, ნოსუორთი, სტაბსი, გრეი, ლოურენსი (სტიდი 62), მილერი (რობინსონი 50), უაითჰედი, ელიოტი, ველში
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
პორტსმუთი: ეშდაუნი, გრიფინი, პრიმუსი, პრისკუ, სტეფანოვიჩი, ტეილორი (ტოდოროვი 84), ვინიალი, ჰიუზი, ონილი, ვუკიჩი (ვიაფარა 68), სილვა (მბესუმა 77)
მწვრთნელი: ალან პერინი
გაფრთხილება: გრიფინი (35)
მსაჯი: ჰესკი
34 926 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:1 ბოლტონი**

0:1 ნოლანი (73)
ჩარლტონი: ანდერსენი, ჰრეიდარსონი, პერი, სპეკტორი, იანგი, ამბროუზი, კიშიშევი (ჰოლანდი 77), მერფი, სმერტინი (ჰიუზი 60), რომედალი (იოჰანსონი 62), ბოტროიდი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჟაიდი, ნგოტი, ფაიე, გარდნერი, ნაკატა (ბენ ჰაიმი 86), ნოლანი, ობრაიენი, სპიდი, დევისი (ბორგეტი 68), დიუფი (ოკოჩა 83)
მწვრთნელი: იუსი იასკელაინენი
გაფრთხილება: მერფი
მსაჯი: კლატენბურგი
26 175 მაყურებელი

**ბირმინგემი 0:1 ევერტონი**

0:1 დევისი (43)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, კლაპამი, კანინგემი (ბანდიანი 73), მარტინი, ტეილორი, აშტონი, ბატი (კილნი 34), იაროშიკი, ჯონსონი, პენანტი, ფორსელი, ჰესკი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, ფ. ნევილი, ვეირი, იობო, არტეტა, ჩედილი, დევისი, ვან დერ მეიდე (კილბეინი 70), ბიტი (ოსმანი 82), ფერგიუსონი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: არტეტა
მსაჯი: სტაილზი
26 554 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 0:3 ნიუკასლი**

0:1, 0:2 ოუენი (46, 78), 0:3 შირერი (80)
ვესტ ბრომვიჩი: კუშჩაკი, შიმეკა, კ. დევისი, მური, კლემენტი, გრინინგი (მორსფილდი 77), უოტსონი, ინამოტო, კარტერი, ერნშოუ, კანუ (ელინგტონი 75)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
ნიუკასლი: გივენი, რემეჯი, ბუმსონგი (ბრამბლი 79), ტეილორი, ბაბაიარო, სოლანო, პარკერი, ემრე, ნზოგბია (დაიერი 71), ოუენი, ამეობი (შირერი 66)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ამეობი
მსაჯი: ვები
26 616 მაყურებელი

**სიტი — ასტონ ვილა**

*დღეს გაიმართება*

# ფერგის და კონკიას ზღაპარი



AFP

მიდლსბრო — მანჩესტერი 4:1. ლომის წილი „მანჩესტერის" რბევაში გაისკა მენდიეტამ (№14) დაიდო

**„ეს ყველაფერი** შოკისმომგვრელი და შემაშფოთებელია", ასე ამბობდა ფერგიუსონი შაბათ საღამოს. „ასეთ ფორმაში თუ ვიქნებით, თამაშს ვერასოდეს მოვიგებთ".

მიდლსბროს „რივერსაიდზე" მომხდარმა ამბავმა თავისი შოკისმომგვრელობით, ჩრდილონდონურ დერბისაც გადააჭარბა, „ჩელსი" — „ბლექბერნის" ექვსგოლიან თამაშსაც და „ევერტონის" აღმასვლასაც მიაჩრდილა ხალხს.

„ბორომ" 4:1 მოუგო მანჩესტერს და ის ერთიც, დამატებულ დროში გაიტანა რონალდომ. ეს გამოდგა „მანჩესტერის" 1000-ე გოლი პრემიერლიგაში, ოღონდაც ის არავის დაუნახავს, სტადიონი მთელი მეორე ტაიმი გამარჯვებისას მღეროდა.

თამაში „მანჩესტერისთვის" მეორე წუთიდანვე აირია, როცა ედვინ ვან დერ საარს თითებშუა გაუძვრა გაისკა მენდიეტას დარტყმული ჯარიმა. იოლი, ბურთი, რომელმაც „მიდლსბრო" დააწინაურა, „მანჩესტერი" კი თურმე საბოლოოდ გატეხა. ოციოდ წუთში უკვე რიო ფერდინანდი შეცდა და ჯიმიმ თავისი გაიტანა, ტაიმის ბოლოს კი იაკუბუმ პენალტი შეაგდო. მეორე ტაიმში მენდიეტამ კიდევ ერთხელ აალრიალა „რივერსაიდი", ხოლო მედიამ კი დაწერა, რომ პრემიერლიგა, ფაქტობრივად დამთავრდა, რადგან სხვაობა „მანჩესტერსა" და ლიდერ „ჩელსის" შორის უკვე 13 ქულაა და ამ ფონზე აზრს კარგავს 6 ნოემბრის მატჩი „ოლდ ტრეფორდზე" ამ გუნდებს შორის.

სამი ბურთით „მანჩესტერს" 7-6 წელიწადი იყო არ წაეგო. საერთოდ კი ფერგის ყოფილი მარჯვენა ხელი, სტივ მაკლარენი ყოველთვის ამწარებს თავის ძველ შეგირდებს. ეგ არის, რომ ახლა ნამეტანი გამოუვიდა. თავად სერ ალექსი კი ალბათ უკვე გრძნობს, რომ გუნდში ბოლო სეზონი აქვს, რახან ახალი პატრონის, ამერიკელი მალკოლმ გლეიზერს ხელში სკამზე მყარად ვერ ზის, თუმცა ახალი გუნდის შენება მაინც წამოიწყო და ახალგაზრდები წამოწია. ძნელი სათქმელია რა გამოუვა, რადგან ყმაწვილები ყოველთვის ვერ ამართლებენ. გლეიზერის გრანდიოზულ ინვესტიციას კი ამოღება უნდა.

მშვიდობით დასრულდა ჩრდილოლონდონური დერბი, რომელსაც ისეთი პირი უჩანდა, რომ „ტოტენჰემი" მოიგებდა ლედლი კინგის ადრიანი გოლის წყალობით, თუმცა, თამაშის მიწურულს მაღალ ბურთზე გამოსულ პოლ რობინსონს მხემ შეუჭყიტინა და ბურთი მისი ხელიდან პირდაპირ რობერ პირესს, დააჯდა ფეხზე. „ტოტენჰემს" 13 თამაშია ვერ მოუგია მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მეტოქისთვის და პირესმა ეს ტრადიცია გააგრძელა. თანაც, პირესს დაბადების დღეს ჰქონდა, ის 32-სა შესრულდა.

არსენ ვენგერმა უტეხობა შეუქო თავის გუნდს, კრეიგ ბელამის კი მთელი „სტემფორდ ბრიჯი" ანერვიულა, როცა თავისი დუბლით „ჩელსის" ანგარიშში [illegible]. ოღონდაც, [illegible] ფრენკ ლამპარდიც იყო და ლურჯებმა მაინც 2 ბურთით მოუგეს „ბლექბერნს". ჟოზე მაურინიუმ მსოფლიოში პირველი საფეხური კიდევ უფრო მყარად დაიჭირა.

ილვიძებს „ევერტონი", რომელმაც სტუმრად დაამარცხა „ბირმინგემი". ჩვენ კი, ალბათ, „უიგანს" უნდა დაუდარაჯდეთ, რომელმაც ზედიზედ მეშვიდე თამაში მოიგო. ამ უცნობ და ამოუცნობ გუნდში მხოლოდ სამი ნაცნობი გვარია: ანშო, დე ზეუვი და კამარა, მაგრამ კონკიას ზღაპარი გრძელდება. შაბათს, პასკალ ჩიმბონდამ მსაჯის დროში თავით გაიტანა „ფულემს" და პატარა კლუბი მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ჩემპიონატი

### XVI ტური

**ბრაიტონი 1:1 იფსვიჩი**

1:0 ჰამონდი (14), 1:1 პარკინი (38)

**ძოვენთრი 1:0 ლუტონი**

1:0 ადებოლა (46)

**ძრიუ 2:2 კრ. პალასი**

1:0 ჯონსი (6), 1:1 ფრიდმენი (51), 1:2 მორისონი (64), 2:2 ჰიგდონი (90)

**დერბი 1:2 ძპრ**

0:1 ენსუორფი (29), 0:2 გალენი (79), 1:2 ბლეკსტოკი (83)

**ნორვიჩი 0:1 უენსდი**

0:1 ბრანტი (78)

**პრესტონი 0:0 ლესტერი**

**რედინგი 1:1 ლიდსი**

1:0 გუნარსონი (62), 1:1 ჰილი (74)

**შეფილდი 0:0 კარდიფი**

**საუთჰემპტონი 2:0 სტოკი**

1:0 უოლკოტი (15), 2:0 ბელმადი (90)

**უოტფორდი 3:1 ვულვზი**

1:0 დემერიტი (68), 2:0 კინგი (76), 3:0 დევლინი (79), 3:1 სეოლი (90)

**ბარნლი 1:0 ჰალი**

1:0 აკინბაი (28)

**პლიმუთი 0:0 მილუოლი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 17 | 12 | 3 | 2 | 32:14 | 39 |
| რედინგი | 16 | 10 | 5 | 1 | 26:9 | 35 |
| ლუტონი | 16 | 8 | 4 | 4 | 25:18 | 28 |
| უოტფორდი | 16 | 7 | 5 | 4 | 26:19 | 26 |
| ლიდსი | 15 | 7 | 5 | 3 | 19:14 | 26 |
| კრ. პალასი | 15 | 7 | 3 | 5 | 24:15 | 24 |
| საუთჰემპტონი | 16 | 5 | 9 | 2 | 19:13 | 24 |
| ქუინზ პარკი | 16 | 6 | 6 | 4 | 18:18 | 24 |
| კარდიფი | 15 | 6 | 5 | 4 | 25:18 | 23 |
| ვულვზი | 16 | 5 | 6 | 5 | 20:17 | 21 |
| ბარნლი | 16 | 5 | 4 | 7 | 21:20 | 19 |
| ლესტერი | 16 | 4 | 7 | 5 | 16:18 | 19 |
| იფსვიჩი | 16 | 5 | 4 | 7 | 15:23 | 19 |
| სტოკი | 16 | 6 | 1 | 9 | 15:24 | 19 |
| ჰალი | 16 | 4 | 6 | 6 | 13:14 | 18 |
| პრესტონი | 16 | 3 | 9 | 4 | 16:18 | 18 |
| დერბი | 16 | 3 | 8 | 5 | 21:23 | 17 |
| ქოვენთრი | 16 | 3 | 7 | 6 | 20:26 | 16 |
| ნორვიჩი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:22 | 16 |
| პლიმუთი | 16 | 3 | 7 | 6 | 12:19 | 16 |
| უენსდი | 14 | 3 | 6 | 5 | 12:16 | 15 |
| ბრაიტონი | 16 | 2 | 9 | 5 | 16:21 | 15 |
| ქრიუ | 16 | 2 | 7 | 7 | 17:31 | 13 |
| მილუოლი | 16 | 2 | 6 | 8 | 11:25 | 12 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 11 | 10 | 1 | 0 | 28:6 | 22 | 31 | 6 | 6 | 0 | 0 | 18:4 | 14 | 18 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 8 | 13 |
| 2 უიგანი | 10 | 7 | 1 | 2 | 11:5 | 6 | 22 | 6 | 4 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 9 |
| 3 ტოტენჰემი | 11 | 5 | 5 | 1 | 13:7 | 6 | 20 | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 3 | 11 | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | 3 | 9 |
| 4 ბოლტონი | 11 | 6 | 2 | 3 | 13:11 | 2 | 20 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:1 | 4 | 10 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:10 | -2 | 10 |
| 5 ჩარლტონი | 10 | 6 | 1 | 3 | 15:10 | 5 | 19 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | -3 | 4 | 5 | 5 | 0 | 0 | 11:3 | 8 | 15 |
| 6 მანჩესტერი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:11 | 4 | 18 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 6 | 4 | 1 | 1 | 11:7 | 4 | 13 |
| 7 არსენალი | 10 | 5 | 2 | 3 | 13:7 | 6 | 17 | 5 | 5 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 15 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | -3 | 2 |
| 8 სიტი | 10 | 5 | 2 | 3 | 10:7 | 3 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 3 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 7 |
| 9 ვესტ ჰემი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:9 | 4 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 |
| 10 ნიუკასლი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:10 | 1 | 15 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 8 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:5 | 1 | 7 |
| 11 მიდლსბრო | 11 | 4 | 3 | 4 | 15:15 | 0 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 1 | 7 |
| 12 ბლექბერნი | 11 | 4 | 2 | 5 | 11:14 | -3 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 10 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 4 |
| 13 ლივერპული | 9 | 3 | 4 | 2 | 7:8 | -1 | 13 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 10 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | -2 | 3 |
| 14 პორტსმუთი | 11 | 2 | 4 | 5 | 11:13 | -2 | 10 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | -3 | 3 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:7 | 1 | 7 |
| 15 ფულემი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:15 | -5 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 1 | 7 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:10 | -6 | 2 |
| 16 ასტონ ვილა | 10 | 2 | 3 | 5 | 9:16 | -7 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | -2 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 4 |
| 17 ვესტ ბრომვიჩი | 11 | 2 | 2 | 7 | 9:21 | -12 | 8 | 6 | 2 | 0 | 4 | 8:12 | -4 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 1:9 | -8 | 2 |
| 18 ევერტონი | 10 | 2 | 1 | 7 | 3:12 | -9 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | -4 | 1 | 6 | 2 | 0 | 4 | 2:7 | -5 | 6 |
| 19 ბირმინგემი | 11 | 1 | 3 | 7 | 7:16 | -9 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | -7 | 1 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 |
| 20 სანდერლენდი | 11 | 1 | 2 | 8 | 10:21 | -11 | 5 | 6 | 0 | 2 | 4 | 6:14 | -8 | 2 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | -3 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ლამპარდი (ჩელსი) | 10 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 8 |
| დარენ ბენტი (ჩარლტონი) | 7 |
| დროგბა (ჩელსი) | 6 |
| იაკუბუ (მიდლსბრო) | 6 |

**XII ტური**

5-6 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | სანდერლენდი |
| ასტონ ვილა | : | ლივერპული |
| ბლექბერნი | : | ჩარლტონი |
| ბოლტონი | : | ტოტენჰემი |
| ევერტონი | : | მიდლსბრო |
| ფულემი | : | სიტი |
| მანჩესტერი | : | სიტი |
| ნიუკასლი | : | ბირმინგემი |
| პორტსმუთი | : | უიგანი |
| ვესტ ჰემი | : | ვესტ ბრომვიჩი |

**პირველი ლიგა. XVI ტური**

ბარნსლი — უოლსოლი 1:1; სუონსი — ჩესტერფილდი 5:1; სკანთორპი — ოლდემი 4:2; პორტ ვეილი — ჰარტლპული 1:2; ნოტინგემი — ბრედფორდი 1:0; დონსი — როტერჰემი 1:1; ჰადერსფილდი — სუინდონი 1:1; ჯილინგემი — ბლეკპული 2:1; დონკასტერი — ტრანმერი 0:2; კოლჩესტერი — იოვილი 3:2; ბრისტოლი — საუთენდი 0:3; ბრენტფორდი — ბორნმუთი 0:2

**მეორე ლიგა. XVI ტური**

უიკომბი — პიტერბრო 2:2; რექსემი — დარლინგტონი 1:0; შრიუსბერი — ჩესტერი 3:1; როჩდეილი — ლინკოლნი 1:2; ნორთჰემპტონი — გრიმსბი 0:0; მაკლსფილდი — როვერსი 2:1; ლეიტონი — ოქსფორდი 1:0; ჩელტენემი — მენსფილდი 0:2; კარლაილი — სტოკპორტი 6:0; ბერი — ნოტსი 2:3; ბოსტონი — ტორკი 2:0; ბარნეტი — რაშდენი 2:1

# მაგათმა იღბალი აღიარა

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XI ტური

**ჰამბურგი 1:0 შალკე**

1:0 მაჰდავიკია (19)
ჰამბურგი: ვეჰტერი, ატუბა, ბულარუზი, ვან ბუიტენი, ბარბარესი, ბაინლიხი, იაროლიმი, ტროხოვსკი (კლინგბეილი 90), ვიკი, მახდავიკია, მპენზა (ლაუტი 76)
მწვრთნელი: თომას დოლი
შალკე: როსტი, ჰამიტ ალტინტოპი, ბორდონი, კრსტაიჩი, რაფინია (ერნსტი 69), როდრიგესი (ვარელა 79), ქობიაშვილი, ლინკოლნი, პოულსენი, კურანი, ლარსენი (სანდი 51)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ბაინლიხი, ბარბარესი, პოულსენი, კრსტაიჩი, ჰამიტ ალტინტოპი, კურანი
გაძევება: პოულსენი (62)
მსაჯი: ფანდელი
55 800 მაყურებელი

**დუისბურგი 1:0 ვოლფსბურგი**

1:0 ბუგერა (57)
დუისბურგი: კოხი, ბელუმი, ბილისკოვი, ბუგერა, მაიერი, მორლე, ჯიკუზუ, ანფანი (ვოლტერსი 90), ლოტნერი (რიტპიტში 89), ახანფუფი (ვან ჰოუდტი 78), კურტი
მწვრთნელი: ნორბერტ მაიერი
ვოლფსბურგი: იენტში, ჰოფლანდი, ნეზირი, კიროგა, დალესანდრო (ლამპრეზტი 61), შარპეი, ტიამი (მაკიადი 83), ცქიტიშვილი, კლიმოვიჩი, მარლე (ჰანკე 61), მენსეგეში
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
გაფრთხილება: ბელუმი, ანფანი, ჰოფლანდი
მსაჯი: სიპელი
20 000 მაყურებელი

**კიოლნი 1:2 ბაიერნი**

1:0 შერცი (28), 1:1 ლუსიო (54), 2:1 ბალაკი (74)
კიოლნი: ვესელსი, ალპაი, ლელი, მატიპი (გრამოზინი 80), რანი (ბენშნაიდერი 80), შლიკე, სინკევიჩი, მოხტარი, შტრაიტი, პოდოლსკი, შერცი (ჰელმსი 68)
მწვრთნელი: უვე საპოლდერი
ბაიერნი: კანი, დემიკელისი, ისმაელი, ლუსიუ, სანიოლი, ბალაკი, დაისლერი (ოტლი 77), შვაინსტაიგერი (შოლი 68), ზე რობერტო, მაკაი, სანტა კრუსი (პისარო 46)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: შტრაიტი, ლელი, ჰელმსი, ზე რობერტო, სანიოლი, შვაინსტაიგერი, დაისლერი
50 000 მაყურებელი

**ვერდერი 4:1 აინტრახტი**

0:1 ამანატიდისი (19), 1:1 ფრინგსი (29), 2:1 ბოროვსკი (52), 3:1 კლოზე (58), 4:1 ბოროვსკი (90)
ვერდერი: რაინკე, ანდრესენი, ნალდო, ოვომოიელა (ლაგერბლომი 75), შულცი, ბაუმანი, ბოროვსკი, ფრინგსი (ვრანიეში 71), მიკუ, კლასნიჩი (ვალდესი 65), კლოზე
მწვრთნელი: თომას შააფი
აინტრახტი: ნიკოლოვი, ოხსი (ჩა 85), კრისი, რემერი (პრეუსი 20), სპაიჩერი, ვასოსკი, ჰუგელი, მაიერი, ამანატიდისი, კოპადო, ჯონსი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ანდრესენი, ოხსი
მსაჯი: მაიერი
40 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 2:1 გლადბახი**

1:0 კელი (21), 2:0 სმოლარეკი (90), 2:1 ნოივილი (90)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, კელი, კრინგე, რიკენი (ბაკლი 65), როსიცკი (კრუშკა 56), შახინი, ბაკლი, ოდონკორი (დეგენი 90), სმოლიარეკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გლადბახი: კოლერი, ელ ფაკირი, ფუკალი (ბოგელუნდი 80), იანსენი, ზე ანტონიო, შტრასერი, ბროიხი (ლისტეში 63), კლუგე, ტისი, კაე (სვერკოში 80), ნოივილი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: სმოლიარეკი, ოდონკორი, საჰინი, ტისი, იანსენი
მსაჯი: შტარკი
80 800 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:3 ჰერტა**

0:1 კაირო (8), 1:1 ლიუბოია (51), 2:1 კაკაუ (65), 2:2 რაფაელი (66), 2:3 მარსელინიო (75), 3:3 ჰიტცლშპერგერი (83)
შტუტგარტი: ჰაინენი, დელპიერი, მანინი (გრონკიაერი 46), მეირა, შტრანცლი, გენტნერი (გომესი 77), მაისნერი, სოლდო, შტრელერი (კაკაუ 46), ტიფერტი, ლიუბოია
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
ჰერტა: ფიდლერი, ფატხი, ფრიდრიხი, შროდერი (ნოიენდორფი 68), შიმუნიჩი, ბურიკი, დარდაი, მარსელინიუ, მარქსი, კაირო, პანტელიჩი (რაფაელი 63)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: დელპიერი, მეირა, შიმუნიჩი, კაირო
მსაჯი: ბრიჰი
40 000 მაყურებელი

**ლაუტერნი 2:2 ლევერკუზენი**

1:0 ენგელჰარდტი (32), 1:1 ბარნეტა (39), 1:2 ვორობინი (71), 2:2 გიოკტანი (90)
ლაუტერნი: ერნსტი, ბლანკი (ზაიცი 76), პლეჩი, შონჰაიმი, ენგელარდტი, ნერლინგერი, რიდლი (ჰელცში 63), სკელა, ზანტი (გოკტანი 84), ჰალილ ალტინტოპი, სანოგო
მწვრთნელი: მიხაელ ჰენკე
ლევერკუზენი: ბუტი, ატირსონი (კშინუვეკი 66), ჟუანი, როკე ჟუნიორი, ბაბიჩი, ბარნეტა, კასტრო, ფრაიერი (ფრიტცი 66), როლფესი, ბერბატოვი, ვორონინი (ლაზოვიჩი 90)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ენგელჰარდტი, ფრაიერი, ატირსონი
მსაჯი: ფლეიშერი
29 000 მაყურებელი

**არმინია 4:1 ჰანოვერი**

1:0 ფინკი (1), 2:0 ზუმა (53), 2:1 მერტესაკერი (55), 3:1, 4:1 ბოაკი (69, 84)
არმინია: ჰაინი, კორზინეცი, ბორგესი, ვესტერმანი, შულერი, ფინკი, კუჩერა (დამაიერი 79), ბოაკი (პინტო 87), კუნცელი (ვატა 63), კობილიკი, ზუმა
მწვრთნელი: ტომას ფონ ჰესენი
ჰანოვერი: ენკე, ბალიჩი, მერტესაკერი, ჟურავი, ჰალფარი, ლალა, დაბროვსკი, იანკოვი (დელურა 46), ჰანე (მონტაბელი 81), შტაინერი, ჰაშემიანი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: შულერი, დაბროვსკი, ლალა
20 000 მაყურებელი

**მაინცი 4:1 ნიურნბერგი**

1:0 პაულუსი (9), 2:0 აუერი (11), 2:1 კესლინგი (13), 3:1 და სილვა (45), 4:1 ტიურკი (52)
მაინცი: ვახე, დემილთაში, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, ვაიგელტი (როსი 46), გერბერი (ვაილანდი 81), რუმანი (რომულო 88), პეკოვიჩი, და სილვა, ტიურკი, აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
ნიურნბერგი: შაფერი, ლენსი (რეინჰარდტი 68), ვოლფი, პაულუსი, ლ. მიულერი, ს. მიულერი (ვიტეკი 75), ბანოვიჩი (შროტი 60), კანტალუპი, პოლაკი, დაუნი, კესლინგი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ნოვესკი, რუმანი, ვოლფი, კესლინგი, კანტალუპი
21 000 მაყურებელი

**სამივე** ლიდერმა მოიგო და ცხრილის თავში არაფერი შეცვლილა.

მიუნხენის „ბაიერნმა" „კიოლნთან" პირველი ტაიმი წააგო, მაგრამ შესვენების შემდეგ ლუსიოსა და ბალაკის გოლებით იმარჯვა. ფელიქს მაგათმა აღიარა: „მეტოქე მომენტებში გვჯობდა, სამი ქულა იღბლის წყალობით გვერგო". ანგარიში შერცმა გახსნა — მან „ბაიერნის" მცველთა შეცდომით ისარგებლა და კანს თხუთმეტიოდ მეტრიდან გაუტანა. ბასტიან შვაინსტაიგერის ჩაწოდებული ბურთი ლუსიომ ახლოდან შეაგდო „კიოლნის" კარში, ხოლო მიხაელ ბალაკმა ნაკუთხურალის საგოლედ დაჰკრა თავი. ეს ბალაკის მეხუთე საამსეზონო გოლია.

ბრემენის „ვერდერიც" აგებდა „აინტრახტთან", რომელიც თითო მატჩში ექვსის გატანას დაეჩვია, მაგრამ „მუსიკოსებმა" მალევე „მოახრჩვეს" მეტოქე. ჯერ ფრინგსმა გაათანაბრა, მერე კი იოან მიკუმ დაურიგა საგოლე პასები ბოროვსკის და კლოზეს, ხოლო ბოლო წუთზე ბოროვსკიმ ლამაზად გაიტანა. ცენტრიდან იარა და ოცდახუთი მეტრიდან ზუსტად გაისროლა.

„ბაიერნს" და „ვერდერს" არ ჩამორჩა „ჰამბურგი". თომას დოლის გუნდმა „შალკე" ხელცარიელი გაისტუმრა, ხოლო „ხუმარათა" მწვრთნელ რალფ რანგნიკს საქმე სახუმაროდ აღარა აქვს. „აინტრახტთან" სათასო მატჩში 0:6 მარცხის შემდეგ რანგნიკი აქანდაზზე შესვეს, „ჰამბურგთან" წაგებამ კი კიდევ უფრო გააბუნდოვნა მისი მომავალი.

მასპინძლებმა დაცვაში იყოჩაღეს „შალკეს" ფაქტობრივად შანსი არ ჰქონდა. მეჰდი მაჰდავიკიამ კონტრშეტევაზე გამოიჭირა მეტოქე და გაიტანა. შესვენების შემდეგ სტუმრებს კრისტიან პოულსენი გაუძევეს. კანკალებულები იმასღა ცდილობდნენ, მეტი აღარ გაეშვათ. ჩემპიონობის მსურველი „შალკე" „ბაიერნს" ათი ქულით ჩამორჩება.

დორტმუნდის „ბორუსიამ" გლადბახელ სეხნიას მოუგო. მასპინძლები სებასტიან კელის გოლით პირველი ტაიმის შუაში დაწინაურდნენ. შეხვედრის მიწურულს ები სმოლარეკმა სხვაობა ორამდე გა[illegible], [illegible] გლადბახელებმა ბოლო [illegible] [illegible] გაქითვა მოასწრეს. [illegible] რტმუნდის [illegible] [illegible] და ნოივილმა საგოლედ [illegible].

„შტუტგარტმა" შინ [illegible] რჯვა, რამაც ჯოვანი ტრაპატონის კრიტიკოსები ალაპარაკა. იტალიელმა კი თქვა: „ჩემს ფეხბურთელებს [illegible] ცავ. მათ ქულისთვის იბრძოლეს. ჩვენი წაგება უსამართლობა იქნებოდა".

ბერლინის „ჰერტა" [illegible] კაიროს გოლით იგებდა, რომელმაც ხაჯარიმოს გარედან გაიტანა. შესვენების შემდეგ ლიუბოიამ და [illegible] მასპინძლები წინ გაიყვანეს, [illegible] რაფაელმა და მარსელინიომ [illegible] რტა" დააწინაურეს. [illegible] სულმა მარიო გომესმა [illegible] მარცხნიდან იხსნა. 20 წლის ფორვარდმა შვიდი მეტრიდან [illegible]

მიხაელ სკიბეს „ლევერკუზენს" ბოლო წუთზე სამი ქულა [illegible] ექცა. „კაიზერსლაუტერნის" [illegible] ლეგიონერმა ბერკანტ გოქტანმა შეხვედრის მიწურულს გაათანაბრა.

**მაჟა ხუციშვილი**



ვერდერი — აინტრახტი 4:1. სტუმარი პარტიკ ოხსი „მუსიკოს" კრისტიან შულცს გადააფრინდა

AFP ბროგრაფი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 11 | 9 | 1 | 1 | 24:7 | 17 | 28 | 5 | 5 | 0 | 0 | 13:0 | 13 | 15 | 6 | 4 | 1 | 1 | 11:7 | 4 | 13 |
| 2 ვერდერი | 11 | 8 | 2 | 1 | 31:13 | 18 | 26 | 6 | 5 | 1 | 0 | 21:9 | 12 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 10 |
| 3 ჰამბურგი | 11 | 7 | 3 | 1 | 19:6 | 13 | 24 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:3 | 5 | 11 | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 8 | 13 |
| 4 შალკე | 11 | 4 | 6 | 1 | 11:7 | 4 | 18 | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 3 | 9 | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 9 |
| 5 გლადბახი | 11 | 5 | 3 | 3 | 16:13 | 3 | 18 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | -3 | 5 |
| 6 ჰერტა | 11 | 5 | 3 | 3 | 18:16 | 2 | 18 | 5 | 4 | 0 | 1 | 12:5 | 7 | 12 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:11 | -5 | 6 |
| 7 ვოლფსბურგი | 11 | 4 | 4 | 3 | 12:13 | -1 | 16 | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 2 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | -3 | 7 |
| 8 დორტმუნდი | 11 | 3 | 6 | 2 | 17:15 | 2 | 15 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 3 | 11 | 5 | 0 | 4 | 1 | 9:10 | -1 | 4 |
| 9 არმინია | 11 | 4 | 3 | 4 | 16:16 | 0 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 4 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:11 | -4 | 5 |
| 10 შტუტგარტი | 11 | 2 | 7 | 2 | 14:14 | 0 | 13 | 6 | 1 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 6 | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 1 | 7 |
| 11 ლევერკუზენი | 11 | 3 | 4 | 4 | 19:20 | -1 | 13 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:9 | -2 | 6 | 6 | 2 | 1 | 3 | 12:11 | 1 | 7 |
| 12 ჰანოვერი | 11 | 2 | 5 | 4 | 14:17 | -3 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 6 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | -3 | 5 |
| 13 მაინცი | 11 | 3 | 1 | 7 | 13:17 | -4 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 10:10 | 0 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:7 | -4 | 3 |
| 14 აინტრახტი | 11 | 3 | 1 | 7 | 11:19 | -8 | 10 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:9 | -1 | 6 | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | -7 | 4 |
| 15 კიოლნი | 11 | 3 | 0 | 8 | 16:25 | -9 | 9 | 6 | 2 | 0 | 4 | 7:11 | -4 | 6 | 5 | 1 | 0 | 4 | 9:14 | -5 | 3 |
| 16 დუისბურგი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:21 | -9 | 9 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | -1 | 8 | 5 | 0 | 1 | 4 | 7:15 | -8 | 1 |
| 17 ლაუტერნი | 11 | 2 | 3 | 6 | 16:27 | -11 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 11:18 | -7 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 |
| 18 ნიურნბერგი | 11 | 1 | 3 | 7 | 11:24 | -13 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 5 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:16 | -12 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კლოზე (ვერდერი) | 11 |
| ალტინტოპი (ლაუტერნი) | 10 |
| ები სმოლარეკი (დორტმუნდი) | 9 |
| კლასნიჩი (ვერდერი) | 8 |
| მაკაი (ბაიერნი) | 6 |
| ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი) | 6 |

### XII ტური

5-6 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ნიურნბერგი | : | შტუტგარტი |
| ჰანოვერი | : | მაინცი |
| აინტრახტი | : | არმინია |
| ბაიერნი | : | ვერდერი |
| ვოლფსბურგი | : | კიოლნი |
| შალკე | : | დუისბურგი |
| გლადბახი | : | ჰამბურგი |
| ლევერკუზენი | : | დორტმუნდი |
| ჰერტა | : | ლაუტერნი |

## მეორე ბუნდესლიგა

### XI ტური

**ბრაუნშვაიგი 1:0 ზიგენი**

1:0 ბიკი (36)

**ბოხუმი 1:1 პადერბორნი**

1:0 მიულერი (16ს.კ.), 1:1 ნდიენგი (82)

**ალენი 3:1 ზაარბრიუკენი**

1:0 დენჩი (3), 1:1 როზგონი (5), 2:1 ტუნი (65), 3:1 პაულინიო (79)

**ფრაიბურგი 4:1 კოტბუსი**

1:0 კუჯუ (36), 1:1 მაკენა (47), 2:1 კუჯუ (56), 3:1 ანტარი (74), 4:1 კრუპკე (83)
ფრაიბურგი: ვალკე, იბერტსბერგერი, მოჰამადი, ოლაინგბეში, აოგო, რიტერი (ფოტერინგემი 82), ანტარი, კულიბალი, ტანკო (კრუპკე 58), კუჯუ (დიარა 76), იაშვილი

**ფიურტი 3:1 კარლსრუე**

1:0 აიგლერი (4), 2:0 ფელგენჰაუერი (52), 2:1 კაპლანი (72), 3:1 აიგლერი (85)

**ჰანზა 4:2 უნტერჰახინგი**

1:0 შიდი (13), 1:1, 1:2 ბუკი (28, 52), 2:2 შიდი (54), 3:2, 4:2 პრიკა (73, 79)

**ოფენბახი 1:3 ბურგჰაუზენი**

0:1 კრეიჩი (9), 0:2 ბუდცი (28 ს.კ.) 0:3 ბოგოვაცი (43), 1:3 ტორკერი (53ა)

**მიუნხენი — ალემანია**

*დღეს გაიმართება*

**დინამო — აუე**

*ხვალ გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტბუსი | 7 | 5 | 1 | 1 | 16:8 | 16 |
| ბოხუმი | 7 | 4 | 3 | 0 | 13:5 | 15 |
| მიუნხენი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:9 | 13 |
| ბრაუნშვაიგი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:7 | 13 |
| ფრაიბურგი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 13 |
| ფიურტი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:12 | 13 |
| ალემანია | 8 | 4 | 0 | 4 | 16:13 | 12 |
| პადერბორნი | 7 | 4 | 0 | 3 | 11:8 | 12 |
| კარლსრუე | 7 | 3 | 2 | 2 | 6:4 | 11 |
| ზიგენი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:8 | 10 |
| დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| აუე | 8 | 2 | 4 | 2 | 6:6 | 10 |
| ოფენბახი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:14 | 10 |
| ბურგჰაუზენი | 7 | 1 | 4 | 2 | 7:8 | 7 |
| ჰანზა | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | 7 |
| უნტერჰახინგი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:13 | 5 |
| ზაარბრიუკენი | 8 | 1 | 1 | 6 | 3:21 | 4 |
| ალენი | 8 | 0 | 3 | 5 | 8:17 | 3 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### XIII ტური

კარლსრუე (მ) — აალენი 2:0; ეშბორნი — კიკერსი 0:3; ბაირუთი ჰოფენჰაიმი 1:1; აუგსბურგი — ელვერსბერგი 1:1; ტრირი — რენეგსბურგი 0:4; მიუნხენი (მ) — ბაიერნი (მ) 2:2; ლაუტერნი (მ) — ვეენი 0:2; დარმშტადტი — კობლენსი 1:2; შტუტგარტი (მ) — ფულენდორფი 0:0

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### XIV ტური

ესენი — კიოლნი (მ) 3:1; ლევერკუზენი (მ) — ობერჰაუზენი 3:4; კილი — ვერდერი (მ) 1:1; ჰერტა (მ) — ფორტუნა 0:3; კარლ ცაისი — ერფურტი 2:0; ხემნიცი — ემდენი 2:0; ოსნაბრიუკი — ჰამბურგი (მ) 3:0; ვატენშაიდი — ზტ. პაული 0:1; მიუნსტერი — ლიუბეკი 2:2

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. X ტური

**ბეტისი 0:2 რეალი**

0:1 რობინიო (30), 0:2 მეხია (80)
ბეტისი: დოვლასი, ლემბო, ვარელა, კასტელინი, არსუ (დანი 59), კანიასი (ისრაელი 46), ნანო, ედუ, ხისკო (კაპი 60), ოლივეირა
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
რეალი: კასილასი, რ. კარლოსი, ელგერა, მ. სალგადო (დე ლა რედი 82), სერხიო, ვუდგეიტი, დიოგო (მეხია 79), პ. გარსია, რობინიო (იურადო 90), გუტი, რაული
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
გაფრთხილება: ოლივეირა, პ. გარსია, ვუდგეიტი
მსაჯი: პერეს ბურული
45 000 მაყურებელი

**ბილბაო 1:1 სელტა**

1:0 გურპეგი (44), 1:1 ანხელი (59)
ბილბაო: არანსუბია, ესპოზიტო, ლაკრუსი, ირაოლა, მურილიო, პ. ორბაისი, პრიეტო, დონაბელტია (ლორენტე 64), იესტე, გურპეგი, ურსაისი
მწვრთნელი: ხუსე ლუის მენდილიბარი
სელტა: პინტო, ლეკვე, სერხიო (მენდესი 35), ანხელი, დიასი, ირინეი, გერერო (ხონათანი 28), ნუნიესი, ობინია, დ. სილვა, კანობიო (დე რიდერი 70)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: პ. ორბაისი, მურილიო, ნუნიესი, ლეკვე
მსაჯი: უნდიანო მალენკო
30 000 მაყურებელი

**სარაგოსა 1:1 მალაგა**

1:0 ევერტონი (11), 1:1 ედგარი (40)
სარაგოსა: სეზარი, პონციო, ჩუსი, გ. მილიტო, ტოლედო, საპატერი (ხენერელო 46), მოვილია (სელადესი 46), ჩანი, ევერტონი (სერხიო გარსია 64), სავიო, დ. მილიტო
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
მალაგა: არნაუ, ალექსისი, სეზარ ნავასი (ანდერსონი 57), ფერნანდო სანსი, ვალკასე, ედგარი (ესტებანი 88), ხერარდო, ხუან როდრიგესი, ნაჩო, კუნაგო (იდალგო 62), სალვა
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
გაფრთხილება: გ. მილიტო, საპატერი, ვალკარსე, ხუან როდრიგესი
მსაჯი: რუბინოს პერესი
28 000 მაყურებელი

**ოსასუნა 2:0 ესპანიოლი**

1:0 დავიდ ლოპესი (28), 2:0 მუნიოსი (70)
ოსასუნა: ელია, ხ. ფლანო, კუელიარი, მ. ფლანო, კლავერო, დავიდ ლოპესი, პუნიალი, რაულ გარსია (ვალდო 81), მოა, რომეო (ვებო 62), მილოშევიჩი (მუნიოსი 68)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ესპანიოლი: კამენი, საბალეტო (არმანდო 54), ლოპო, პოჩეტინიო, ხარკე, დომი, ედუარდო კოშტა, ხუანფრანი (ფრედსონი 68), დე ლა პენია, რიერა (ლუის გარსია 54), ტამუდო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ედუარდო კოშტა, პუნიალი, რომეო, რიერა, ხუანფრანი, დე ლა პენია
გაძევება: ედუარდო კოშტა (88)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
15 000 მაყურებელი

**მალიორკა 1:1 სევილია**

1:0 ვიქტორი (34), 1:1 კეპა (37)
მალიორკა: პრატსი, კორტესი, ტუციო (პოტენცა 9), იულიანო, ფერნანდო ნავარო, გუტიერესი, პერეირა, არანგო, ტუნი, იორდი (მასიელი 38), ვიქტორი (ბორხა 61)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
სევილია: ნოტარიო, ალვეში, ოსიო, ხავი ნავარო, დავიდი (სავიოლა 58), სალესი, ადრიანო, ხორდი, მარტი (რენატო 66), კანუტი, კეპა (ლუის ფაბიანო 77)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: გუტიერესი, პრატსი, დავიდი, ადრიანო
გაძევება: ფერნანდო ნავარო (36)
მსაჯი: ტეხეირა ვიტიენესი
16 200 მაყურებელი

**დეპორტივო 1:0 ხეტაფე**

1:0 ტრისტანი (24)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, კოლოჩინი, ხუანმა, კაპდევილა, დე გუზმანი, დუშერი, სკალონი (სერხიო 66), მუნიტისი (ივან კარილი 90), ვალერონი, ტრისტანი (რუბენი 77)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ხეტაფე: ლუის გარსია, პულიდო, ბელენგერი, ანიბალი, პარედესი, რედონდო, დიეგო რივასი, დორადო (კუბილიო 62), გავილანი (კრაიოვეანუ 79), რიკი, გუიზა (პაჩონი 79)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: გავილანი, გუიზა, ბელენგერი, პულიდო, კოლოჩინი, დე გუზმანი, მუნიტისი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
18 000 მაყურებელი

**ალავესი 0:0 კადისი**

ალავესი: კოსტანცო, ედუ ალონსო, ხუანიტო, პელეგრინო, კარერასი, ასტუდილიო, კარპინტერო (დალვესი 21), ხანდრო (მეჰდი ლასენი 72), რუბენ ნავარო (ბოდიპო 62), ნენე, ალოიზი
მწვრთნელი: ჩუჩი კოსი
კადისი: არმანდო, ვარელა, ბერიცო, დე ლა კუესტა, მარიო სილვა, ფლიორკინი, ესარესი, ენრიკე (სესმა 81), მ. პავონი, ივან ანია (პასი 73), ოლი (მედინა 62)
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
გაფრთხილება: პელეგრინო, ფლიორკინი, ბესარესი
მსაჯი: პუენტეს ლეირა
13 100 მაყურებელი

**ვალენსია 1:1 რასინგი**

1:0 ალბელდა (13), 1:1 აგანსო (29)
ვალენსია: კანისარესი, მიგელი (დივაიო 79), აიალა, ალბიოლი, მორეტი, ალბელდა, ბარახა (ფაბიო აურელიო 79), აიმარი, ვისენტე, კლუივერტი (ანგულო 62), დავიდ ვილა
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
რასინგი: ავატი, პინილიოსი, ორიოლი, მორატონი, აიოსე, ანტონიო (მატაბუენა 77), ვიტოლო, მელო, ს. დალმა (სერანო 74), აგანსო (ვ. დალმა 69), ხუანხო
მწვრთნელი: მანუელ პრესიადო
გაფრთხილება: ორიოლი, მორატონი, კლუივერტი
გაძევება: მელო (63)
მსაჯი: პინო სამორანო
46 000 მაყურებელი

**ბარსელონა 5:0 სოსიედადი**

1:0 ვან ბომელი (7), 2:0, 3:0 რონალდინიო (35, 60), 4:0 პუიოლი (74), 5:0 ლარსონი (84)
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, ოლეგერი, ედმილსონი, სილვინიო, ვან ბომელი, ინიესტა, ხავი (მოტა 62), ჟიული, რონალდინიო (ეზკერო 71), ეტოო (ლარსონი 78)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
სოსიედადი: რიესკო, ლაბაკა, ხაურეგი, ნოვო (ლარეა 66), არამბური, ლოპეს რიკარტე, ურანგა, გარიდო, მიკელ ალონსო (ბარკერო 17), პრიეტო (გაბილონდო 26), ნიჰატი
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
გაფრთხილება: ინიესტა, ურანგა, არანბურუ, ურანგა
გაძევება: ურანგა (68)
მსაჯი: პერეს ლიმა
65 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 1:1 ვილიარეალი**

1:0 ზაინოსი (5), 1:1 ფორლანი (90)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ველასკო, პაბლო, პერეა, ანტონიო ლოპესი, ზაინოსი, გაბი (ლუჩინი 70), მაქსი როდრიგესი, პეტროვი (იბაგასა 74), ფერნანდო ტორესი, კემანი
მწვრთნელი: კარლოს ბიანკი
ვილიარეალი: ვიერა (ბარბოსა 30), კრომკამპი, გონსალო, კიკე ალვარესი, არუაბარენა, ხოსიკო, ტაკინარდი (პეკა 20), სორინი, რიკელმე, ხოსე მარი (სენა 62), ფორლანი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: სორინი, კიკე ალვარესი, კემანი, პაბლო, ველასკო, გაბი, რიკელმე, ლუჩინი, ლუჩინი, ფორლანი
გაძევება: გონსალო (16), ლუჩინი (87)
მსაჯი: პერეს ლასა
19 000 მაყურებელი

# ლიდერი, ვფიქრობთ, დროებითია
## გუტიმ დიადემზე გაიწია



AFP სპეციალურად

ბეტისი — რეალი 0:2. რობინიოს „რეალმა" ბეტისელები გალუნეს

**დიდ** ესპანურ კლუბთაგან ჯერაც ვერც ერთი ეღირსა ლიდერობის ხელში ჩაგდებას. ამ ტურის მერე პირველზე „ოსასუნაა" და მართალია, ახლო მომავალში მისი დაქვეითებაც ისევე იოლად საწინასწარმეტყველოა, როგორც აქამდე „ხეტაფეს" და „სელტას" დაქვეითებას ვვარაუდობდით, დღეს ასეა — ლიდერი პამპლონური კლუბი გახლავთ.

„ოსასუნას" სახლში დაამარცხა კაცნაკლული „ესპანიოლი", ოღონდ დავაზუსტოთ: კატალონიელებს ედუარდო კოშტა ბოლო წუთზე გაუძევეს მეორე გაფრთხილებით, როცა მატჩის ბედი უკვე კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო.

ერთ დაკვირვებაზეც მოგახსენებთ: ათი ტურის მერე ლიდერს სამი წაგება აქვს, ანუ საამსეზონო პრემიერლიგაში ძალიან ბევრი ქულა იკარგება.

კვირა საღამომდე „ოსასუნას" კვალში „რეალი" ედგა — სანამ „ბარსელონა" ითამაშებდა და მოიგებდა.

ჯერ „რეალისა" ვთქვათ. დედაქალაქელები სევილიაში ესტუმრნენ „ბეტისს" და რობინიოსა და ალვარო მეხიას გოლებით დაამარცხეს.

მადრიდელთა ოფიციალურ საიტზე სიამაყით წერენ, „ბეტისთან" გამარჯვება უსიკვდილოდ გვჭირდებოდა როგორც ქულათა მარაგის შესავსებად, ასევე მორალური სიმტკიცისთვისო — მოგეხსენებათ, „რეალმა" წინა ორ თამაშში ქულები დაკარგა.

პირველი გოლი გუტის ბრწყინვალე პასით მომწიფდა, რომელიც მან რაულს მისცა, კაპიტანმა კი რობინიო მოძებნა და — 0:1. მეორე გოლიც გუტიმ მოამწიფა, ოღონდ ამ ჯერზე მან, შუამავალთა გარეშე, თავად გაუკეთა საგოლე პასი მეხიას.

ამგვარად გუტი მატჩის გმირად იქცა, მაგრამ ნამატჩევს მაინც იანგლა — ჟურნალისტებს უთხრა, დღევანდელ გამარჯვებას არიგო საკის და ალფრედო დი სტეფანოს ვუძღვნიო. საქმე კი რაშია: რამდენიმე დღის წინ „რეალის" სპორტულმა დირექტორმა და საპატიო პრეზიდენტმა, თავიანთ ფეხბურთიელები მაგრად შეარცხვინეს, უილაჯოდ ირჯებიანო.

ჰო, მეორე გოლის თაობაზე დავამატოთ, რომ მეხია სულ რამდენიმე წამის შესული იყო მოედანზე, გოლი რომ გაიტანა.

მოკლედ, „რეალმა" მოიგო და მეორე ადგილზე გადავიდა, ოღონდ, როგორც ზემოთ ვთქვით, კვირას საღამომდე — სანამ „ბარსელონა" ითამაშებდა და მშობლიურ „კამპ ნოუზე" „რეალ სოსიედადს" დაამარცხებდა.

ისე, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, „ბარსამ" „სოსიედადი" გაანადგურაო. რონალდინიოს დუბლით, მარკ ვან ბომელის, კარლეს პუიოლის და ჰენრიკ ლარსონის თითო გოლით კატალონიელებმა ბასკებს მეორე ადგილზე აღზევების იმედი გადაუწურეს და იც თავად აღიქმება.

ძველმა ლიდერებმა, „ხეტაფემ" და „სელტამ" კი ისევ დაკარგეს ქულები და გულახდილად რომ ვთქვათ, არც ერთის წაფორხილება გვაკვირვებია და არც მეორესი.

„ხეტაფემ" ლა კორუნიაში წააგო 2000 წლის ჩემპიონ „დეპორტივოსთან", რომელსაც ურიგო სტარტი ჰქონდა, მაგრამ ნელ-ნელა ძალას იკრებს. ამ მატჩში ერთადერთი გოლი გავიდა და მისი ავტორი დიეგო ტრისტანია.

„სელტა" ბილბაოში დაუზავდა ბასკთა ჯილა გუნდს. თავიდან ბასკები იგებდნენ კარლოს გურპეგის გოლით და გალისიელებმა მერე გაათანაბრეს ანხელის დარტყმით.

**კოტე კეკელია**

### სეგუნდადივიზიონი

**X ტური**

**სიუდადი 3:0 ტენერიფე**
1:0 გოიტომი (17), 2:0 ლუკე (34), 3:0 გოიტომი (36)

**ხიმნასტიკო 3:1 მურსია**
0:1 რიჩი (27), 1:1 ირურსუნი (40), 2:1 მერინო (59), 3:1 დ. ტორესი (62)

**ალმერია 5:1 ლევანტე**
1:0 აკასიეტე (6), 1:1 კარმელო (19), 2:1 ლუნა (29), 3:1 ორტისი (55), 4:1 ფრანსისკო (73), 5:1 ორტისი (88)

**ერკულესი 3:2 სპორტინგი**
0:1 დიაჟინი (11), 1:1 ხუანმა (18პ.კ), 1:2 ბიაჟინი (60), 2:1 ტორე (62), 3:2 მოისესი (70)

**მალაგა B 0:1 ფეროლი**
0:1 ექტორი (37)

**ხერესი 0:0 ვალიადოლიდი**

**ალბასეტე 1:0 ლეიდა**
1:0 არანდა (37)

**კასტელონი 0:0 ლორკა**

**ნუმანსია 1:2 ეიბარი**
1:0 მორენო (46), 1:1 ინიგო (57), 1:2 ასკოიტია (84)

**რეალი B 2:0 პოლი ეხიდო**
1:0, 2:0 სოლდადო (63, 83)

**ქსერეა 2:0 ელჩე**
1:0, 2:0 უჩე (29, 42)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 10 | 6 | 3 | 1 | 17:10 | 21 |
| ქსელვა | 10 | 6 | 2 | 2 | 20:11 | 20 |
| მურსია | 10 | 6 | 2 | 2 | 13:6 | 20 |
| ერკულესი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:11 | 18 |
| ვალიადოლიდი | 10 | 5 | 3 | 2 | 12:10 | 18 |
| სიუდად მურსია | 10 | 5 | 2 | 3 | 15:13 | 17 |
| ელჩე | 10 | 5 | 1 | 4 | 13:13 | 16 |
| ტენერიფე | 10 | 5 | 1 | 4 | 14:16 | 16 |
| ალმერია | 10 | 4 | 3 | 3 | 17:11 | 15 |
| ლორკა | 10 | 4 | 3 | 3 | 10:8 | 15 |
| ალბასეტე | 10 | 4 | 2 | 4 | 11:13 | 14 |
| სპორტინგი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:11 | 12 |
| ეიბარი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:12 | 12 |
| ლევანტე | 9 | 3 | 3 | 3 | 8:11 | 12 |
| ხიმნასტიკო | 10 | 4 | 0 | 6 | 9:14 | 12 |
| ფეროლი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:17 | 11 |
| ნუმანსია | 10 | 3 | 2 | 5 | 10:18 | 11 |
| რეალ B | 9 | 3 | 1 | 5 | 15:13 | 10 |
| მალაგა B | 10 | 2 | 4 | 4 | 8:10 | 10 |
| პოლი ეხიდო | 10 | 3 | 1 | 6 | 11:17 | 10 |
| ლეიდა | 10 | 2 | 1 | 7 | 10:12 | 7 |
| კასტელონი | 10 | 1 | 3 | 6 | 3:10 | 6 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ოსასუნა | 10 | 7 | 0 | 3 | 14:10 | 4 | 21 | 6 | 6 | 0 | 0 | 12:3 | 9 | 18 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | -5 | 3 |
| 2 ბარსელონა | 10 | 5 | 4 | 1 | 24:10 | 14 | 19 | 6 | 4 | 2 | 0 | 16:4 | 12 | 14 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:6 | 2 | 5 |
| 3 რეალი | 10 | 6 | 0 | 4 | 21:11 | 10 | 18 | 4 | 2 | 0 | 2 | 10:6 | 4 | 6 | 6 | 4 | 0 | 2 | 11:5 | 6 | 12 |
| 4 ხეტაფე | 10 | 5 | 2 | 3 | 16:13 | 3 | 17 | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 8 | 6 | 3 | 0 | 3 | 7:8 | -1 | 9 |
| 5 სელტა | 10 | 5 | 2 | 3 | 12:10 | 2 | 17 | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 9 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 8 |
| 6 ვილიარეალი | 10 | 4 | 4 | 2 | 17:12 | 5 | 16 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 7 | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 1 | 9 |
| 7 სევილია | 10 | 4 | 4 | 2 | 10:6 | 4 | 16 | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 3 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 1 | 8 |
| 8 დეპორტივო | 10 | 4 | 4 | 2 | 13:11 | 2 | 16 | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 11 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 5 |
| 9 ვალენსია | 10 | 4 | 4 | 2 | 15:14 | 1 | 16 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:7 | 1 | 11 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 0 | 5 |
| 10 სოსიედადი | 10 | 5 | 1 | 4 | 15:19 | -4 | 16 | 5 | 4 | 1 | 0 | 11:4 | 7 | 13 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:15 | -11 | 3 |
| 11 ატლეტიკო | 10 | 4 | 2 | 4 | 11:10 | 1 | 14 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 8 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 1 | 6 |
| 12 კადისი | 10 | 3 | 4 | 3 | 7:9 | -2 | 13 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 6 | 2 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 8 |
| 13 მალაგა | 10 | 3 | 2 | 5 | 14:13 | 1 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 2 | 4 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | -1 | 7 |
| 14 სარაგოსა | 10 | 1 | 7 | 2 | 12:14 | -2 | 10 | 6 | 1 | 4 | 1 | 8:7 | 1 | 7 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:7 | -3 | 3 |
| 15 რასინგი | 10 | 2 | 4 | 4 | 5:7 | -2 | 10 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | -2 | 3 | 6 | 1 | 4 | 1 | 3:3 | 0 | 7 |
| 16 მალიორკა | 10 | 2 | 3 | 5 | 9:18 | -9 | 9 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:10 | -9 | 1 |
| 17 ბეტისი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:17 | -10 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | -6 | 2 |
| 18 ალავესი | 10 | 1 | 5 | 4 | 8:14 | -6 | 8 | 6 | 0 | 4 | 2 | 5:9 | -4 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 19 ესპანიოლი | 10 | 2 | 2 | 6 | 6:13 | -7 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 3 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | -3 | 5 |
| 20 ბილბაო | 10 | 1 | 3 | 6 | 10:15 | -5 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:4 | 1 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 9 |
| რონალდო (რეალი) | 7 |
| ვილა (ვალენსია) | 7 |
| რონალდინიო (ბარსელონა) | 6 |

### XI ტური

5-6 ნოემბერი

| | |
|---|---|
| ვილიარეალი | ვალენსია |
| სევილია | ატლეტიკო |
| კადისი | მალიორკა |
| სელტა | ალავესი |
| ესპანიოლი | ბილბაო |
| სოსიედადი | ოსასუნა |
| ხეტაფე | ბარსელონა |
| მალაგა | დეპორტივო |
| რეალი | სარაგოსა |
| რასინგი | ბეტისი |

## იტალია

### სერია A. X ტური

**მილანი 3:1 იუვენტუსი**

1:0 ზეედორფი (14), 2:0 კაკა (27), 3:0 პირლო (45), 3:1 ტრეზეგე (76)
მილანი: დიდა, ნესტა, სტამი, მალდინი, გატუზო, პირლო, ზეედორფი (კალაძე 86), სერჯინიო, კაკა, ჯილარდინო (კაფუ 79), ინძაგი (ვიერი 69)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
იუვენტუსი: კიმენტი, ტურამი, ფ. კანავარო, პესოტო (კიელინი 42), კამორანეზი (მუტუ 58), ემერსონი, ნედვედი (დელ პიერო 71), ვიეირა, ძამბროტა, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ნესტა, სტამი, ვიერი, ვიეირა, ტურამი, იბრაჰიმოვიჩი, კიელინი
მსაჯი: ბერტინი
79 706 მაყურებელი

**სამპდორია 2:2 ინტერი**

1:0 დიანა (7), 1:1 კამბიასო (31), 2:1 დიანა (35), 2:2 კორდობა (40)
სამპდორია: ანტონიოლი, სალა, დიანა, კასტელინი, ძენონი, გასბარონი (ტონეტო 51), პალომბო (ძაული 76), პიზანო, ვოლპი, ბონაცოლი (დალა ბონა 87), ფლაკი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
ინტერი: სეზარი, ფავალი (რეკობა 88), კორდობა, მიხაილოვიჩი, სამუელი, კამბიასო, ფიგუ (ზე მარია 81), პიზარო, სოლარი (ვომე 67), ადრიანო, მარტინსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: დიანა, ფიგუ, ფავალი
მსაჯი: ფარინა
28 000 მაყურებელი

**ტრევიზო 0:1 სიენა**

0:1 კიეზა (45)
ტრევიზო: ძანკობე, კოტაფავა, დელაფიორე, გუსტავო, ა. ფილიპინი (კიაპარა 69), გალო, ე. ფილიპინი, პარავიჩინი (რეგინალდო 58), დოსენა (ჯულიატო 71), ბოგეტო, ფავა
მწვრთნელი: ეციო როსი
სიენა: მირანტე, ტუდორი, ლეგროტალიე, კოლონეზე (პორტანოვა 26), ალბერტო, დავერსა, ვერგასოლა, ფალსინი, ლოკატელი (პარო 67), ბოგდანი, კიეზა
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონე
გაფრთხილება: დოსენა, ფალსინი, ბეგეტო
მსაჯი: ბერგონსი
5 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:0 ლაციო**

1:0 ძაური (77ს.კ.)
რეჯინა: პავარინი, დე როსა, კანარსა (ფრანჩესკინი 69), ლუკარენი, ნესტო, ბონდინი, პარედესი, მოდესტო, ვიჯანი (მისიროლი 61), კოცა (კარობიო 81), ამორუზო
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
ლაციო: ბალოტა, კრიბარი, ოდო, სტენდარდო, ძაური, დაბო, მანფრედინი, ლივერანი (ბარონიო 46), სეზარი (ჯალომბარდო 76), როკი, პანდევი (ტარე 52)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: ლივერანი, კანარსა, ნისიროლი, როკი, ბარონიო, მანფრედინი
მსაჯი: როკი
10 000 მაყურებელი

**ლივორნო 2:0 პარმა**

1:0 კ. ლუკარელი (17), 2:0 მორონე (28)
ლივორნო: ამელია, ვარგასი, გალანტე, მელარა, ბალერი (ჩენტი 82), მორონე, პასონი, დე აშენტისი, სეზარი (კოკო 60), ლაზეტიჩი (პაულინიო 71), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: რობერტო დონადონი

# მილანური ალიყური


AFP მილანიდან

მილანი — იუვენტუსი. მილანელებმა ტურინელები გააქყლიტეს

პარმა: ბუჩი, როსი, კარდონე, კონტინი, პასკუალე, მარკიონი (სიგარინი 71), სიმპლიციო, გრელა, დელვეკიო (დედიჩი 63), მორფეო (პაპონი 84), კორადი
მწვრთნელი: მარიო ბერეტი
გაფრთხილება: დელვეკიო, ლაზეტიჩი
მსაჯი: საკანი
11 000 მაყურებელი

**ლეჩე 0:2 მესინა**

0:1, 0:2 დაგოსტინო (80, 83)
ლეჩე: სიჩინიანო, ანჯელო (რულო 51), სტოვინი, პეკორალი, დიამუტენი, დელ ვეკიო, ლედესმა, კოცოლინო, ვალდესი (ერემენკო 59), პინარდი (კონანი 67), ლუჩინიჩი
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
მესინა: სტორარი, რეზაი, კრისტანტე, არონიკა, ძანკი, ჯამპა, დონატი, კოპოლა, სკული (ზორო 89), დი ნაპოლი (დაგოსტინო 65), მუსლიმოვიჩი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: კრისტანტე, პინარდი, კოპოლა, სტოვინი
მსაჯი: მაცოლენი
12 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 2:1 კალიარი**

0:1 სუაზო (42), 1:1 ტონი (53), 2:1 იორგენსენი (82)
ფიორენტინა: ფრეი, დი ლორეტო, უიფალოში, დაინელი, პანკარო (პასკუალი 46), ბროკი, დონატელი (პაციენცა 75), ფიორე, იორგენსენი, ბოჟინოვი (პაცინი 46), ტონი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
კალიარი: კამპანოლო, ბრეგა, პისანო, კანინი, კონტი, აგოსტინი, გობი, ბუდელი, კაპონე (კოსუ 81), ესპოზიტო, სუაზო (ლანჯელა 58)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: კანინი, სუაზო, კონტი, დაინელი, დონადელი, უიფალოში, ლანჯელა
გაძევება: კონტი (84), კანინი (88)
მსაჯი: გაბრიელე
30 000მაყურებელი

**კიევო 2:2 ემპოლი**

1:0 სემიოლი (3), 1:1 რიგანო (8), 1:2 ტავანო (53), 2:2 ელისიევი (61)

კიევო: ფონტანა, მანდელი, მორო, დანა, ლანა, ძანკეტა, სემიოლი, ფრანჩესკინი (ობინია 56), ჯუნტი, ამაური, პელისიერი (ანტონელი 77)
მწვრთნელი: ჯუზეპე პილონი
ემპოლი: ბერტი, კოდა, რაგი, ლუჩინი (ალმირონი 37), ბუსკე, ბონეტო, მორო, ფიჩინი, სერაფიმი, რიგანო (გასპარეტო 88)
მწვრთნელი: მარიო სომა
გაფრთხილება: სერაფიმი, პელისიერი, მანტოა
მსაჯი: სტეფარინი
5 000 მაყურებელი

**რომა 2:1 ასკოლი**

1:0 პანუჩი (39), 1:1 დორსინი (83), 2:1 მექსეში (90)
რომა: დონი, კივუ, პანუჩი, კუფური, დაკური (ტომასონი 69), დე როსი, პეროტა, მანსინი (მექსეში 81), მონტელა (ნონდა 78), ტადეი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ასკოლი: კოპოლა, დომიცი, კარბონე, პაჩი, ტოსტო, ფოჯა, კრისტიანო (გუანა 54), პარლა, ფინი, კალეარელა, ფერანტე (ბიელანოვიჩი 46)
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: კალეარელა, ტოსტო, როსი, პაროლა
გაძევება: კივუ (81)
მსაჯი: რიცოლი
35 000 მაყურებელი

**უდინეზე 0:0 პალერმო**

უდინეზე: დე სანქტისი, სენსინი, ბერტოტო, ფელიპე, მოტა, ვიდიგალი (პინცი 75), ობოდო, მაური, მუნტარი, როსინი (იაკინტა 62), დი ნატალე (დი მიკელე 72)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
პალერმო: ანდუხარი, ბარძალი, რინაუდო, ძაკარდო, გროსო, სანტანა, მუტარელი, ბარონე, ბონანი (კოდრეა 46), ბრიენცა (გონსალესი 82), კარაჩოლო (მაკინვა 67)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: მუნტარი, ფელიპე, მუტარელი, გონსალესი
მსაჯი: როდომონტი
16 000 მაყურებელი

**ალბათ** არავინ ელოდა, რომ „მილანისა" და „იუვენტუსის" მატჩში გამარჯვებული ასე მარტივად გაირკვეოდა. თუმც ფაქტი ჯიუტია, „როსონერიმ" შარშანდელი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო. ერთ-ერთ ყველაზე საძულველ მეტოქეს სეზონში პირველი ქულები დააკარგვინა და მაქსიმალურად მოუჩრდა კიდეც.

კარლო ანჩელოტის შეგირდებმა ყველაფერი პირველსავე ტაიმში გადაწყვიტეს. მართალია, უფრო აქტიურად სტუმრებმა დაიწყეს, მაგრამ მე-14 წუთზე ჯილარდინო-ზეედორფის კომბინაციას ტურინელი მცველების დაბნეულობა და ამ უკანასკნელი გოლი მოჰყვა. დაიბნა კიმენტიც, რომელსაც ზეედორფმა ბურთი ოსტატურად გადააგდო თავზე. გოლი მართლაც მოულოდნელი თუმც ძალიან სასიამოვნო საქმე გახლდათ.

ამის შემდეგ მატჩი იგივე რიტმში გაგრძელდა. მეტოქეები სახიფათო მომენტებს ცვლიდნენ და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ანდრეა პირლოს ჩაწოდებულმა ჯირიმამ ტურინელთა დაცვის მორიგი დაბნეულობა არ გამოიწვია კაკას დახლოებით 10 მეტრიდან ბურთის კარში გადაგზავნა რა გასჭირვებია.

შოკში ჩავარდნილმა „ბებერმა ქალბატონმა" ნელ-ნელა კი შეძლო გამოფხიზლება, მაგრამ საბოლოო დარტყმა ტაიმის მიწურულს მიიღო, როდესაც პირლოს საჯარიმო ანტონიო კიმენტიმ ახლო კუთხეში გაუშვა. სართოდ ვეტერანმა გოლკიპერმა ძალიან არადამაჯერებლად ითამაშა და კინაღამ კიდევ რამდენიმე ბურთი აჩუქა მეტოქეს.

მეორე ტაიმში „მილანს" თავი აღარ მოუკლავს. დაშავებული ანდრეი შევჩკოს არყოფნა თითქოს არც იგრძნობოდა. საერთოდაც, კარლო ანჩელოტის ბიჭები ფორვარდების ჩაურევლადაც მშვენივრად გავიდნენ ფონს.

„იუვენტუსი" უპირატესობას ფლობდა და ფაბიო კაპელომ ბოლოს მინდორზე 4 ნომინალური თავდამსხმელიც კი გამოიყვანა, მაგრამ უშედეგოდ. ერთადერთი, რაც სტუმრებმა შეძლეს, რამდენიმე მომენტიდან ერთის გამოყენება იყო — დავიდ ტრეზეგემ სტამის პოზიციური შეცდომით ისარგებლა და...

ეს იყო და ეს. მილანელთა ათიათასობით ქომაგმა ძალიან გაიხარა დამსახურებული გამარჯვებით. სერია A-ს კი ინტრიგა არასდროს აკლია, მაგრამ ახლა ვითარება ტრადიციულად ძალიან ჩაიხლართა. კანძების გახსნას კი ერთად მივადევნოთ თვალი და ყური. მთელი ეშხიც ხომ ამაშია.

„ჩვენ ნამდვილი „მილანი" ვიხილეთ. ძალიან გახარებული ვარ, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ არის. გამარჯვება კი იმიტომ გაგვიადვილდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ტურინელთა რამდენიმე წამყვან მოთამაშეზე გადავიტანეთ და მათ სივრცე შევუზღუდეთ" — თქვა კარლო ანჩელოტიმ.

კომენტარი გააკეთა იტალიის პრემიერ-მინისტრმა და „მილანის" მფლობელმა სილვიო ბერლუსკონიმაც: „ეს ორი დიდი კლუბის დიდი მატჩი გახლდათ. მიხარია, რომ ასე კარგად ვითამაშეთ და მოვიგეთ. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცხრილის თავში ისევ „იუვენტუსია". [illegible] მხრივ სამწუხაროა, რომ ტურინელთა მოგებების სერია შეწყდა. ყველთვის ძნელია, დაანგრიო ის, რისთვისაც იქამდე არავის [illegible]".

„თავად ნახეთ, რომ კლარენს ზეედორფის გოლი შემთხვევითი იყო და კარში იღბლის წყალობით აღმოჩნდა — ამბობს ფაბიო კაპელო — [illegible] „მილანს" ჩვენს კართან ხიფათი არ შეუქმნია. [illegible], რადგანაც მორიგი კარგი მატჩი [illegible] და სწორ გზას ვადგავართ".

ორი სიტყვით „ანჩელოტის" მატჩიც ვახსენოთ. „ნერო აზურის" [illegible] დაუცდა. მართალია, [illegible] „სამპდორია" იყო, თამაში კი [illegible] მართა, მაგრამ ასე [illegible] ისევ ფანტაზიის დონეზე დარჩება.

გენუელები ორჯერ [illegible] დანას მშვენიერი [illegible] წყალობით, თუმც ჯერ ესტებან კამბიასომ, მერე კი ივან კორდობამ რის ვაი-ვაგლახით გაათანაბრეს. მომენტები კიდევ იყო, თანაც ორივე კარითან, მაგრამ მიზანთან უფრო ახლოს მასპინძლები იყვნენ. ბოლო წუთებზე ლამბერტო ძაულის თავური სტუმართა კარის ხარიხას მოხვდა.

**კოკი კანდელაკი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 10 | 9 | 0 | 1 | 19:5 | 14 | 27 | 5 | 5 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 15 | 5 | 4 | 0 | 1 | 11:4 | 7 | 12 |
| 2 მილანი | 10 | 8 | 1 | 1 | 21:8 | 13 | 25 | 5 | 5 | 0 | 0 | 12:4 | 8 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 10 |
| 3 ფიორენტინა | 10 | 7 | 1 | 2 | 22:12 | 10 | 22 | 5 | 5 | 0 | 0 | 15:7 | 8 | 15 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 7 |
| 4 ინტერი | 10 | 6 | 1 | 3 | 20:10 | 10 | 19 | 5 | 4 | 0 | 1 | 14:3 | 11 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 7 |
| 5 პალერმო | 10 | 4 | 4 | 2 | 17:14 | 3 | 16 | 5 | 3 | 2 | 0 | 11:6 | 5 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | -2 | 5 |
| 6 კიევო | 10 | 4 | 4 | 2 | 14:11 | 3 | 16 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 8 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 8 |
| 7 რომა | 10 | 4 | 3 | 3 | 15:10 | 5 | 15 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:7 | 2 | 7 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 3 | 8 |
| 8 ლაციო | 10 | 4 | 3 | 3 | 13:13 | 0 | 15 | 5 | 4 | 1 | 0 | 11:5 | 6 | 13 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | -6 | 2 |
| 9 ლივორნო | 10 | 4 | 3 | 3 | 9:12 | -3 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:9 | -5 | 5 |
| 10 სამპდორია | 10 | 4 | 2 | 4 | 19:17 | 2 | 14 | 5 | 2 | 2 | 1 | 11:10 | 1 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:7 | 1 | 6 |
| 11 უდინეზე | 10 | 4 | 2 | 4 | 11:11 | 0 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:2 | 2 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | -2 | 7 |
| 12 სიენა | 10 | 4 | 2 | 4 | 18:19 | -1 | 14 | 5 | 2 | 0 | 3 | 9:10 | -1 | 6 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:9 | 0 | 8 |
| 13 ემპოლი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:15 | -3 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 6:8 | -2 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 5 |
| 14 ასკოლი | 10 | 2 | 5 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:5 | 3 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | -4 | 2 |
| 15 რეჯინა | 10 | 3 | 0 | 7 | 10:15 | -5 | 9 | 6 | 3 | 0 | 3 | 7:8 | -1 | 9 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:7 | -4 | 0 |
| 16 პარმა | 10 | 2 | 3 | 5 | 10:17 | -7 | 9 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 6 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:12 | -7 | 3 |
| 17 მესინა | 10 | 1 | 5 | 4 | 10:15 | -5 | 8 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:7 | -3 | 3 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 5 |
| 18 ტრევიზო | 10 | 1 | 2 | 7 | 5:16 | -11 | 5 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:8 | -7 | 0 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | -4 | 5 |
| 19 კალიარი | 10 | 0 | 4 | 6 | 7:17 | -10 | 4 | 5 | 0 | 4 | 1 | 3:5 | -2 | 4 | 5 | 0 | 0 | 5 | 4:12 | -8 | 0 |
| 20 ლეჩე | 10 | 1 | 1 | 8 | 5:19 | -14 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:11 | -10 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 12 |
| კიეზა (სიენა) | 8 |
| ბონაცოლი (სამპდორია) | 7 |
| ტავანო (ემპოლი) | 7 |

### XI ტური

5-6 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| ასკოლი | : | ფიორენტინა |
| კალიარი | : | ტრევიზო |
| ემპოლი | : | რეჯინა |
| იუვენტუსი | : | ლივორნო |
| ლაციო | : | ინტერი |
| მესინა | : | რომა |
| მილანი | : | უდინეზე |
| პალერმო | : | სამპდორია |
| პარმა | : | ლეჩე |
| სიენა | : | კიევო |

### სერია B

XIII ტური

**ვიჩენცა 3:3 ატალანტა**

1:0 გონსალესი (2), 2:0 კარბონე (10), 2:1 ვენტოლა (28), 2:2, 3:2 სონსინი (32, 73), 3:3 კარბონე (89)

**ტრიესტინა 0:3 ვერონა**

0:1 ადაილტონი (55პ), 0:2 იტალიანო (60), 0:3 ადაილტონი (89)

**ტორინო 1:0 ჩეზენა**

1:0 ფანტინი (75)

**რიმინი 2:1 ბარი**

0:1 კარუზი (17პ), 1:1 რიკიუტი (28), 2:1 მოტა (49პ)

**ბოლონია 1:1 არეცო**

1:0 ბელუჩი (58), 1:1 კაროზიერი (70)

**ალბინოლეფე 0:0 კატანძარო**

**კროტონე 0:0 პესკარა**

**აველინო 0:0 მანტოვა**

**ტერნანა 0:0 კატანია**

**კრემონეზე — პიაჩენცა**

*დღეს გაიმართება*

**ბრეშა — მოდენა**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 13 | 9 | 4 | 0 | 20:7 | 31 |
| ტორინო | 13 | 7 | 4 | 2 | 12:5 | 25 |
| მოდენა | 12 | 6 | 5 | 1 | 15:6 | 23 |
| ატალანტა | 13 | 7 | 1 | 5 | 18:17 | 22 |
| ვერონა | 13 | 5 | 6 | 2 | 14:7 | 21 |
| არეცო | 13 | 5 | 6 | 2 | 16:10 | 21 |
| ჩეზენა | 13 | 6 | 3 | 4 | 18:15 | 21 |
| ბრეშა | 12 | 5 | 5 | 2 | 18:12 | 20 |
| კატანია | 13 | 5 | 5 | 3 | 17:14 | 20 |
| კროტონე | 13 | 5 | 4 | 4 | 13:10 | 19 |
| ტრიესტინა | 13 | 5 | 4 | 4 | 11:10 | 19 |
| რიმინი | 13 | 4 | 5 | 4 | 17:15 | 17 |
| ბოლონია | 13 | 4 | 5 | 4 | 15:14 | 17 |
| პიაჩენცა | 12 | 4 | 4 | 4 | 18:16 | 16 |
| პესკარა | 13 | 4 | 3 | 6 | 13:18 | 15 |
| ბარი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:16 | 14 |
| ალბინოლეფე | 13 | 2 | 7 | 4 | 9:10 | 13 |
| ვიჩენცა | 13 | 3 | 3 | 7 | 15:23 | 12 |
| აველინო | 13 | 2 | 4 | 7 | 11:22 | 10 |
| კატანძარო | 13 | 2 | 2 | 9 | 7:17 | 8 |
| ტერნანა | 13 | 1 | 4 | 8 | 6:22 | 7 |
| კრემონეზე | 12 | 1 | 3 | 8 | 8:19 | 6 |

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XIII ტური

**ნანტი 1:0 ლე მანი**

1:0 კესერუ (183)

**რენი 2:1 მეცი**

1:0 უტაკა (17), 2:0 ფრეი (56), 2:1 ტუმი (90)
გაძევება: პრომენი (73, მეცი)

**მონაკო 3:0 აიაჩო**

1:0 ჩევანტონი (38), 2:0 გივე (68), 3:0 პლასილი (75)

**სტრასბური 0:1 სენტ ეტიენი**

0:1 გომისი (70)

**ლიონი 1:0 სოშო**

1:0 მალუდა (51)

**ლანსი 1:0 ტულუზი**

1:0 კუზინი (24)

**ბორდო 2:0 ტრუა**

1:0, 2:0 დარშევილი (7, 55)

**მარსელი 1:1 ლილი**

1:0 კოკე (29), 1:1 აჩიმოვიჩი (51)

**ნანსი 0:0 ნიცა**

**ოსერი 2:0 პსჟ**

1:0 ე. სისე (52 ს.კ.), 2:0 პიერონი (85)



AFP ფოტო

რენი — მეცი 2:1. მასპინძლებმა ალექსანდრ ფრეის და ჯონ უტაკას გოლებით იმარჯვეს

# ულიეს ბოდიში

„ლიონის“ მწვრთნელმა ჟერარ ულიემ ქომაგებს მოუბოდიშა, „სოშოს“ ერთ გოლზე მეტი რომ ვერ გაუტანეს.

„ჩვენს შორის კლასში სხვაობა აშკარაა, მაგრამ ფორვარდები საგოლე მომენტებს ასე არ უნდა ანიავებდნენ“ — თქვა ულიემ, რომლის გუნდმაც მეათე მატჩი მოიგო. ფლორენ მალუდამ მეორე ტაიმის დასაწყისში გაიტანა, მერე კი მის თანაგუნდელებს მოუხდათ სხვაობის გაზრდა.

„სენტ ეტიენმა“ გასაცოდავებულ „სტრასბურს“ სძლია და ოთხეულში შეძვრა. ცამეტი ტური მიილია, „სტრასბურმა“ კი გამარჯვების გემო არ იცის. სტუმართაგან ბაფეტიმბი გომისმა იხეირა, რომლისთვისაც ეს პირველი გოლი გამოდგა პირველ დივიზიონში.

„ნანტმა“ კლაუდიუ კესერუს წყალობით იმარჯვა და ცხრილში ორი საფეხურით აიწია. დამხვდურთა რუმინელი ფორვარდი საპენალტედ წააქციეს და თერთმეტი მეტრიდან დარტყმა მანვე უზადოდ შეასრულა.

„მონაკომ“ „აიაჩოს“ იოლად აჯობა. ტრავმამოშუშებულმა ჩევანტონიმ შესვენებამდე შვიდი წუთით ადრე მასპინძლები დააწინაურა. მეორე ტაიმში გაელ გივემ თავით მეორე გაიტანა, რასაც მიროსლავ პლასილმა მესამე მიაყოლა — ჩეხმა დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა.

ევროთასებისგან თავისუფალი „ბორდო“ ამ სეზონში ძალიან ყოჩაღობს. ბრაზილიელმა მწვრთნელმა რიკარდომ კარგი გუნდი გააკეთა, რომელიც „ლიონს“ ჩემპიონობისთვის შეებრძოლება.

„ბორდომ“ჟან კლოდ დარშევილის დუბლით „ტრუას“ მოუგო, რომლის მცველმა ფრედერიკ ადამმა ნამატჩევს თქვა: „მეტოქემ ერთი თავით გვაჯობა. სხვაობა ისეთი იყო, თითქოს ჩვენ სხვადასხვა დივიზიონებში ვთამაშობდეთ“.

დარშევილმა მეშვიდე წუთზე ტრუელ მეურვეს სისწრაფეში აჯობა და ლე კრომს გაუტანა, ხოლო მეორე ნახევარში ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმით დუბლი გაიფორმა.

„მარსელი“ კოკემ საუცხოო, შორიდან გატანილი გოლით დააწინაურა, მაგრამ სტუმრებმა შესვენების შემდეგ უკეთ ითამაშეს, მილენკო აჩიმოვიჩმა გაათანაბრა. „ლილის“ მწვრთნელმა თავისი შეგირდები შეაქო და თქვა, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ საშინაო მატჩშიც ასე უნდა ვითამაშოთო.

ფრეების მოყვარულმა „ლანსმა“ ნავსი გატეხა და „ტულუზს“ დაინელ კუზინის გოლით მოუგო, ხოლო „რენმა“ მაჩანჩალა „მეცი“ არ დაინდო, რომელიც ალბათ გავარდნას ვერ გადაურჩება.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 13 | 10 | 3 | 0 | 23:8 | 33 |
| ბორდო | 13 | 6 | 6 | 1 | 14:7 | 24 |
| სტ. ეტიენი | 13 | 6 | 5 | 2 | 14:7 | 23 |
| პსჟ | 13 | 7 | 2 | 4 | 15:11 | 23 |
| ოსერი | 13 | 7 | 1 | 5 | 16:16 | 22 |
| ლილი | 13 | 5 | 5 | 3 | 18:10 | 20 |
| მონაკო | 13 | 6 | 2 | 5 | 14:11 | 20 |
| რენი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:23 | 20 |
| ლანსი | 12 | 4 | 7 | 1 | 18:9 | 19 |
| ლე მანი | 13 | 5 | 4 | 4 | 13:9 | 19 |
| მარსელი | 13 | 5 | 3 | 5 | 14:15 | 18 |
| ნანსი | 13 | 5 | 2 | 6 | 16:9 | 17 |
| ნიცა | 13 | 4 | 5 | 4 | 11:13 | 17 |
| ნანტი | 13 | 4 | 3 | 6 | 10:11 | 15 |
| ტულუზი | 13 | 4 | 3 | 6 | 10:15 | 15 |
| სოშო | 13 | 3 | 3 | 7 | 7:14 | 12 |
| აიაჩო | 12 | 2 | 5 | 5 | 9:14 | 11 |
| ტრუა | 13 | 2 | 5 | 6 | 10:17 | 11 |
| სტრასბური | 13 | 0 | 6 | 7 | 5:14 | 6 |
| მეცი | 13 | 0 | 4 | 9 | 5:24 | 4 |

### II დივიზიონი. XIV ტური

ამიენი — ისტრი 2:1; ვალანსი — ლავალი 2:1; რეიმსი — გენგამი 0:0; მონპელიე — ლორიანი 0:3; ლე ავრი — დიჟონი 1:2; გენიონი — კაენი 2:2; კრეტეი — სეტე 3:0; შატორუ — კლერმონი 3:3; ბასტია — გრენობლი 2:0; ბრესტი — სედანი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 12 | 8 | 3 | 1 | 18:8 | 27 |
| კრეტეი | 14 | 7 | 4 | 3 | 24:11 | 25 |
| ბასტია | 13 | 7 | 3 | 3 | 19:9 | 24 |
| ლორიანი | 14 | 6 | 5 | 3 | 19:11 | 23 |
| შატორუ | 14 | 6 | 5 | 3 | 20:16 | 23 |
| ვალანსი | 14 | 6 | 5 | 3 | 16:12 | 23 |
| ამიენი | 14 | 5 | 5 | 4 | 14:11 | 20 |
| კაენი | 14 | 4 | 6 | 4 | 16:13 | 18 |
| დიჟონი | 14 | 4 | 6 | 4 | 12:13 | 18 |
| გრენობლი | 14 | 5 | 3 | 6 | 12:15 | 18 |
| ლე ავრი | 14 | 4 | 5 | 5 | 18:18 | 17 |
| გენიონი | 14 | 3 | 8 | 3 | 11:15 | 17 |
| ბრესტი | 13 | 3 | 7 | 3 | 12:13 | 16 |
| რეიმსი | 14 | 3 | 6 | 5 | 6:8 | 15 |
| ისტრი | 14 | 3 | 6 | 5 | 13:16 | 15 |
| ლავალი | 14 | 4 | 2 | 8 | 13:21 | 14 |
| კლერმონი | 14 | 3 | 5 | 6 | 9:23 | 14 |
| მონპელიე | 14 | 3 | 4 | 7 | 13:22 | 13 |
| სეტე | 14 | 2 | 6 | 6 | 11:17 | 12 |
| გენგამი | 14 | 1 | 8 | 5 | 7:11 | 11 |

# გუნდა ყურში

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XXVIII ტური

**ლოკომოტივი 1:1 სატურნი**

0:1 ჟ. კარლოსი (36), 1:1 ბილიალეტდინოვი (50)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ლიმა, პაშინინი, სენნიკოვი, ბიკეი (მამინოვი 46), ასათიანი, გურენკო (ტელიძე 79), ლებედენკო, სამედოვი (იზმაილოვი 46), ბილიალედტინოვი, ხოხლოვი

**ტორპედო 2:0 მოსკვა**

1:0 ზირიანოვი (45), 2:0 სემშოვი (62)

**შინიკი 1:3 სპარტაკი**

0:1 ბისტროვი (23), 0:2 პავლიუჩენკო (25), 1:2 ჩერნოგაევი (79), 1:3 პავლიუჩენკო (90)

**ზენიტი 0:1 რუბინი**

0:1 ბაირამოვი (56)
რუბინი: კოლინკო, კალისტო, ფედოროვი, სალუქვაძე (იალანდი 70), გილმულინი (ხუზინი 90), კონოვალოვი, სიბაია, ქინქლაძე (ასტაფიევსი 77), სილა, სკოტი, ბაირამოვი

**ცსკა 2:1 როსტოვი**

1:0 ჟირკოვი (20), 2:0 ლავი 25), 2:1 ბუზნიკინი (58)
როსტოვი: ჩიჩკინი, კალაშნიკოვი, ოლენიკოვი, გუტიერესი, გორაკი, პერესი, დანცევი, ზვანე (გურჩენკო 46), ბუზნიკინი, ორლოვი, აშვეთია

**კრილია 1:0 ამკარი**

1:0 ადამუ (44)

**ტერეკი 1:2 ალანია**

0:1 ჯ. ბაზაევი (21), 0:2 გოგნიევი (70), 1:2 მაზაევი (81)
ალანია: რადიჩი, ტიაგუ (ჯორჯევიჩი 73), ოკორონკვო, აგაევი, ბეჩირი, ჯ. ბაზაევი (კანკავა 87), ლაზიჩი, აჯინჯალი, ატანგანა (სირხაევი 46), კინგსტონი, შარონოვი

**ტომი 3:2 დინამო**

0:1 დანი (8), 0:2 სისერუ (37), 1:2 კრუნიჩი (51), 2:2, 3:2 კისელიოვი (61, 90)

მოსკოვის „სპარტაკმა“ იაროსლავში მოიგო და მეორე ადგილზე გადავიდა, საიდნაც ჩემპიონთა ლიგა მოჩანს. სპარტაკელმა ბისტროვმა ბურთი თავზე გადაავლო მეკარე საფონოვს და ანგარიში გახსნა. ორ წუთში პავლიუჩენკო გავიდა საფონოვთან პირისპირ და სხვაობა გაზარდა.



ლოკომოტივი — სატურნი 1:1. გოლსგადაჩვეულ მოსკოველთაგან, როგორც იქნა, დინიარ ბილიალეტდინოვმა გაიტანა

მეორე ტაიმის დასაწყისში თამაში ჩაკვდა, მაგრამ ქომაგებმა გამოაცოცხლეს. ჯერ მავანმა გულშემატკივარმა გაისეირნა მოედანზე, მერე კი ვილაცამ გვერდით მსაჯს გუნდით ყური აუწითლა.

მასპინძელმა ჩერნოგაევმა ერთი გაქვითა და „შინიკმა“ ქულის გადარჩენა მოინდომა, მაგრამ პავლიუჩენკომ ბოლო წუთზე მესამე გაიტანა.

„ლოკომოტივი“, რომელსაც სამი თვის წინ ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდნენ, მეორე ადგილსაც კარგავს. ვლადიმირ ეშტრეკოვის გუნდი აშკარად დაღმავზეა და „სატურნთან“ ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა. „ლოკომ“ პირველი ტაიმი წააგო, შესვენების შემდეგ კი მეტოქის ნახევარზე დასახლდა, მაგრამ ბილიალეტდინოვის ერთი გოლის გარდა ვერაფერს გამორჩა. მასპინძელთა შეტევები შეხვედრის ბოლოს ისე გაუფერულდა, რომ „სატურნის“ მცველები იოლად იგერიებდნენ.

„ლოკომოტივივით“ ჩემპიონობის მსურველი „ზენიტი“ სულ გაფარჩაკდა და ისე წაუვიდა საქმე, რომ ოქროს კი არა, ვერცხლ-ბრინჯაოსაც ველარ შესწვდება. ჯერ „მოსკოვთან“, ახლა შინ „რუბინთან“ მარცხის შემდეგ ნევისპირელები მეხუთე საფეხურზე ჩამოქვეითდნენ და ისლა დარჩენიათ, უეფას თასზე იჯახირონ. ყაზანელმა ბაირამოვმა მეორე ტაიმის დაწყებიდან რვა წუთში გაუტანა მალოფეევს და თათრეთის გუნდი მეოთხე ადგილზე გადააბრძანა.

„ტორპედომ“ ზირიანოვისა და სემშოვის წყალობით „მოსკოვს“ მოუგო, რომელიც უეფას თასის საგზურს ეპოტინება. ზირიანოვმა დაახლოებით 25 მეტრიდან „ისროლა“, ხოლო სემშოვი მეკარესთან პირისპირ გავიდა და სეზონში მე-12 გოლი მიითვალა.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 28 | 16 | 8 | 4 | 42:16 | 56 |
| სპარტაკი | 28 | 15 | 7 | 6 | 45:25 | 52 |
| ლოკომოტივი | 28 | 13 | 13 | 2 | 37:17 | 52 |
| რუბინი | 28 | 13 | 9 | 6 | 38:27 | 48 |
| ზენიტი | 28 | 12 | 10 | 6 | 41:23 | 46 |
| მოსკვა | 28 | 12 | 8 | 8 | 31:23 | 44 |
| ტორპედო | 28 | 11 | 9 | 8 | 34:27 | 42 |
| შინიკი | 28 | 8 | 11 | 9 | 21:26 | 35 |
| დინამო | 28 | 11 | 2 | 15 | 34:44 | 35 |
| სატურნი | 28 | 8 | 9 | 11 | 22:22 | 33 |
| ტომი | 28 | 7 | 10 | 11 | 24:32 | 31 |
| ამკარი | 28 | 6 | 12 | 10 | 23:34 | 30 |
| კრილია | 28 | 7 | 8 | 13 | 28:41 | 29 |
| როსტოვი | 28 | 7 | 7 | 14 | 22:36 | 28 |
| ალანია | 28 | 5 | 8 | 15 | 23:47 | 23 |
| ტერეკი | 28 | 5 | 5 | 18 | 20:45 | 20 |

## ბელგია

### იუპილერლიგა. XII ტური

**ლოკერენი 2:2 ანდერლეხტი**

0:1 სერპატი (32), 1:1 კარლოსი (63), 1:2 ვილჰელმსონი (83), 2:2 დიალო (87)

**ბრიუსელი 1:0 გენკი**

1:0 დე კამარგო (31)
გაძევება: ბრუნო (57, ბრიუსელი)

**ბევერენი 2:1 ვარეგემი**

0:1 ნოუვენუზი (57), 1:1 დისა (72), 2:1 ნე (85)
გაძევება: მერტი (86, ვარეგემი)

**ბრიუგე 2:1 გენტი**

1:0, 2:0 პორტილიო (23, 73), 2:1 ფოლი (83)

**შარლერუა 2:1 ვესტერლო**

1:0, 2:0 სტერჩილი (18, 24), 2:1 უტაკა (65)

**ლიერსი 0:4 სერკლი**

0:1 პინასი (13), 0:2 დე სმეტი (16), 0:3 პინასი (31), 0:4 დეკელვერი (35)

**სენტ ტრუიდენი 1:3 ლუვიე**

0:1 სტოიკოვი (24), 0:2 ბრაჰამი (61), 0:3 პოტერი (65), 1:3 მბონაბუკვა (86)

**მუსკრონი 2:1 სტანდარდი**

1:0 ნუკოუ (7), 1:1 ტჩიტე (46), 2:1 ფელაჰი (54)

**რუზელარე 5:1 ბეერსხოტი**

1:0 ვასენი (26), 2:0 დუფერი (37), 3:0, 4:0 ელოი (40, 44), 5:0 ვან დამი (69), 5:1 დორენი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარდი | 12 | 9 | 1 | 2 | 23:12 | 28 |
| ანდერლეხტი | 12 | 7 | 5 | 0 | 31:11 | 26 |
| ბრიუგე | 12 | 6 | 4 | 2 | 17:13 | 22 |
| ვესტერლო | 12 | 6 | 3 | 3 | 17:8 | 21 |
| ვარეგემი | 12 | 6 | 2 | 4 | 22:19 | 20 |
| გენტი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:13 | 19 |
| ლოკერენი | 11 | 5 | 3 | 3 | 16:15 | 18 |
| გენკი | 12 | 4 | 5 | 3 | 17:15 | 17 |
| ბრიუსელი | 12 | 4 | 4 | 4 | 14:13 | 16 |
| რუზელარე | 12 | 4 | 3 | 5 | 20:17 | 15 |
| შარლერუა | 12 | 3 | 6 | 3 | 14:14 | 15 |
| სერკლი | 12 | 4 | 2 | 6 | 15:18 | 14 |
| სენტ ტრუიდენი | 12 | 4 | 1 | 7 | 12:16 | 13 |
| ბევერენი | 12 | 4 | 1 | 7 | 13:18 | 13 |
| მუსკრონი | 12 | 4 | 0 | 8 | 12:19 | 12 |
| ლუვიე | 12 | 2 | 4 | 6 | 12:24 | 10 |
| ლიერსი | 11 | 1 | 5 | 5 | 5:16 | 8 |
| ბეერსხოტი | 12 | 1 | 3 | 8 | 11:27 | 6 |

### მეორე დივიზიონი. X ტური

მონსი — ეუპენი 5:1; გეელი — ვირტონი 2:0; ანტვერპენი — კორტრაიკი 0:4; დაინცე — ჰეუსდენი 1:0; დესელი — მეხელენი 1:0; ოსტენდე — სენტ ჟილი 1:0; რონსი — ლომელი 0:1; ტუბიცე — ოუდ ჰევერლი 1:1; ვიგორი — ვაასლანდი 3:3

## ჰოლანდია

### უმაღლესი დივიზიონი. X ტური

**ვალვაიკი 4:1 ბრედა**

1:0 პოგენდორფი (22პ), 1:1 ვან ჰოიდონკი (26), 2:1 მოლეკი (55), 3:1 ვან დე ჰაარი (85), 4:1 მარტენსი (89)

**ტვენტე 0:1 პსვ**

0:1 აფელაი (70)

**ვიტესი 5:1 ჰერაკლესი**

1:0 დე მული (14), 1:1 კანაში (18), 2:1, 3:1 პერში (37, 85), 4:1, 5:1 ამოა (59, 83)

**დენ ჰააგი 0:2 ალკმაარი**

0:1 სეკტიუ (16), 0:2 შ. არველაძე (55)
ალკმაარი: ტიმერი, იალინესი, მატიისენი, ვლარი, ლანზაატი, სტევინსონი, ვან გალენი (რამზი 58), შაარსი, სეკტიუ, შ. არველაძე, პერესი (მისეგაესი 74)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

აიაქსი 0:0 ჰერენვენი

**გრონინგენი 1:0 როდა**

1:0 ბაისი (73)

**უტრეხტი 4:1 როზენდალი**

1:0 მაჩი (45), 1:1 კპაკა (54), 2:1 ბროერსი (61), 3:1 მაჩი (65), 4:1 ფორტუნი (88)

**ნაიმეგენი 0:0 სპარტა**

**ტილბურგი 1:3 ფეიენოორდი**

0:1 ს. კალუ (9), 0:2 კასტელენი (21), 0:3 პაუვე (55), 1:3 დენისენი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 10 | 8 | 1 | 1 | 17:5 | 25 |
| ალკმაარი | 10 | 8 | 0 | 2 | 32:11 | 24 |
| ფეიენოორდი | 10 | 8 | 0 | 2 | 27:11 | 24 |
| ვალვაიკი | 10 | 7 | 0 | 3 | 20:12 | 21 |
| ვიტესი | 10 | 5 | 1 | 4 | 19:15 | 16 |
| ბრედა | 10 | 5 | 1 | 4 | 13:14 | 16 |
| აიაქსი | 10 | 4 | 3 | 3 | 15:11 | 15 |
| გრონინგენი | 10 | 5 | 0 | 5 | 11:12 | 15 |
| უტრეხტი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:13 | 14 |
| ჰერენვენი | 10 | 3 | 3 | 4 | 17:19 | 12 |
| სპარტა | 10 | 3 | 3 | 4 | 9:12 | 12 |
| როდა | 10 | 4 | 0 | 6 | 15:22 | 12 |
| ტვენტე | 10 | 3 | 2 | 5 | 12:11 | 11 |
| ჰერაკლესი | 10 | 3 | 2 | 5 | 8:19 | 11 |
| ნაიმეგენი | 10 | 2 | 4 | 4 | 11:15 | 10 |
| დენ ჰააგი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:18 | 8 |
| ტილბურგი | 10 | 2 | 2 | 6 | 7:16 | 8 |
| როზენდალი | 10 | 0 | 2 | 8 | 5:26 | 2 |

### მეორე დივიზიონი. XV ტური

ზვოლე — ოსი 2:3; მაასტრიხტი — ჰელმონდი 1:1; ჰაარლემი — ალმერე 3:2; ექსელსიორი — აპელდორნი 2:1; ეინდჰოვენი — ტელსტარი 1:2; დორდრეხტი — სიტარდი 6:1; გრააფსხაპი — ემენი 0:1; ვეენდამი — ვენლო 0:1; დენ ბოსხი — იგლსი 0:0; ვოლენდამი — კამბური 2:0

# ჰართსი დასრულდა



ჰიბერნიანი — ჰართსი 2:0. ბუზელინმა სტუმრებს უძლეველი სერია შეაწყვეტინა

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XIII ტური

**ჰიბერნიანი 2:0 ჰართსი**
1:0 ბუზელინი (77), 2:0 ოკონერი (79)

**რეინჯერსი 1:1 ინვერნესი**
0:1 დარგო (25), 1:1 ტომპსონი (53)

**დანფერმლაინი 0:3 მოზერუელი**
0:1 კერი (56), 0:2 კორიგანი (61), 0:3 ჰამილტონი (79)

**ფოლკირკი 1:1 ლივინგსტონი**
1:0 პინშტენი (19ს.კ.), 1:1 სნოდგრასი (87)

**კილმარნოკი 4:2 აბერდინი**
0:1 ანდერსონი (14), 1:1 ფორდი (17), 2:1 ინვისიბილი (18), 3:1, 4:1 ბოიდი (46, 56), 4:2 კროუფორდი (70)

**დანდი იუნ. 2:4 სელტიკი**
1:0 სატონი (4 ს.კ.), 1:1 ჰართსონი (17), 1:2 სატონი (28), 2:2 კ. სამუელი (30), 2:3 არჩიბალდი (33 ს.კ.), 2:4 პირსონი (88)

„ჰართსის“ უძლეველი სერია „ჰიბერნიანმა“ შეწყვიტა. ჰართსელთა ლიტველი ფორვარდი იანკაუსკასი 62-ე წუთზე გააძევეს და მასპინძლებმა ამის შემდეგ ერთიმეორეს მიაყოლეს. იანკაუსკასი კი იმიტომ გააგდეს, რომ ჰიბერნიანელ სკოტ ბრაუნს ხელი ჰკრა და ბალახზე გაშხლართა. კაცნაკლულმა ედინბურგელებმა მეტოქის შეტევებს ველარ გაუძლეს. შეცვლაზე შესულმა ივან სპროულმა ბუზელინს გაატანინა, ხოლო ოკონორმა უმალ გაზარდა სხვაობა და 50-ე გოლი მიითვალა.

ჯონ მაკგლინმა, რომელიც „ჰართსის“ დროებითი მწვრთნელია, ნამატჩევს თქვა: „იანკაუსკასი გამოცდილი ფეხბურთელია. მას თავშეკავება მართებდა“.

ხოლო „ჰიბერნიანის“ თავკაცმა ტონი მოუბრეიმ განაცხადა: „ძალიან მიხარია. ზოგჯერ ძნელიც კია ათი კაცის დამარცხება, მაგრამ ამ შემთხვევაში მოგება შევძელით“.

„ჰართსის“ პატრონი რომანოვი კი ახალ მწვრთნელს ეძებს. მაკგლინის სავარაუდო შემცვლელთა ნუსხას ახლა ოტმარ ჰიცფელდის გვარ-სახელიც შეემატა.

გლაზგოს „რეინჯერსის“ თავკაც ალექს მაკლიშს უკვე ზედიზედ მეორედ უწევს თავის მართლება. „ჩაფრებმა“ გასული კვირის შუაშიც ვერ მოიგეს და ამჯერადაც ოდენ ფრეს დასჯერდნენ. შედეგად, „რეინჯერსი“ მესამეადგილოსან „ჰიბერნიანს“ ექვსი ქულით ჩამორჩა.

„ფანებს უფლება აქვთ, მაკრიტიკონ — თქვა მაკლიშმა „ინვერნესთან“ ფრის შემდეგ — მათ გადაიხადეს ფული და გამარჯვების სანახავად მოვიდნენ, რაც ვერ მიიღეს. მთელი სეზონის განმავლობაში საგოლე მომენტებს ვანიავებთ. ეს უნდა გამოვასწოროთ“.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 13 | 10 | 2 | 1 | 35:12 | 32 |
| ჰართსი | 13 | 10 | 2 | 1 | 27:9 | 32 |
| ჰიბერნიანი | 13 | 9 | 1 | 3 | 24:13 | 28 |
| რეინჯერსი | 13 | 6 | 4 | 3 | 23:13 | 22 |
| კილმარნოკი | 13 | 5 | 3 | 5 | 23:22 | 18 |
| მოზერუელი | 13 | 5 | 2 | 6 | 25:28 | 17 |
| აბერდინი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:17 | 16 |
| ინვერნესი | 13 | 3 | 5 | 5 | 13:16 | 14 |
| დანდი იუნ. | 13 | 3 | 4 | 6 | 16:22 | 13 |
| ფოლკირკი | 13 | 3 | 4 | 6 | 13:23 | 13 |
| დანფერმლაინი | 13 | 1 | 2 | 10 | 8:27 | 5 |
| ლივინგსტონი | 13 | 0 | 5 | 8 | 6:28 | 5 |

### I დივიზიონი. XI ტური

სტ. მირენი — ქუინ ოფ საუთ 2:0; როს ქაუნთი — სტ. ჯონსტონი 2:1; კლაიდბენკი — ბრეჩინი 2:1; ჰამილტონი — სტრენრარი 2:0; ერდრი — დანდი 4:0

### II დივიზიონი. XI ტური

სტირლინგი — რეით როვერსი 1:0; პარტიკ თისლი — ეარი 1:0; გრეტნა — მორტონი 3:1; დამბარტონი — პიტერჰედი 1:0; ფორფარი — ალოა 3:1

### III დივიზიონი. XI ტური

სტენჰაუზმური — არბროთი 2:0; ქუინზ პარკი — ელგინი 3:0; მონტროუზი — ისტ სტირლინგი 3:0; ისტ ფაიფი — ალბიონი 1:1; ბერიკი — ქოუდენბითი 1:0



# ტიგანა ოსმალო არწივი გახდა

**ჟან ტიგანა** თურქული „ბეშიქთაშის“ მწვრთნელია. საფრანგეთის „ოცნების გუნდის“ ყოფილმა ფეხბურთელმა გუშინ სტამბოლელ „არწივებთან“ გააფორმა ხელშეკრულება. „ბეშიქთაში“ ძლიერი გუნდია და იმედი მაქვს, შეგირდებთან ერთობლივი მუშაობით თურქულ სუპერლიგაში კარგ შედეგებს მივაღწევთ“ — განუცხადა ტიგანამ თანამემამულე „ეკიპის“ კორესპონდენტს.

ფრანგთა განთქმული ფეხბურთელის ბოლო სამწვრთნელო სარბიელი ინგლისური „ფულემი“ იყო, საიდანაც 2003 წლის აპრილში წავიდა. მას შემდეგ ტიგანას არც ერთი ევროპული თუ აზიური კლუბი აღარ გაუწვრთნია, ახლა კი კარიერას „ბეშიქთაშში“ გააგრძელებს. „არწივებს“ გალ სპეციალისტამდე დროებითი დამრიგებელი, ალბიონელი გორდონ მილნე თავკაცობდა. იქამდე კი „ბეშიქთაშის“ მაესტროები თურქი რიზა ჩალიმბაი და ესპანელი ვისენტე დელ ბოსკე იყვნენ. „ბევრი სირთულე იქნება, თუმც საქმეს თუ ბეჯითად მოვეკიდებით, აუცილებლად გავიმარჯვებთ“ — აღნიშნა ჟან ტიგანამ. ოსმალო „არწივები“ დღეს იქაური ჩემპიონატის ცხრილის შუაგულში არიან და მეზობელ გრანდებს, „ფენერბაჰჩესა“ და „გალათასარაის“ საკმაოდ ჩამორჩებიან ქულებით.

**ლადო ხომერიკი**

## თურქეთი

### სუპერლიგა. XI ტური

ანკარა — მალათია 1:2; ფენერბაჰჩე — გაზიანთეფი 1:0; დიარბაქირი — მანისა 0:2; გენჩლერი — გალათასარაი 2:1; ქაისერი — კონია 1:0; რიზე — სივასფორი 1:0; სამსუნი — ერჯიესი 1:1; ბეშიქთაში — ანკარაგიუჯიუ 4:2; დენიზლი — ტრაბზონი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 11 | 9 | 2 | 0 | 26:10 | 29 |
| გალათასარაი | 11 | 8 | 2 | 1 | 26:12 | 26 |
| ქაისერი | 11 | 7 | 1 | 3 | 21:13 | 22 |
| სივასფორი | 11 | 6 | 3 | 2 | 12:7 | 21 |
| ბეშიქთაში | 11 | 5 | 3 | 3 | 15:11 | 18 |
| ერჯიესი | 11 | 4 | 6 | 1 | 12:8 | 18 |
| გაზიანთეფი | 11 | 4 | 4 | 3 | 14:14 | 16 |
| ტრაბზონი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:14 | 15 |
| გენჩლერი | 11 | 3 | 5 | 3 | 10:9 | 14 |
| მანისა | 11 | 3 | 3 | 5 | 15:16 | 12 |
| ანკარაგიუჯიუ | 11 | 3 | 3 | 5 | 15:17 | 12 |
| რიზე | 11 | 3 | 3 | 5 | 8:11 | 12 |
| კონია | 11 | 2 | 5 | 4 | 11:11 | 11 |
| ანკარა | 11 | 2 | 5 | 4 | 13:14 | 11 |
| სამსუნი | 11 | 2 | 3 | 6 | 21:28 | 9 |
| დიარბაქირი | 11 | 2 | 2 | 7 | 10:24 | 8 |
| დენიზლი | 11 | 1 | 4 | 6 | 6:13 | 7 |
| მალათია | 11 | 1 | 3 | 7 | 8:23 | 6 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. XVII ტური

გრაცერი — შტურმი 2:0; აუსტრია — ტიროლი 0:0; მატერსბურგი — რაპიდი 0:0; რიდი — ადმირა 4:0; ზალცბურგი — პაშინგი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 17 | 10 | 1 | 6 | 22:18 | 31 |
| აუსტრია | 17 | 8 | 4 | 5 | 21:17 | 28 |
| პაშინგი | 17 | 7 | 6 | 4 | 21:13 | 27 |
| რაპიდი | 17 | 7 | 5 | 5 | 28:20 | 26 |
| გრაცერი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:20 | 25 |
| შტურმი | 17 | 6 | 6 | 5 | 22:22 | 24 |
| რიდი | 17 | 5 | 8 | 4 | 25:22 | 23 |
| ტიროლი | 17 | 4 | 8 | 5 | 19:24 | 20 |
| მატერსბურგი | 17 | 5 | 4 | 8 | 20:28 | 19 |
| ადმირა | 17 | 2 | 2 | 13 | 21:40 | 8 |

## საბერძნეთი

### ნაციონალიგა. VIII ტური

კალამარია — ოლიმპიაკოსი 1:2; კალითეა — აკრატიტოსი 2:0; იონიკოსი — ოფი 1:1; ირაკლისი — ლევადიაკოსი 2:0; ატრომიტოსი — ეგალეო 0:0; პანათინაიკოსი — პაოკ 1:0; ქსანთი — ლარისა 1:0. პანიონიოსი — აეკ *დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსანთი | 8 | 6 | 1 | 1 | 13:5 | 19 |
| ოლიმპიაკოსი | 8 | 6 | 0 | 2 | 18:5 | 18 |
| აეკ | 7 | 4 | 2 | 1 | 9:4 | 14 |
| პანათინაიკოსი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 14 |
| პაოკ | 8 | 3 | 3 | 2 | 14:8 | 12 |
| ატრომიტოსი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:6 | 12 |
| ეგალეო | 8 | 2 | 5 | 1 | 6:6 | 11 |
| ირაკლისი | 8 | 3 | 1 | 4 | 7:10 | 10 |
| ლარისა | 8 | 2 | 3 | 3 | 11:9 | 9 |
| ლევადიაკოსი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:8 | 9 |
| ოფი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:11 | 9 |
| იონიკოსი | 8 | 1 | 5 | 2 | 9:14 | 8 |
| კალამარია | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 8 |
| პანიონიოსი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:15 | 8 |
| აკრატიტოსი | 8 | 1 | 2 | 5 | 3:8 | 5 |
| კალითეა | 8 | 1 | 1 | 6 | 6:14 | 4 |

## დანია

### სუპერლიგა. XVI ტური

ვიბორგი — ოლბორგი 2:0; ბრონდბიუ — ორჰუსი 4:0; ჰორსენსი — ოდენსე 0:0; ნორდსიელანდი — ესბიერგი 0:2; სილკებორგი — სონდერილანდი 0:1; კოპენჰაგენი — მიდტიულანდი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 16 | 13 | 3 | 0 | 33:8 | 42 |
| ბრონდბიუ | 16 | 11 | 3 | 2 | 36:14 | 36 |
| ვიბორგი | 16 | 10 | 4 | 2 | 33:16 | 34 |
| ოდენსე | 16 | 6 | 5 | 5 | 21:18 | 23 |
| ნორდსიელანდი | 16 | 5 | 7 | 4 | 25:19 | 22 |
| ოლბორგი | 16 | 4 | 6 | 6 | 20:22 | 18 |
| მიდტიულანდი | 16 | 4 | 5 | 7 | 20:30 | 17 |
| ესბიერგი | 16 | 4 | 4 | 8 | 18:25 | 16 |
| ჰორსენსი | 16 | 2 | 8 | 6 | 7:19 | 14 |
| სილკებორგი | 16 | 3 | 5 | 8 | 12:25 | 14 |
| ორჰუსი | 16 | 2 | 6 | 8 | 22:35 | 12 |
| სონდერილანდი | 16 | 3 | 2 | 11 | 20:36 | 11 |

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. XII ტური

გროცლინი — ლეხი 3:1; ოდრა — პოგონი 1:0; ლეგია — კორონა 1:0; კრაკოვია — პოლონია 3:0; ლეჩნა — ზაგლებე 1:3; ბელხატოვი — პლოცკი 3:0; არკა — გურნიკი 3:0; ვისლა — ამიკა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 11 | 6 | 4 | 1 | 22:11 | 22 |
| ლეგია | 12 | 6 | 4 | 2 | 14:7 | 22 |
| კრაკოვია | 11 | 6 | 3 | 2 | 14:12 | 21 |
| ამიკა | 12 | 5 | 4 | 3 | 20:13 | 19 |
| ლეხი | 12 | 5 | 4 | 3 | 21:21 | 19 |
| ზაგლებე | 12 | 4 | 4 | 4 | 21:19 | 16 |
| გროცლინი | 12 | 4 | 4 | 4 | 20:18 | 16 |
| კორონა | 12 | 4 | 4 | 4 | 19:17 | 16 |
| პოგონი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:16 | 16 |
| ოდრა | 12 | 4 | 4 | 4 | 10:11 | 16 |
| ბელხატოვი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:15 | 14 |
| გურნიკი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:18 | 13 |
| პლოცკი | 12 | 4 | 1 | 7 | 13:24 | 13 |
| არკა | 12 | 2 | 6 | 4 | 12:13 | 12 |
| ლეჩნა | 12 | 1 | 7 | 4 | 9:12 | 10 |
| პოლონია | 12 | 2 | 2 | 8 | 8:19 | 8 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. XI ტური

ხპარტა — სიგმა 1:2; ხლოვაცკო — ტეპლიცე 1:1; ლიბერეცი — პლზენი 2:0; იპლავა — იაბლონეცი 1:1; ბანიკი — ბლშანი 0:0; ბოლესლავი — პრჟიბრამი 0:0; მოსტი — ზლინი 0:0. ბრნო — სლავია *დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 11 | 8 | 2 | 1 | 18:5 | 26 |
| ტეპლიცე | 11 | 7 | 3 | 1 | 18:8 | 24 |
| სიგმა | 11 | 6 | 1 | 4 | 16:16 | 19 |
| სლავია | 10 | 5 | 3 | 2 | 20:13 | 18 |
| პრჟიბრამი | 11 | 5 | 3 | 3 | 17:12 | 18 |
| იაბლონეცი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:15 | 15 |
| ბოლესლავი | 11 | 4 | 3 | 4 | 18:18 | 15 |
| პლზენი | 11 | 4 | 3 | 4 | 14:14 | 15 |
| ბანიკი | 11 | 3 | 4 | 4 | 10:12 | 13 |
| სპარტა | 11 | 4 | 1 | 6 | 15:19 | 13 |
| ზლინი | 11 | 3 | 3 | 5 | 10:13 | 12 |
| იპლავა | 11 | 3 | 3 | 5 | 10:17 | 12 |
| მოსტი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:14 | 11 |
| სლოვაცკო | 11 | 2 | 5 | 4 | 11:13 | 11 |
| ბლშანი | 11 | 2 | 4 | 5 | 11:22 | 10 |
| ბრნო | 10 | 0 | 5 | 5 | 11:16 | 5 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა
### IX ტური

**პორტუ 0:0 სეტუბალი**

**ამადორა 0:2 ნასიონალი**
0:1 პინტო (42), 0:2 გულარტი (75)

**ნავალი 1:1 ბენფიკა**
1:0 ფოგაკა (72), 1:1 ნუნუ გომეში (80)

**პენაფიელი 1:0 აკადემიკა**
1:0 ამარო (76)
გაძევება: ალკანტარა (80, აკადემია)

**რიუ ავე 2:2 მარიტიმუ**
0:1 მანდუკა (24), 1:1 ევანდო (42), 2:1 ჩიდი (43), 2:2 მანკუსო (56)

**ლეირია 3:0 ჟილ ვისენტე**
1:0, 2:0 ლორენსო (29, 45), 3:0 მაისელი (90)

**გიმარაეში 0:2 ფერეირა**
0:1 დიდი (60), 0:2 ედსონი (89)

**ბოავიშტა 2:2 სპორტინგი**
0:1 ნანი (22), 0:2 ლიდსონი (25), 1:2 პინტო (46), 2:2 უილიამი (55)

**ბრაგა — ბელენენსეში**
*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაგა | 8 | 6 | 2 | 0 | 8:1 | 20 |
| პორტუ | 9 | 5 | 3 | 1 | 12:6 | 18 |
| ნასიონალი | 9 | 5 | 3 | 1 | 10:4 | 18 |
| ბენფიკა | 9 | 5 | 2 | 2 | 15:7 | 17 |
| სეტუბალი | 9 | 4 | 2 | 3 | 5:3 | 14 |
| რიუ ავე | 9 | 4 | 2 | 3 | 13:12 | 14 |
| ბოავიშტა | 8 | 3 | 4 | 1 | 12:7 | 13 |
| სპორტინგი | 8 | 4 | 1 | 3 | 10:11 | 13 |
| ფერეირა | 9 | 4 | 1 | 4 | 11:13 | 13 |
| ნავალი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:12 | 11 |
| ლეირია | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 11 |
| ჟილ ვისენტე | 9 | 3 | 1 | 5 | 7:11 | 10 |
| ბელენენსეში | 8 | 3 | 0 | 5 | 12:12 | 9 |
| ამადორა | 9 | 2 | 3 | 4 | 8:11 | 9 |
| მარიტიმუ | 9 | 1 | 5 | 3 | 11:13 | 8 |
| აკადემიკა | 9 | 2 | 2 | 5 | 8:11 | 8 |
| გიმარაეში | 9 | 2 | 1 | 6 | 5:14 | 7 |
| პენაფიელი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:16 | 5 |

### მეორე ლიგა. IX ტური

ავეში — ოლიალენსე 1:0; ბარეირენსე — ბეირა მარი 0:0; შავეში — მორეირენსე 0:1; ეშტორილი — ფეირენსე 5:2; გონდომარი — ოვაირენსე 3:1; ლეიშოეში — სანტა კლარა 0:1; მარკუ — მაია 3:2; პორტიმონენსე — ვარზიმი 2:2; ვიზელა — კოვილია 2:2


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ ამკრეფ-ოპერატორს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. პრემიერლიგა
31 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 1 | სიტი-ასტონ ვილა | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |

### ინგლისი ჩემპიონატი
1 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 12 | ბრაიტონი-ვულვერჰემპტონი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 23:45 | 13 | ბარნლი-მილუოლი | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 23:45 | 14 | ქრიუ-ლიდსი | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 23:45 | 15 | ნორვიჩი-კარდიფი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 23:45 | 16 | პლიმუთი-ლესტერი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 23:45 | 17 | პრესტონი-ჰალი | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 23:45 | 18 | რედინგი-უესნდი | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| 23:45 | 19 | შეფილდი-ლუტონი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 23:45 | 20 | უოტფორდი-ქპრ | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 2 ნოემბერი | | | | | | | | |
| 23:45 | 21 | ქოვენტრი-სტოკი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 22 | დერბი-იფსვიჩი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 23 | საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 2.20 | 3.00 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.52 |

### ინგლისი. I ლიგა
1 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 36 | ჰარტლპული-ჯილინგემი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა
31 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:15 | 69 | მიუნხენი 1860-ალემანია | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 1 ნოემბერი | | | | | | | | |
| 21:15 | 70 | დინამო-აუე | 2.00 | 3.00 | 3.40 | 1.20 | 1.25 | 1.59 |

### იტალია. სერია B
31 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 139 | ბრეშა-მოდენა | 2.25 | 2.70 | 3.40 | 1.22 | 1.35 | 1.50 |
| 23:45 | 140 | კრემონეზე-პიაჩენცა | 2.40 | 2.90 | 2.80 | 1.31 | 1.29 | 1.42 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი
31 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 203 | ბრესტი-სედანი | 2.65 | 2.80 | 2.55 | 1.36 | 1.29 | 1.33 |

### პორტუგალია სუპერლიგა
31 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 254 | ბრაგა-ბელენენსეში | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |

### საბერძნეთი
31 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 521 | პანიონიოსი-აეკ | 4.10 | 3.20 | 1.80 | 1.79 | 1.25 | 1.15 |

### ჩეხეთი
31 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:40 | 522 | ბრნო-სლავია | 3.00 | 3.00 | 2.20 | 1.50 | 1.26 | 1.26 |

### ბრაზილია
31 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 398 | ინტერნასიონალი-პაისანდუ | 1.35 | 4.10 | 7.00 | 1.01 | 1.13 | 2.58 |

### ჩემპიონთა ლიგა
1 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 450 | ბეტისი-ჩელსი | 4.10 | 3.20 | 1.85 | 1.79 | 1.27 | 1.17 |
| 23:45 | 451 | ინტერი-პორტუ | 1.40 | 3.70 | 9.00 | 1.01 | 1.21 | 2.62 |
| 23:45 | 452 | ლივერპული-ანდერლეხტი | 1.35 | 4.30 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.85 |
| 23:45 | 453 | ოლიმპიაკოსი-ლიონი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 23:45 | 454 | პეტრუალკა-რეინჯერსი | 2.65 | 3.10 | 2.55 | 1.42 | 1.29 | 1.39 |
| 23:45 | 455 | პსვ-მილანი | 3.60 | 3.20 | 2.00 | 1.69 | 1.28 | 1.23 |
| 23:45 | 456 | რუსენბორგი-რეალი | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| 23:45 | 457 | შალკე-ფენერბაჰჩე | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |

2 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 458 | არსენალი-სპარტა | 1.25 | 5.30 | 10.00 | 1.01 | 1.11 | 3.46 |
| 23:45 | 459 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 23:45 | 460 | ბენფიკა-ვილიარეალი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 23:45 | 461 | ბრიუგე-რაპიდი | 1.70 | 3.30 | 4.90 | 1.12 | 1.26 | 1.97 |
| 23:45 | 462 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1.90 | 3.10 | 4.20 | 1.17 | 1.30 | 1.78 |
| 23:45 | 463 | ლილი-მანჩესტერი | 3.40 | 3.10 | 2.10 | 1.62 | 1.29 | 1.25 |
| 23:45 | 464 | თუნი-აიაქსი | 3.40 | 3.20 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |
| 23:45 | 465 | ვერდერი-უდინეზე | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | სიტი-ასტონ ვილა | 2.25 | 2.00 | 4.50 | 1.05 | 1.50 | 1.38 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | სიტი-ასტონ ვილა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

17001 სიტი-ასტონ ვილა ------------------ 1.85 ------- 1.95

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

------------------------------- კი ------------------------------ არა

13001 სიტი-ასტონ ვილა ------------------ 1.70 ------- 1.90

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

------------------------------- კი ------------------------------ არა

12001 სიტი-ასტონ ვილა ------------------ 1.70 ------- 1.90

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16001 სიტი-ასტონ ვილა ------------------ 1.35 ------- 2.60

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | სიტი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14001 სიტი-ასტონ ვილა ------------------ 1.55 ------- 2.30

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი პრეზიდენტია

## ბესიკ ლიპარტელიანს საქმის შუა გზაში მიტოვება არ უნდა



*ფედერაციის არჩევნების თარიღის დადგენა იყო და, ამ უწყების მმართველმა ბესიკ ლიპარტელიანმა ჟურნალისტები თავისთან დაიბარა და აცნობა: „დღეიდან დაიწყო ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია და მინდა, განვაცხადო, რომ მე ხელმეორე ვადით ვაპირებ ამ პოსტზე დარჩენას, თუ, რა თქმა უნდა, არჩევნებში გავიმარჯვებ.“*

**მაშ ასე,** პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი მოქმედი პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანია...

26 ოქტომბერს ფედერაციის აღმასკომი შეიკრიბა და საარჩევნო ვადები დაადგინა. 7 ნოემბრამდე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნებში სამონაწილეო განაცხადი შეიტანოს, ოღონდ მინიმუმ 5 ამომრჩეველი მაინც უნდა უჭერდეს მხარს.

საამომრჩევლო კვოტებს აღმასკომი დაადგენს. არჩევნებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ კალათბურთში მოსაქმე და მასთან დაკავშირებულ ხალხსა და ორგანიზაციებს შეეძლებათ. როგორც ბესიკ ლიპარტელიანმა გვითხრა, დაახლოებით 80-90 საარჩევნო ხმის მფლობელი მოგროვდება.

7 ნოემბერს რეგისტრაცია დასრულდება და 16 ნოემბრამდე პრეზიდენტობის კანდიდატებს თავიანთი საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციის შესაძლებლობა ექნებათ. 16-ში კი საკუთრივ არჩევნები და ფედერაციის განვლილი 4 წლის შემაჯამებელი საანგარიშო ყრილობა გაიმართება.

ახლა კვლავ ბესიკ ლიპარტელიანის განცხადებას მივუბრუნდეთ:

„ფედერაციაში მთელი ცხოვრება ყოფნას არ ვაპირებ, უბრალოდ მინდა, კიდევ ერთი ვადით გავიხანგრძლივო პრეზიდენტობა და ქართულ კალათბურთში დაწყებული რეფორმები ბოლომდე მივიყვანო. შარშან, როცა ჩვენი ეროვნული ნაკრები შესარჩევ ციკლში ჩაება, მივხვდი, ეს ჩემი ოთხწლიანი საპრეზიდენტო პერიოდი საკმარისი არ იქნებოდა ქართული კალათბურთის ფეხზე დასაყენებლად. ვფიქრობ, 4 წელი არ კმარა საქმის გამოსაკეთებლად და დამატებითი დროა საჭირო. ორი წლის წინ ჩვენ შევიმუშავეთ კალათბურთის განვითარების 4-წლიანი გეგმა, რომლის ნახევარი უკვე განვახორციელეთ. მინდა, ეს გეგმა ბოლომდე მივიყვანოთ და ხალხს გაკეთებული საქმის რეალური შედეგები ვუჩვენოთ...

– არჩევნებში ვინ იქნება ჩემი კონკურენტი, ნამდვილად არ ვიცი. ჯერჯერობით ყურიც კი არ მომიკრავს, რომ ვინმე აპირებდეს განაცხადის შემოტანას. თუ ისე მოხდა, რომ არავინ დარეგისტრირდა პრეზიდენტობის კანდიდატად, არჩევნები მაინც ჩატარდება. ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებიც ასე არ იყო?! ნოდარ ახალკაცს კონკურენტი არ ჰყოლია. 16 ნოემბერს არჩევნებთან ერთად საანგარიშო ყრილობაც გაიმართება, რომელზეც მე განვლილი 4 წლის ანგარიში უნდა ჩავაბარო დელეგატებს...

... ჩემი პრეზიდენტობისას არაერთი პროექტი განხორციელდა და ახლაც 5 ახალი პროექტია შეჩერებული, რომელიც იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ პრეზიდენტად ხელმეორედ ამირჩევენ. ისე არ იფიქროს ვინმემ, რომ მე ვბაქიაობდე და წინასწარ ვიძახოდე, ამას ვიზამ და იმასო. პროექტები რეალურად არსებობს, რომლებსაც ქართული კალათბურთისთვის ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია...

– აქამდე ეროვნულ გუნდზე გვქონდა აქცენტი გადატანილი, რადგან ხალხს ჯერ ნაკრები აინტერესებს. ახლა ჩვენი ორიენტირი ბავშვთა კალათბურთი იქნება, გადაზრდილებთან ბრძოლა უკვე დავიწყეთ და ამ სფეროში ბევრ პრობლემასაც წავაწყდით...

– განვლილი წლების მანძილზე ჩვენ არაერთი სპონსორი გვყავდა. გვერდში გვედგა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სპორტის დეპარტამენტი, ოლიმპიური კომიტეტი და ფონდი. პირადად ბადრი პატარკაციშვილის ოლიმპიური ფონდიდან ნაკრებმა ასიათასობით დოლარის დახმარება მიიღო, რომ არაფერი ვთქვა კონკრეტულ პროექტებსა და ღონისძიებებზე. თუ მე ფედერაციის პრეზიდენტი ვიქნები, ჩვენი და ბადრი პატარკაციშვილის ფონდის თანამშრომლობა გაგრძელდება... ორშაბათს ბადრი პატარკაციშვილი 50 წლის ხდება. მინდა, ჩემი და ფედერაციის სახელით მას ეს იუბილე მივულოცო და წარმატებები ვუსურვო.

**ირაკლი პერტაია**




# ზაზას ატლანტური რეკორდი

## ფაჩულიამ ქორებს უყოჩა

**მორიგი** კარგი ამბავი ატლანტადან: ზაზა ფაჩულიამ მორიგი კარგი თამაში გამოაცხო „ჰოუქსის“ მაისურით, ამჯერად მან 18 ქულას მოუყარა თავი და ჩაროზად 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა და 3 დაფარებაც მიითვალა.

ეს მოხდა „ჰოუქს“—„ჰორნეტსის“ საგამოფენო მატჩში, რომელშიც ორივე გუნდი უძლიერესი შემადგენლობით მონაწილეობდა და ფაჩულია 18 ქულით შეხვედრის ბომბარდირი გახდა.

ზაზამ თამაში ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 33 წუთი დაჰყო. მასზე ერთი წუთით ნაკლები იბურთავა ატლანტელთა უთუმცაო ლიდერმა, ამ ზაფხულს „ფინიქსიდან“ გადასულმა ჯო ჯონსონმა, რომელსაც 14 ქულა დაუგროვდა. ფაჩულიას ნატყორცნ-ჩაგდებული ბურთების თანაფარდობა თანაბარი იყო როგორც თამაშიდან, ასევე საჯარიმოს ხაზიდან: 8 ორქულიანიდან 6 ჩააგდო და ასეთივე წარმატებით ტყორცნა საჯარიმოები.

„ატლანტამ“ სამმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და „ნიუ ორლეან ჰორნეტსი“ 104:90 დაამარცხა. ისე, ისიც უნდა ითქვას, რომ „კრაზანები“ უკვე ოკლაჰომა სიტის გუნდადაც შეგვიძლია მოვიხსენიოთ, რაკი დატბორილი ნიუ ორლეანიდან მათ სწორედ ამ ქალაქში გამოარიდეს თავი.

ფაჩულიას ყოჩაღობამ კი გაგვახარა, მაგრამ ნბა-ს მეორე ქართველის შედეგებით კმაყოფილი ნამდვილად ვერ დავრჩებით. ნიკა ცქიტიშვილმაც ითამაშა „მინესოტაში“, ხუთეულშიც იყო და მოედანზე 27 წუთიც გაატარა, მაგრამ მხოლოდ 2 საჯარიმოს ჩაგდება მოახერხა. ნიკამ „დეტროიტის“ ფარს ხუთჯერ შეუტია საშუალო დისტანციიდან, მაგრამ ერთხელაც ვერ ააგდო.

ისე ეგებ დაგაინტერესოთ და „მინესოტამ“ „დეტროიტი“ 96:92 დაამარცხა.

**ირაკლი პერტაია**



# პრეზიდენტის თასი. თბილისი. 29-30 ოქტომბერი

# ოქროს დებიუტი

## თერთმეტი მედალი და პრეზიდენტის თასი

**სამი** ოქრო, ამდენივე ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო, ასეთია საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრების მონაგარი პირველ ქართულ საერთაშორისო ტურნირზე. გოდერძი ველიჯანაშვილის გუნდმა მედლების რაოდენობით ხომ ყველა ნაკრებს აჯობა, მერე გუნდური შეჯიბრიც მოიგო და „პრეზიდენტის თასი“ მოიპოვა.

ოცდაათამდე ქართველ გოგონას, რომელთა საშუალო ასაკი 17-18 წელია, სამოცამდე აზერბაიჯანელ, სომეხ, ყაზახ, თურქ და რუს სპორტსმენთან მოუხდა ბრძოლა. განსაკუთრებით ძლიერი გუნდი სტუმართაგან აზერბაიჯანს ჰყავდა და ეს შედეგზეც აისახა. აზერები მასპინძლებს მხოლოდ სამი ვერცხლით ჩამორჩნენ. იქნებ გაესწროთ კიდეც, ორ უმძიმეს წონაში მონაწილე რომ ჰყოლოდათ. ამ შემთხვევაში სულ ცოტა, ერთი ბრინჯაოთი მაინც გაამდიდრებდნენ თავიანთ მონაგარს. 78 კილოგრამში ხომ მხოლოდ ორი მონაწილე მოგროვდა და პირდაპირ ფინალი ჩატარდა. მძიმე წონის ხუთივე მონაწილე კი ქართველი იყო და მედლებიც წრიული შეჯიბრის ჩატარების შემდეგ გადაინაწილეს.



გუნდურ პირველობაში საქართველომ და აზერბაიჯანმა ორ-ორი გუნდი გამოიყვანეს და ოთხეულიც მათ შეავსეს. სომხებსაც ორი ნაკრები ჰყავდათ, თუმც ორივემ პირველსავე წრეში წააგო. რუსეთისა და ყაზახეთის ნაკრებების კრებული, სახელად ევრო-აზიაც პირველ წრეში ჩარჩა და თურქეთიც.

კავკასიური ნახევარფინალები საქართველოსა და აზერბაიჯანის პირველი გუნდების გამარჯვებებით დასრულდა. მეორეები მოგვიანებით ბრინჯაოსთვის დაეჭიდნენ და სტუმრებმა 4:3 იმარჯვეს. ფინალში კი ველიჯანაშვილის შვიდეულმა მეტოქეს 6:1 სძლია.

**ლექსო მაისურაძე**

| | |
|---|---|
| **48 კგ** | |
| 1 | ამინა აბასოვა (აზერბაიჯანი) |
| 2 | იანა ვართანიანი (სომხეთი) |
| 3 | შორენა შარაძე (საქართველო) |
| 3 | გილინხანუმ ალეშპეროვა (თურქეთი) |
| **52 კგ** | |
| 1 | დუსკა ქერიმოვა (საქართველო) |
| 2 | მაია ტარუაშვილი (საქართველო) |
| 3 | მარი ოქრიაშვილი (საქართველო) |
| 3 | აფაკ სულთანოვა (აზერბაიჯანი) |
| **57 კგ** | |
| 1 | მახანა ალმამედოვა (აზერბაიჯანი) |
| 2 | ოლესია კუცენკო (ყაზახეთი) |
| 3 | კამალა ჰუსეინზადე (აზერბაიჯანი) |
| 3 | გულნარ კარიმგამბეტოვა (ყაზახეთი) |
| **63 კგ** | |
| 1 | კამილ ისუბოვა (აზერბაიჯანი) |
| 2 | თინათინ ქულუხაშვილი (საქართველო) |
| 3 | ლილიკ პოღოსიანი (სომხეთი) |
| 3 | ვასილისა ალმამედოვა (აზერბაიჯანი) |
| **70 კგ** | |
| 1 | ნათია ოძელაშვილი (საქართველო) |
| 2 | რაგია მარავაევა (აზერბაიჯანი) |
| 3 | ხატია ალანია (საქართველო) |
| 3 | კონულ სულეიმანოვა (აზერბაიჯანი) |
| **78 კგ** | |
| 1 | გულ მერვე (თურქეთი) |
| 2 | ლია ღვიანიძე (საქართველო) |
| **+78 კგ** | |
| 1 | ირინა ლეონიძე (საქართველო) |
| 2 | ანი კაკაბაძე (საქართველო) |
| 3 | მარი ჩადუნელი (საქართველო) |



ლევან ვარდოსანიძის ნამუშევრის პრეზენტაციაზე



ვიქტორ სანეევი სტუმრად რომან რურუასთან



მცხეთაში...



ოპერაში...

# ვარსკვლავთსეტყვა ქართლ-კახეთში



ოპერაში ვიქტორ სანეევი იააფ-ის ორდენით დააჯილდოვეს



ვიქტორ სანეევმა საქართველოს ეოკს თავისი ოლიმპიური მაისურა აჩუქა

**გუშინ,** მართალია, ავდარი იყო, მაგრამ საღამოს „თბილისი-მარიოტში“ დაბრუნებულ სტუმრებს მუხლებამდე ტალახში ამოგანგლულებს მაინც არ ელოდნენ. ჰოდა, როცა გაკრიალებულ ჰოლში მოფენილ ფარდაგებზე ტალახიანებმა შეაბიჯეს, ყველანი საზტად დარჩნენ...

თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრულად.

ისე მოხდა, რომ საქართველოს ოლიმპიური ფესტივალის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ვიქტორ სანეევის და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის საიუბილეო თარიღები ერთმანეთს დაემთხვა. ვიქტორ სანეევი 60 წლის გახდა, ბადრი პატარკაციშვილს კი დღეს უსრულდება 50 წელი. მაგრამ მთავარი მაინც ჩვენი ქვეყნის XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი კაცის, ვიქტორ სანეევის იუბილე იყო.

ამ საიუბილეო დღეებში საქართველოს თოთხმეტი ქვეყნის წარმომადგენლები ეწვივნენ. მათ შორის იყვნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტები და ოლიმპიური ჩემპიონები, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები.

განვლილ დღეებზე არაერთი წერილი და ფოტორეპორტაჟი შემოგთავაზეთ, დღეს კი ისევ და ისევ ფოტოთვალით დანახულ შაბათ-კვირის საზეიმო ამბების ამსახველ სურათებს გთავაზობთ.

შაბათს სპორტის სასახლის ტერიტორიაზე სტუმრები, ოლიმპიური ფესტივალის პროგრამით, დაესწრნენ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, თბილისელი მოქანდაკის ლევან ვარდოსანიძის კომპოზიციის („ოდა ქართველ ოლიმპიელებს“) პროექტის პრეზენტაციასა და ძეგლის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიალს, იქიდან კი ფესტივალის მონაწილეები მცხეთას გაემგზავრნენ, სადაც ჯვრის მონასტრიდან ძველი დედაქალაქის სილამაზით დატკბნენ, ქვემოთ ჩამოსულნი კი ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ რომან რურუას შინ ეწვივნენ.

სტუმრები მართლაც აღტაცებულნი დარჩნენ რურუას კარ-მიდამოთი და მეურნეობით, სადაც ჩემპიონი მრავალ მსხვილფეხა თუ წვრილფეხა რქოსან პირუტყვსა და ფრინველს უვლის.

აბა, უმარნოდ სტუმრიანობა როგორ ჩაივლიდა და ჩემპიონმა იქაც თავი მოიწონა. მასთან სტუმრობა, ცხადია, მეფური სუფრით გაგრძელდა.

იმავე დღეს საგამოფენო დარბაზ „კოპალაში“ სტუმრები დაესწრნენ ვიქტორ სანეევისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენის გახსნას, სადაც იშვიათი სურათიც იყო წარმოდგენილი, რომელთა ნაწილი ბევრმა პირველად იხილა.

გამოფენას მოჰყვა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული ვიქტორ სანეევის საიუბილეო საღამო, სადაც იუბილარს მრავალი ჯილდო თუ საჩუქარი გადაეცა, ხოლო ქალაქის მერმა გიგი უგულავამ საზოგადოებას აცნობა ჩვენი დიდი ჩემპიონის თბილისის საპატიო მოქალაქედ გამოცხადება და მას ფულად საჩუქართან ერთად ქალაქის გასაღები უბოძა. იქვე ბადრი პატარკაციშვილმა საუკუნის სპორტსმენს 50 000 დოლარის ქვითარიც გადასცა.

ამავე საღამოზე თბილისელმა ტანმოვარჯიშეებმა წარმოადგინეს ჩვენი კოლეგა პაატა ნაცვლიშვილის ნამუშევარი — „ბორჯომი 2014“-ის ლოგო.

მოგეხსენებათ, ბორჯომი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის მებრძოლი ერთ-ერთი ქალაქია და ამიერიდან მას საკუთარი ლოგოც გააჩნია...



მაგრამ ის საღამო საიუბილეო ზეიმით როდი გასრულებულა. სტუმარ-მასპინძლებმა იქიდან ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციაში გადაინაცვლა. აქვე ჩვენი სტუმარი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლებთან გაფორმდა ხელშეკრულებები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

ბოლოს მასპინძელმა სტუმრები ფურშეტზე მიიწვია, სადაც ვიქტორ სანეევს მეტრანახევრიანი სიგრძის ტორტი დაახვედრა, რომელიც იუბილარის მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას ასახავდა.

აქაც იყო საჩუქრებისა და ჯილდოების გაცვლა, ოღონდ ამჯერად ამ საქმეში ვიქტორ სანეევის მოზიარე ბადრი პატარკაციშვილი აღმოჩნდა.

გუშინ დილით ბადრი პატარკაციშვილმა სტუმრები კახეთში, როგორც თავად ხუმრობდა, „ქართულ საფარიზე“ დაპატიჟა. ბარაქიან ტალახში ვეება ჯიპები ძლივს მიიკვლევდნენ გზას ვენახებისკენ, სადაც მასპინძელმა სტუმრებს ხელები დააკაპიწებინა და ყურძენი აკრეფინა, მაგალითი კი თავად მისცა და ისიც ხუმრობით აქეზებდა უცხოელთ, ვისაც ჭამა უნდა, შრომაც უნდა უნდოდესო.

მასპინძელმა სტუმრებს ესეც არ აკმარა და ჩურჩხელებიც ამოავლებინა.

რა თქმა უნდა, ამ ყოველივეს სუფრაც მოჰყვა თავისი მრავალჟამიერით, რაც კაკაბეთში, სტალინის პორტრეტიან არყის სახდელში „ზავადობაზე“ გაგრძელდა.

თუ სიტყვაზე გვენდობით, იმასაც გეტყვით, რომ სტუმრები ყოველივე ამით აღტაცებულნი დარჩნენ.

ახლა კი უფრო თვალნათლივ თხრობა ფოტოებს მივანდოთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

***ავტორის ფოტოები***

















# ევროპის ერთა თასი

30 ოქტომბერი. თბილისი

**საქართველო 0:60 საფრანგეთი**

**საქართველო:** გიორგი ასათიანი, ზვიად კობერიძე, რეზო გიგაური, სანდრო გილაური, დავით ჟამუტაშვილი, ირაკლი ღვინჯილია, ნონო ანდღულაძე, გიორგი მჭედლიშვილი, ბიძინა სამხარაძე, კახა კობახიძე, გიორგი ტრაპაიძე, ნიკა მხეიძე, ვახტანგ ახვლედიანი (კაპ)

**სათადარიგონი:** ფრიდონ უდესიანი, მამუკა ცხადაძე, ბექა ყურაშვილი, დავით გასვიანი, გრიგოლ ნიშნიანიძე

**მწვრთნელი:** რიჩარდ ალე

**საფრანგეთი:** ადამ ინე, ფრედრიკ ზიტერი, ტერი სადავი, ჟერომ ერმე, ოლივიე შარლი, მაგზიმ გრიზეკი, ჟულიენ რინალი (კაპ), აბდელ ფელუზი, დავიდ ბერტეზენი, სებასტიან რაგუენი, ლორან კარასკო, ორელიან კოლონი, კრისტოფ მოლი

**სათადარიგონი:** გრეგორ მუნი, სედრიკ გეი, ჟან-კრისტოფ ბორლენი, მატიო მეთანი

**მწვრთნელი:** ჯონ მონი

*10 ლელო:* გრიზეკი (3), სადავი (2), ზიტერი (2), შარლი (2) მუნი; *10 გარდასახვა:* გრიზეკი



ბაჩო კორინთელის ფოტო

# ცამეტი ცამეტზე, ნული სამოცზე





ბაჩო კორინთელის ფოტო

**გუშინ** ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, რაგბილიგის ევროპის ერთა თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი ჩატარდა. საქართველოს ნაკრებს საფრანგეთისას უმასპინძლა და ბევრიც ვერაფერი მოახერხა.

„13 ქართველი“ რომ მსოფლიოს ვრანდთან თამაშს დათმობდა, ადვილი სავარაუდო იყო. არც ის იყო გასაკვირი, რომ ჩვენებურებმა დიდი ანგარიშით წააგეს. საწყენი მხოლოდ ის გახლდათ, საქართველოს ნაკრებმა რომ ქულა ვერ გაახერხა და მეტოქემ ჩათვლის მოედნის მშრალად შენახვა შეძლო.

არადა, ყველაფერი კარგად დაიწყო. „ხორუმის“ შემდეგ ქართველებმა „მამლების“ ერთი შემოტევა უკუაგდეს და მეტოქეს კარგად მიაწვნენ. შეტევის მეხუთე ფაზა მიდიოდა, ჩვენებურებს კი კიდევ საკმაო მანძილი აკლდათ ფრანგთა ლელომდე და ამიტომ კობახიძემ საარეკნოდ მოიქნია ფეხი. კარგი პოზიცია იყო და ხელსაც არავინ უშლიდა, თუმცა ბურთი მცირე მანძილით ასცდა ძელს.

ეს იყო და გახურდა საფრანგეთის ნაკრები. მე-7 და 25-ე წუთებზე მაგზიმ გრიზეკმა ორი ლელო გაიტანა და თავადვე ორივე გარდასახა. საერთოდაც, გრიზეკის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებაც უპრიანი იქნებოდა.

ოთხიოდ წუთში ტერი სადავმა გაილელოვა, ტაიმის მიწურულს კი — ფრედრიკ ზიტერმა. გრიზეკის გარდამსახველი დარტყმები უზადო გახლდათ და ამაზე აღარც შევჩერდებით. აქედანვე გეტყვით, ფრანგთა შავტუხა ექვსიანმა ზუსტი ორქულიანი დარტყმა მასპინძელთა ათივე ლელოს მიაყოლა.

პირველ ტაიმში ჩვენებს ერთიორჯერ ჰქონდათ შეტევის კარგად განვითარების საშუალება, თუმცა სტუმრებმა არ დაანებეს.

მეორე ნახევარში „მამლების“ უპირატესობა უფრო თვალში საცემი გახდა. ქართველებს დაღლაც დაეტყოთ და მომხვდურებმა ლალი და ულამაზესი რაგბის თამაშით დაგვამახსოვრეს თავი.

ერთ რამედ ღირდა გრიზეკი-შარლის დამუშავებული კომბინაციები. ტაიმის პირველი ლელო სწორედ ოლივიე შარლის ანგარიშზეა, რასაც კიდევ ერთი ულამაზესი შეტევა მალევე მიაყოლეს ფრანგებმა. უზადო კომბინაციის შემდეგ გრიზეკი მარცხენა ფრთაზე გაიჭრა და სანამ ქართველები დაიჭერდნენ ან აუტში გადაათრევდნენ, გრეგორ მუნს ისეთი ტექნიკური პასი მისცა, რომ არ გაეტანა, დასანანიც-კი იქნებოდა.

შემდეგი ლელო ისევ შარლის ანგარიშზეა, კიდევ ერთი სადავის და მეცხრე ლელოს-ატწერის დროც მოვიდა. ქართველებმა ...ც კარგად შევუტიეთ და მარცხენა ფრთაზე ფრანგთა ჩათვლის მოედანს ვუწიეთ, თუმც ჩვენებური ლელოს გატანამდე სანტიმეტრები დააკლდათ. სტუმრებმა კონტრშეტევა წამოიწყეს. ერთ მომენტში მოედნის ცენტრთან ახლოს ბურთი უმეთვალყუროდ აღმოჩნდა. გრიზეკი მივარდა და ფეხით წინ ისე გაიგდო, ფეხბურთელს შეშურდებოდა, ამასობაში ჩვენებურსაც აურა გვერდი, თუმცა ბურთს მეორე ქართველი მიუახლოვდა. ფრანგმა ამასაც დაასწრო და ისევ ფეხით ჩამოიცილა მეტოქე, ბურთი ჩათვლის მოედანში შეაგდო, შეჰყვა და ქართველ მცველებს კიდევ ერთხელ აჯობა. მერე ბურთს დაახტა და დაამიწა. ამას გინდათ ლელო დაარქვით და გინდათ საფეხბურთო გოლი, ფაქტია, რომ ფრანგმა სტადიონის ოვაცია დაიმსახურა.

ისევე როგორც პირველ ტაიმში, მეორე ორმოცწუთეულის ბოლო ლელოც ზიტერმა გაიტანა. ფრანგებმა 60:0 გვაჯობეს და შეიძლება ითქვას, ცამეტკაცა რაგბის ისეთი გაკვეთილი ჩაგვიტარეს, რომ მათთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

კაცმა რომ თქვას, ჩვენებურებსაც ეტყობოდათ, რომ საქმეს სერიოზულად უდგებიან და თუ კომბინაციურ თამაშს დახვეწენ, საფრანგეთის არა, მაგრამ რუსეთის დონის ნაკრებებთან თამაში უკვე ახლო მომავალში აღარ გაგვიჭირდება.

**ლადო ფულუკიძე**

29 ოქტომბერი. დუბლინი

**ირლანდია 10:31 უელსი**

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | უელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 53:24 | 4 |
| 2 | ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 22:37 | 2 |
| 3 | შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 20:34 | 0 |

**B ჯგუფი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 140:0 | 4 |
| 2 | რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 48:94 | 2 |
| 3 | საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 14:108 | 0 |

ფინალი. 5 ნოემბერი

**საფრანგეთი — უელსი**



# ვაყვიროთ ვაი ურუგვაის

**ნოემბერი** კარს მოგვადგა. ეს კი ის დროა, როდესაც წამყვანი თუ ელიტასთან მიახლოვებული სარაგბო ნაკრებები ტესტმატჩებს აჩაღებენ და ტურნეებსაც მართავენ.

სწორედ ნოემბერში ილაშქრებენ სამხრეთული რაგბის ბობოლები ჩრდილოეთ ნახევარსფეროზე და მიდის ერთი ამბავი, მაგრამ ახლა ავსტრალიასა თუ ახალ ზელანდიას თავი დავანებოთ და ჩვენი ვთქვათ. საქართველოს 6 და 12 ნოემბერს ურუგვაისა და ჩილეს ნაკრებებთან ელის მშობლიურ კედლებში შებმა და წარმატების შემთხვევაში გარდა იმისა, რომ ქომაგები გაიხარებენ, სხვა სასიამოვნო ამბავსაც უნდა ველოდოთ. ჯერ ერთი, რომ მსოფლიო რეიტინგში სავარაუდოდ გვარიანი წინსვლა გველის, რაც თავის მხრივ იმის წინაპირობა იქნება, რომ მსოფლიოს რაგბის მამებმა ჩვენს ქვეყანას მეტი ყურადღება მიაქციონ და განვითარებადი ქვეყნისადმი რაგბის კავშირებისთვის ფინანსური დახმარების პროგრამაში უფრო ხელსაყრელ პოზიციებზე მოვხვდეთ.

დიდია სპორტული ინტერესიც. შარშან ამ დროს „ბორჯღალოსნები“ სამხრეთ ამერიკას სტუმრობდნენ, სადაც ორივე თამაში დათმეს. უფრო საწყენი ჩილესთან მარცხი გახლდათ, რადგანაც ამ გუნდთან, წესითა და რიგით, ფავორიტებად უნდა ვითვლებოდეთ და იმედია, წლეულს რევანშის აღება არ გაგვიჭირდება.

ურუგვაი კი სულ სხვა თემაა. ამ გუნდთან უკვე ორი თამაში ჩავატარეთ და ორივეში დავმარცხდით — პირველად 2003 წლის მსოფლიოს თასზე — 12:24.

ცოტა რამ ურუგვაული რაგბის შესახებ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპელებმა, რომლებიც ურუგვაიში მნიშვნელოვან ფულს აბანდებდნენ და მრავალი ინვესტიციით აშენებდნენ ქვეყანას, სპორტის სხვა სახეობებთან ერთად რაგბიც შეიტანეს ამ სამხრეთამერიკულ სახელმწიფოში, თუმცა იგი მეოცე საუკუნის შუა ხანებამდე ვერ განვითარდა და ძირითადად „მონტევიდეო კრიკეტ კლაბში“ თამაშობდნენ. მოგეხსენებათ, მონტევიდეო მაშინ ბრიტანეთის კოლონიის ნაწილი იყო და რაგბისადმი ინტერესიც ამით აიხსნება.

შემდეგ გამოჩნდა კაცი, კარლოს ეკატი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქვეყანაში ოვალურბურთა თამაშის განვითარებაში.

მისი ინიციატივით 1950 წელს ურუგვაის პირველი საკლუბო ჩემპიონატი ჩატარდა, ერთი წლის შემდეგ კი ქვეყანაში რაგბის კავშირი დაარსდა.

ურუგვაიმ მონაწილეობა მიიღო არგენტინელთა მიერ ორგანიზებულ ტურნირში. ჩილეს ნაკრებს მოუგო და მეორე ადგილი დაიკავა.

ურუგვაი დღეისთვის სიძლიერით მეორე სარაგბო ქვეყანაა არგენტინის შემდეგ სამხრეთ ამერიკაში და საკმაოდ დიდი გამოცდილებაც დაუგროვდა. რეგულარულად ატარებს ტესტმატჩებს და 1999 და 2003 წლების მსოფლიოს თასებზეც უთამაშია.

ქართველ ქომაგს უკვე შეუძლია თადარიგის დაჭერა და ბილეთების შეძენა, რომლებიც „ნიუ აფიშას“ გამავრცელებელ პუნქტებში იყიდება 3 ლარად. (ტელეფონი 91 50 62.)

ორჯერ უკვე დავმარცხდით ამ სამხრეთამერიკულ ნაკრებთან, რაც საკმარისზე მეტია. დროა, მესამე ცდაზე მაინც ვანახოთ ქართული რაგბის ჯიგარი.

**ლადო ფულუკიძე**


**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნაროშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მოლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჟელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge